CMYK - 1

www.24saati.ge

24 საათი

The New York Times
International Weekly
ყოველ სამშაბათს

© გაზეთი 24 საათი | ოხშაბათი 4 ნოემბერი, 2009 წელი. №241 (2279) | ფასი 50 თეთრი

"24 საათის" ფიფქიანი ნომერი
*2424

შუალედური არჩევნები ამერიკაში - გაკვეთილი ყველასათვის
A7

ქალბატონი დოდო
A9

კოკაი დაწინაურდა, ტოჩინოშინი დაქვეითდა
A13

24 საათი
"24 საათის"
ელექტრონული ვერსია
იხილეთ Web-გვერდზე
www.24saati.ge
ჩვენი პარტნიორები:
თიბისი ბანკი
TBC BANK
ჩვენ ვაძლიერებთ ერთმანეთს
GRDC group
ჯი პი აი
ჩვენის სადაზღვევო ჯგუფი

"სრული დეპოლიტიზაციის" ქიმერა

ანუ რას ნიშნავს, რომ საზოგადოებრივი მაუწყებელი საზოგადოებრივია?

გია ნოდია

სათაურში გამოტანილ შეკითხვაზე ჯერ-ჯერჯერობით ერთი პასუხი გვესმის: საზოგადოებრივი მაუწყებელი იმის საზოგადოებრივია, რომ არ არის მთავრობის. უფრო სწორად, მთავრობის კი არის, მაგრამ არ უნდა იყოს.

ეს სწორია, და ისიც არ მიკვირს, რომ ამ ასპექტს პირველ რიგში ვაქცევთ ყურადღებას. მაგრამ არის აქტიურობის მეორე მიზეზიც. ჩვენ შედარებით ახალი ნასწავლი გვაქვს, რომ გაგვაჩნია უფლებები, სახელდობრ, უფლება მოვახდინოთ გავლენა საზოგადოებრივ მაუწყებელზე, რადგან ის ჩვენი ფულით ფინანსდება. ხოლო კაი უფლებას კაი გამოყენებაც უნდა.

თუმცა აქ უკვე პრობლემა ჩნდება. მთავრობა ზუსტად იმავე არგუმენტითაა "ჩვენი", რითაც ეს მაუწყებელი: ორივე ჩვენი გადასახადებით არსებობს. ამიტომ, თუ ამ უკანასკნელის "საზოგადოებრივ" ხასიათს მისი "არამთავრობულობით" ვხსნით, მაშინ "ჩვენი გადასახადებით არსებობა" მთავარ არგუმენტად აღარ გამოგვადგება. რაღაც სხვა უნდა მოვიფიქროთ. რა? ამ საკითხში, ჩემი დაკვირვებით, დიდი დაბნეულობა სუფევს.

გაგრძელება A12 გვერდზე

"უნდა ვესწრაფოდეთ საუკეთესოს და სრულყოფილების ძიებაში უარესი არ გავაკეთოთ".

ახალი სახალხო დამცველის პირველი ანგარიში

სახალხო დამცველის რანგში გიორგი ტუღუშმა თავის პირველი ანგარიში, რომელიც 2009 წლის იანვრიდან მაისის ჩათვლით, ქვეყანაში ადამიანის უფლებების მდგომარეობას ასახავს, პარლამენტს უკვე გადაუგზავნა. მანამდე, სანამ პარლამენტარები სასესიო სხდომაზე ომბუდსმენის საანგარიშო გამოსვლას მოისმენენ, ანგარიშს სახალხო დამცველი საპარლამენტო კომიტეტებს გააცნობს.

ინგა ალავიძე

სახელისუფლებო გუნდი გიორგი ტუღუშისგან "პოლიტიკურად ანგაჟირებული" ანგარიშის ჩაბარებას არ ელოის და შესაბამისად, მისი წინამორბედის - სოზარ სუბარის ყოველწლიური ანგარიშებისადმი ტრადიციადქცეული დამოკიდებულების შეცვლასაც აპირებს.

"სოზარ სუბარის ანგარიშებს მხოლოდ ცნობის სახით იმის გამო ვიღებდით, რომ მის მიერ პარლამენტში წარმოდგენილი ანგარიშები არასდროს ყოფილა საქმიანი, საქმეზე ორიენტირებული. სუბარის მიერ მომზადებული ანგარიშები მხოლოდ ერთი ადამიანის პოლიტიკურ ამბიციებს ემსახურებოდა და ხშირ შემთხვევაში ტოვებდა შთაბეჭდილებას, რომ იგი ოპოზიციურ პოლიტიკურ პარტიებთან აქტიური კოორდინაციის შედეგს წარმოადგენდა," - ასეთია საპარლამენტო უმრავლესობის ლიდერის პეტრე ცისკრიშვილის მოსაზრება, რომლის განცხადებითაც, სახალხო დამცველის თანამდებობაზე პროფესიონალი შეირჩა, რომლისგანაც "პოლიტიკურად ანგაჟირებული" ანგარიშების წარმოდგენას არ ელოდებიან.

გაგრძელება A6 გვერდზე

გამსახურდია ერთხმად მიიღეს

საქართველოს პარლამენტის სესიაზე გუშინ, როგორც მოსალოდნელი იყო, კოკო გამსახურდიას მანდატის აღდგენას ერთსულოვნად დაუჭირეს მხარი. გუშინვე ოფიციალურად დადასტურდა, რომ კონსტანტინე გამსახურდია პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას სიკვდილის გარემოებების შემსწავლელი კომისიის ხელმძღვანელად იქნება წარდგენილი. თუმცა ამ კომისიის შემადგენლობა დაზუსტებით პარასკევს გახდება ცნობილი. პარასკევისთვის არის დაგეგმილი პარლამენტში 2010 წლის კორექტირებული ბიუჯეტის პროექტის განხილვაც. მიუხედავად იმისა, რომ ბიუჯეტის განხილვისთვის ოპოზიცია გუშინ დამატებით დროს ითხოვდა, პარლამენტის თავმჯდომარემ დამსწრეთ განუმარტა, რომ პარასკევი ბიუჯეტის არა დამტკიცების, არამედ ბიუჯეტის თემაზე შენიშვნების წარდგენის დღეა და ამდენად საკითხის გადადების ინიციატივა არ გაიზარა. გუშინდელი სხდომა კი მიმდინარე საკითხების განხილვასა და, ტრადიციისამებრ, დეპუტატების განცხადებებს დაეთმო.

თამარ ივანიძე

პარლამენტი - სტიქიაზე

2010 წლის ბიუჯეტის პროექტში სტიქიური უბედურებების შედეგად დაზარალებულთა დახმარება იქნება გათვალისწინებული. ამის შესახებ გუშინ პეტრე ცისკარიშვილმა გააკეთა განცხადება. მისი თქმით, სიტუაცია კახეთში მეტად რთულია, დატბორილია სოფლები და სავარგულები, განადგურებულია მოსავალი. დეპუტატმა აქვე აღნიშნა, რომ მდინარე ალაზნის გასწვრივ ბოლო ერთი წლის განმავლობაში დამცავი თხრილებისა და გაბიონების აშენებამ ზარალი ხუთჯერ შეამცირა. ცისკარიშვილის განცხადებით, საფრთხის ქვეშ მყოფი სოფლებისთვის პრევენციული ღონისძიებების დასაფინანსებელ ხარჯებს 2010 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტზე მუშაობისას პარლამენტი და მთავრობა აუცილებლად გაითვალისწინებს.

გაგრძელება A3 გვერდზე

CMYK - 1

სამთავრობო საათზე შესაძლოა კობა სუბელიანი დაიბარონ

პარლამენტის ვიცე-სპიკერმა, ოპოზიციონერმა დეპუტატმა პაატა დავითაიამ გუშინდელ სესიაზე მოთხოვნა წამოაყენა, რომლის მიხედვითაც სამთავრობო საათზე შესაძლოა ლტოლვილთა და განსახლების მინისტრი კობა სუბელიანიც დაიბარონ.

დავითაიას განმარტებით, ლტოლვილთა და განსახლების სამინისტრო "არ პასუხობს მის მიერ გაგზავნილ წერილებს, რომლებიც საერთო საცხოვრებლებიდან აფხაზეთიდან დევნილების გახშირებულ გამოდევნას შეეხება".

პარლამენტის ვიცე-სპიკერის განმარტებით, ბოლო დროს დევნილების გამოსახლებები გახშირდა. ამის გამო არაერთი მიმართვა იგზავნება ლტოლვილთა სამინისტროში, მაგრამ მათი პასუხი ჯერ კიდევ უცნობია. სააგენტო "ჯი-ეიჩ-ენ"-ის ცნობით, ერთ-ერთი პრობლემა აფხაზეთიდან დევნილ მამუკა მანიას უკავშირდება, რომელიც ჟურნალისტია და აქამდე ახალგორიდან და სამაჩაბლოდან დევნილებთან ერთად გორში, საერთო საცხოვრებელში ცხოვრობდა. "მხოლოდ იმის გამო, რომ ის აფხაზეთიდან დევნილია, სახლიდან გამოაძევეს და უთხრეს, რომ მის პრობლემაზე აფხაზეთის ლეგიტიმურმა მთავრობამ უნდა იზრუნოს. დევნილების ასეთი დაყოფა არ უნდა ხდებოდეს," - განაცხადა დავითაიამ.

აღნიშნულ კონტექსტში მან ფრაქციის სახელით პარლამენტის თავმჯდომარეს თხოვნით მიმართა, შესაბამის უწყებას დაევალოს, მაქსიმალური ყურადღება მიაქციოს დევნილთა პრობლემებს და დეპუტატების გაგზავნილ წერილებზე საპასუხო რეაქცია მოახდინონ.

აღსანიშნავია, რომ დავითაიას წინადადებას სხდომაზევე გამოეხმაურა პარლამენტის თავმჯდომარე დავით ბაქრაძე, რომელსაც კობა სუბელიანმა შეატყობინა, რომ მანიას გამოსახლება შეჩერებულია. მან დავითაიას სუბელიანის სამთავრობო საათზე დაბარების წინადადება მოუწონა, თუმცა დეპუტატს რეგლამენტის შესაბამისად საკითხის წერილობითი სახით დაყენება ურჩია.

გიგი უგულავამ სტუდენტებს მერიის ახალი პროექტი გააცნო

თბილისის მერმა გიგი უგულავამ თსუ-ს იურიდიული ფაკულტეტის მერიის ახალი პროექტი - "თბილისელების ადვოკატი" სტუდენტებს გააცნო.

თბილისის მერია სტუდენტებს სტაჟირების ახალ პროგრამას და კვლიფიკაციის ამაღლებას, ხოლო მოქალაქეებს უფასო იურიდიულ დახმარებას სთავაზობს. სააგენტო "ჯი-ეიჩ-ენ"-ის ცნობით, სამთვიანი სტაჟირების პერიოდში სტუდენტები უფასო იურიდიულ მომსახურებას იმ მოქალაქეებს გაუწევენ, რომლებიც მერიას და სხვადასხვა რაიონის გამგეობებს სოციალური პრობლემებით მიმართავენ.

პირველ ეტაპზე სტაჟირებას 100 სტუდენტი გაივლის. თბილისის მერმა პროექტი რამდენიმე კვირის წინ წარმოადგინა. უგულავას განცხადებით, თბილისელებს შესაძლოა, პრობლემები ჰქონდეთ ყველა უწყების, მათ შორის მერიის სამსახურების მიმართაც. ამიტომ მნიშვნელოვანია, რომ პროექტი მერიისგან აბსოლუტურად დამოუკიდებელი იყოს.

საქართველო ისლამურ რესპუბლიკაში მომხდარ ტერორისტულ აქტს გმობს

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო პაკისტანის ისლამურ რესპუბლიკაში მომხდარ ტერორისტულ აქტს გმობს. აღნიშნულის შესახებ ვაშაძის უწყებამ საგანგებო განცხადება გაავრცელა.

სააგენტო "ჯი-ეიჩ-ენ"-ის ცნობით, საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო სამძიმარსა და თანადგომას უცხადებს დაღუპულთა ოჯახებსა და მათ ახლობლებს. ცნობისათვის - პაკისტანის ისლამურ რესპუბლიკის ქალაქ რავალპინდიში გუშინ ტერორისტული აქტი მოხდა, რომელსაც ათეულობით უდანაშაულო ადამიანის სიცოცხლე შეეწირა.

საქართველოს კინემატოგრაფისტთა შემოქმედებითი კავშირი ღრმა მწუხარებას გამოთქვამს თეატრისა და კინოს შესანიშნავი მსახიობის, საქართველოს სახალხო არტისტის

დოდო ჭიჭინაძის

გარდაცვალების გამო და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

პრევენცია პროვოკაციებისგან

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, პროვოკაციებისგან ქვეყნის დასაცავად ხელისუფლების შესაბამისი ორგანოები ჩრდ. კავკასიაში რუსეთის სამხედრო ძალების ყველა შესაძლო გადაადგილებასა და მოქმედებას სწავლობენ. **"ამ ეტაპზე რაიმე კონკრეტულ საფრთხეებზე საუბარი არ არის, თუმცა ეს არ ნიშნავს, რომ რუსეთი პროვოკაციებისთვის მზად არ არის,"** - აღნიშნულია საგარეო პოლიტიკური უწყების განცხადებაში. ამასთან, გასულ კვირას "ნეზავისიმაია გაზეტამ" ჩრდ. კავკასიის სამხედრო ოლქის შტაბის ინფორმირებულ წყაროზე დაყრდნობით გაავრცელა ინფორმაცია ჩრდ. კავკასიაში რუსული სამხედრო შენაერთების ოთხჯერ გაზრდის განზრახვის შესახებ. აგრეთვე, საუბარია ჩრდ. კავკასიის ძალების შემადგენლობაში პირველი ოპერატიულ-ტაქტიკური სარაკეტო კომპლექს "ისკანდერის" დივიზიონის შექნაზეც.

"24 საათი" ესაუბრა საქართველოს პარლამენტის ევროპასთან ინტეგრაციის კომიტეტის თავმჯდომარე დავით დარჩიაშვილს. მან განსაკუთრებული ყურადღება გაამახვილა სარაკეტო კომპლექს "ისკანდერის" შესაძლო განთავსებაზე. პარლამენტარმა საქართველოს საპასუხო ქმედებების შესახებ ისაუბრა. მისი აზრით, თავისთავად ცხადია, რომ საგარეო საქმეთა სამინისტროს განცხადებები ქართული მხარის რეაქციაზე მიანიშნებენ. ფაქტების დადასტურების შემთხვევაში, ქვეყნის ხელისუფლება აპირებს, ეს საკითხი ყველა შესაძლო საერთაშორისო ფორუმზე დასვას. **"რუსეთის ქმედება საერთაშორისო თანამეგობრობის მსჯელობის საგანი გახდება,"** - აცხადებს დარჩიაშვილი. ის მიიჩნევს, რომ საფრთხე, რა თქმა უნდა, არის. თავისთავად, როდესაც მეზობელი ქვეყნა საზღვრების სიახლოვეს ჯარების კონცენტრაციას ახდენს, ყოველთვის არსებობს შეშფოთების საფუძველი. დარჩიაშვილი დასძენს, რომ **"თვისობრივად იცვლება გარემო მდგომარეობა, როდესაც მეზობელი ქვეყანა აგრესორია, მით უმეტეს, ცოტა ხნის წინათ ის საქართველოს წინააღმდეგ განსაკუთრებული მასშტაბის აგრესიით გამოირჩეოდა."** ყოველივე ამის გათვალისწინებით, დარჩიაშვილის აზრით, საფრთხე პირდაპირი მნიშვნელობით არსებობს. რაც შეეხება, ქართული სპეცსამსახურების მიერ ინფორმაციის მოპოვებას, მან განაცხადა, რომ **"ოპერატიული ხელოვნების და საქმიანობის დეტალებში ვერ ჩავღრმავდებით, მაგრამ ამის მეთოდიკა არსებობს და ვისაც ეს პროფესიულად ევალება, მან იცის, რა და როგორ უნდა გააკეთოს."**

საკუთარი ინფორმაცია

სამოქალაქო საზოგადოების ნაწილის მიმართვა

საქართველოს პატრიარქის, უწმინდესისა და უნეტარესის ილია მეორის შეურაცხმყოფელი ვიდეორგოლების გამო, რომლებიც ინტერნეტის საშუალებით გავრცელდა, ორი დღის წინ პროკურატურაში სისხლის სამართლის საქმე აღიძრა.

სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების საკითხებზე გუშინ სახალხო დამცველის ოფისში ჟურნალისტები და არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლები შეიკრიბნენ. მათ გამოხატეს თავიანთი კრიტიკული დამოკიდებულება პატრიარქის შესახებ გავრცელებული ვიდეორგოლების შემქმნელთა მიმართ შინაგან საქმეთა სამინისტროსა და იუსტიციის სამინისტროს მიერ წინასწარ გამოძიების დაწყების ფაქტზე, ასევე, პრეზიდენტის ადმინისტრაციის განცხადების გამო.

გუშინდელ შეხვედრაზე სამოქალაქო საზოგადოების ნაწილმა შინაგან საქმეთა სამინისტროსა და იუსტიციის სამინისტროსადმი ორი მიმართვა მიიღო. მიმართვის ხელმომწერებს მიაჩნიათ, რომ ამ საკითხზე გამოძიების დაწყება სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვას წარმოადგენს, რაც საქართველოს კონსტიტუციასა და ადამიანის უფლებათა საერთაშორისო კონვენციებით გარანტირებულ უფლებებს ეწინააღმდეგება. მათი პოზიციით, ამ ტიპის ქმედებაზე შინაგან საქმეთა და იუსტიციის სამინისტროებს სამართლებრივი საფუძველი არ გააჩნიათ.

გუშინვე მიღებული მეორე მიმართვა ეხება პრეზიდენტის ადმინისტრაციის მიერ გავრცელებულ განცხადებას, სადაც აღნიშნული იყო, რომ პატრიარქის ღირსებისა და პატივის დაცვას ყველანაირი პოლიტიკური, დემოკრატიული მეთოდებით შეეცდებიან. შეხვედრის მონაწილეები ამ განცხადებას დემოკრატიული პრინციპებისგან დაშორებულ პოზიციად მიიჩნევენ. **"საზოგადოებამ უნდა გაიცნობიეროს, რომ კონკრეტული საჯარო ფიგურის შესახებ მომზადებული ვიდეორგოლის შინაარსი შესაძლოა აღმაშფოთებელი იყოს მოსახლეობის ნაწილისთვის, მაგრამ გამოხატვის თავისუფლება არის ის სიკეთე, რითიც ვსარგებლობთ ყველანი - ამ სახელმწიფოს მოქალაქეები, განურჩევლად ჩვენი პოლიტიკური შეხედულებისა, სქესისა თუ ეროვნებისა,"** - აღნიშნა სახალხო დამცველთან არსებული ტოლერანტული ცენტრის ხელმძღვანელმა ბექა მინდიაშვილმა.

პირველ მიმართვას, რომლეზეც "ფეისბუქით" და სხვა ინტერნეტსაიტებით შეიძლებოდა ხელმოწერა, უკვე 300-ზე მეტმა ადამიანმა მოაწერა ხელი, ხოლო მეორეს ამ ეტაპზე - ასამდე ადამიანმა. მიმართვებს შსს-სა და იუსტიციის სამინისტროებს გადასცემენ.

დუმა გრიგოლ ვაშაძისთვის რუსეთის მოქალაქეობის გაუქმებაზე ალაპარაკდა

სალომე გულისაშვილი

რუსეთის დუმა საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრ გრიგოლ ვაშაძისთვის რუსეთის მოქალაქეობის ჩამორთმევაზე ალაპარაკდა.

რუსული მედიით გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, გუშინ აღნიშნული ინიციატივით დუმის სხდომაზე "სამართლიანი რუსეთის" წევრი სემიონ მოგდასაროვი გამოვიდა, რომელიც აღშფოთებულია, "რომ საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრს რუსეთის ფედერაციის მოქალაქეობაც აქვს და ამასთანავე ანტირუსული ხასიათის ქარტიის ჩამოყალიბებას ცდილობს."

დეპუტატმა მოითხოვა, რომ სახელმწიფო სათათბიროს შესაბამის კომიტეტებს დაევალოთ, ამის შესახებ ინფორმაცია რუსეთის საგარეო პოლიტიკური უწყებიდან გამოითხოვონ და ვაშაძისთვის მოქალაქეობის მოხსნის საკითხი განიხილონ.

აღსანიშნავია, რომ თავის დროზე საგარეო საქმეთა მინისტრს ორმაგი მოქალაქეობის გამო პრეტენზიებს ქართული ოპოზიცია უყენებდა, თუმცა მაშინ ამ პრეტენზიებს გრიგოლ ვაშაძემ პასუხი გასცა:

"მე რუსეთის მოქალაქეობა საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ მივიღე, საქართველოს მოქალაქეობა კი - საქართველოს პრეზიდენტის განკარგულებით. მე რუსეთის მოქალაქე ვარ და არა რუსეთის ხელისუფლების. ხელისუფლება წავა, რუსი ხალხი დარჩება და გაიგებს, თუ რა მოხდა აგვისტოში საქართველოში," - განაცხადა მაშინ ვაშაძემ.

გუშინ კი დუმაში წამოყენებულ ინიციატივაზე კომენტარი საგარეო პოლიტიკური უწყების პრესისა და ინფორმაციის დეპარტამენტის დირექტორმა ია მახარაშვილმა გააკეთა. მისი განცხადებით, საგარეო საქმეთა მინისტრი გრიგოლ ვაშაძე დუმის დეპუტატის განცხადების გამო ნაწყენი ნამდვილად არ არის. **"მისთვის სასიამოვნოც კია, რომ შეუერთდა იმ ადამიანების სიას, როგორებიც არიან როსტროპოვიჩი, სოლჟენიცინი და ლუბიმოვი." "მინისტრისთვის ეს ნაბიჯი მოულოდნელი არ ყოფილა, პირიქით მიიჩნევს, რომ დაგვიანებულიც კი არის,"** - განაცხადა ია მახარაშვილმა.

რაც შეეხება იმას, რუსეთთან ომის შემდეგ რამდენად მისაღები იყო საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრისთვის რუსეთის მოქალაქეობის შენარჩუნება, ია მახარაშვილმა აღნიშნა, რომ ეს მისი კონსტიტუციური უფლება იყო, რომელიც გამოიყენა.

გაზეთ "24 საათის" გამომცემელი შპს "მვპ". რედაქტორ-გამომცემლები: მამუკა ფაჩუაშვილი, პაატა ვეშაპიძე.
რედაქცია: სოფიკო ჩხაიძე (მთავარი რედაქტორი), **რედაქტორები:** მაია ჭალაგანიძე (საზოგადოება,Weekend), ინგა ალავიძე (სამართალი), დავით ნინიკაშვილი (ბიზნესი), ივა შილაკაძე (უცხოეთი)
სოფო კილასონია (რევიუ), კახა ფაჩუაშვილი (სპორტი). **რეკლამის და მარკეტინგის მენეჯერი** *ირაკლი ლეჟავა* ტელ: 899 22 09 49. **კომპიუტერული ცენტრი:** თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), ირმა ჯიშკარიანი, თენგიზ ქირია, ნინო ყაველაშვილი
რედაქციის მისამართი: თბილისი, 01-86. ირაკლი გამრეკელის ქ.51. ტელ: 20-24-24, 31-91-03 (06, 07), 31-93-90 (91). ფაქსი: 31-93-86. ელ-ფოსტა: public@24hours.ge

გამსახურდია ერთხმად მიიღეს

პირველი გვერდიდან

ჰოსპიტალური რეფორმის შედეგებს საპარლამენტო კომიტეტი განიხილავს

გუშინ ცნობილი გახდა, რომ პარლამენტის ჯანდაცვის კომიტეტი ქვეყნის ჰოსპიტალურ სექტორში არსებული მდგომარეობის შესახებ უახლოეს ორ კვირაში კომიტეტის სპეციალურ სხდომას გამართავს. საკომიტეტი მოსმენა ჯანდაცვის უწყების პირველი პირების და კომპანია "ბლოკ-ჯორჯიას" წარმომადგენლების მონაწილეობით გაიმართება, რომელთა კრიტიკითაც დაიწყო პარლამენტის გუშინდელი პლენარული სხდომა.

"ქრისტიან-დემოკრატები" კომპანია "ბლოკ ჯორჯიას", რომელიც მესამე წელია, ქვეყნის ჰოსპიტალურ სექტორს მართავს, აღებული ვალდებულებების შეუსრულებლობაში ადანაშაულებენ და მასთან გაფორმებული ხელშეკრულების სასწრაფოდ გაუქმებას მოითხოვენ. პარლამენტის პლენარულ სხდომაზე "ბლოკ ჯორჯიას" კრიტიკით დეპუტატები მაგდა ანიკაშვილი, ლევან ვეფხვაძე და გიორგი თარგამაძე გამოვიდნენ. "ქრისტიან-დემოკრატების" მტკიცებით, **"დღეს ქვეყნის საავადმყოფოები არათუ საერთაშორისო, არამედ ელემენტარულ სტანდარტებსაც ვერ აკმაყოფილებენ. საავადმყოფოებში არსებული ანტისანიტარია კი ჯანმრთელი ადამიანებისთვისაც საფრთხეს წარმოადგენს. პრობლემებია მენეჯმენტშიც და ერთნაირად უხეშად ირღვევა როგორც პაციენტების, ასევე სამედიცინო პერსონალის უფლებები. საინტერესოა, ვინ მფარველობს ხელისუფლებაში "ბლოკ ჯორჯიას", რომელსაც მთელი ამ ხნის განმავლობაში არც ერთი აღებული ვალდებულება არ შუსრულებია და სრულიად უუნაროა ჰოსპიტალურ სექტორში მდგომარეობის გამოსასწორებლად,"** - აცხადებენ "ქრისტინ-დემოკრატები".

კომპანია "ბლოკ ჯორჯიას" საქმიანობის გადახედვას საპარლამენტო უმრავლესობის წევრი, ვანის მაჟორიტარი დეპუტატი ბეჟან ხურციძეც ითხოვს. ჰოსპიტალურ სექტორში შექმნილ მძიმე ვითარებაზე ხურციძეც საუბრობს და აღნიშნულ კომპანიას "ხალხის ტერორში" ადანაშაულებს. **"ხალხი ფიქრობდა, რომ კომპანია საავადმყოფოებს ააშენებდა და დაწესებულებებს თანამედროვე ინვეტარით მოაწყობდა, თუმცა მან მუშაობა საკადრო პოლიტიკით დაიწყო. საავადმყოფოებში დაიწყეს რაღაც გაურკვეველი მენეჯმენტით მუშაობა, მათ მიერ აღებული ვალდებულებები კი არ სრულდება. პროფესორებმა და აკადემიკოსებმა არ იციან, რა გააკეთონ,"** - განაცხადა ხურციძემ.

მიუხედევად იმისა, რომ ჰოსპიტალურ სექტორში შექმნილი სიტუაცია რამდენჯერმე ქვეყნის მთავრობის სხდომაზეც იქნა განხილული და ზოგიერთი ინფორმაციით, ეკონომიკის მინისტრის შეცვლის ერთ-ერთ საფუძვლადაც იქცა, უმრავლესობის ლიდერები ამ მიმართულებით არსებულ პრობლემებზე ღიად არ საუბრობენ. მეტიც - საპარლამენტო უმრავლესობის ლიდერები "ქრისტიან-დემოკრატებს" კერძო კომპანიებისადმი შერჩევით ლობირებაში ადანაშაულებენ. "ქრისტიან-დემოკრატებს" ეს ბრალდება პეტრე ცისკარიშვილმა კომპანია "ბლოკ ჯორჯიას" მისამართით გაკეთებული კრიტიკული განცხადებების საპასუხოდ წაუყენა. **"არ შეიძლება კომპანიების ამორჩევა იმის მიხედვით, ვისთან გაქვს კარგი ურთიერთობა და მომავალში ვისთან უნდა შეინარჩუნო ეს ურთიერთობა. თუ კერძო ბიზნესს უჭერ მხარს, მაშინ ყველა კომპანიას ერთად უნდა უჭერდე მხარს,"** - განაცხადა პეტრე ცისკარიშვილმა და აქვე ისიც აღნიშნა, რომ **"ცოტა ხნის წინ "ქრისტიან-დემოკრატები" ერთ-ერთ კერძო კომპანიას ვადაგასული პროდუქციის გასაღებაშიც ლობირებდნენ და "ბლოკ-ჯორჯიას" მიმართ ასეთი რეაქცია გაუგებარია".**

სესიაზე "ქრისტიან-დემოკრატების" ბრალდებებისგან "ბლოკ ჯორჯიას" დაცვა პარლამენტის ვიცე-სპიკერმა გიგი წერეთელმაც სცადა, რომლის შეფასებით, კომპანიის მუშაობა ისეთმა ობიექტურმა მიზეზებმა შეფერხა, როგორიც მსოფლიო ფინანსური კრიზისი და აგვისტოს ომი იყო. **"აღნიშნულ საკითხზე პარლამენტი მთავრობასთან ინტენსიურად მუშაობს. ჰოსპიტალური სექტორის განვითარების ახალ ხედვას მთავრობა უახლოეს პერიოდში გამოაქვეყნებს,"** - განაცხადა გიგი წერეთელმა.

პარლამენტის ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომიტეტში აღიარებენ იმას, რომ საკითხი განხილვის ღირსია. კომიტეტის წარმომადგენელმა გუშინ კომპანიის დაცვაც სცადა, თუმცა ისიც თქვა, რომ საკითხზე საპარლამენტო კომიტეტი უახლოეს პერიოდში ყველა მხარის მონაწილეობით იმსჯელებს.

"ბოლო სამი წლის განმავლობაში ქვეყანაში რამდენიმე თანამედროვე ტიპის ჰოსპიტალი აშენდა, სადაც თანამედროვე სტანდარტები დაინერგა და ძნელია იქ ჭუჭყისა და ანტისანიტარიის ნახვა. თუმცა ქვეყანაში ასევე არსებობს ძველი და ამორტიზირებული საავადმყოფოებიც. ჰოსპიტალური სექტორი მხოლოდ მშენებლობები და საავადმყოფოები არ არის, ეს არის მართვის პრინციპები, რომელიც უნდა დაინერგოს. ვიცი, რომ გარკვეულ საავადმყოფოებში საკადრო და სამკურნალო პოლიტიკაში ჩარევა ხდება, მაგრამ ეს მხოლოდ "ბლოკ ჯორჯიას" ბრალი არ არის, ეს ჩვენი საექიმო საზოგადოების ბრალიცაა, რომელსაც მოვუწოდებ, რომ ცოტა უფრო ყურადღებით მოეკიდონ პაციენტთან ურთიერთობას და პაციენტის უფლებების დაცვას," - განაცხადა ჯანდაცვის საპარლამენტო კომიტეტის თავმჯდომარემ ოთარ თოიძემ ფრაქცია "ქრისტიან-დემოკრატების" წარმომადგენლების კრიტიკის საპასუხოდ.

"ქრისტიან-დემოკრატები" უშიშროების საბჭოს მოწვევას ითხოვენ

ფრაქცია "ქრისტიან-დემოკრატების" წევრი ნიკა ლალიაშვილი ლარსის სასაზღვრო-გამშვები პუნქტის გახსნის საკითხზე უშიშროების საბჭოს მოწვევას ითხოვს. დეპუტატის მტკიცებით, ჩრდილოეთ კავკასიაში გამწვავებული ვითარების ფონზე ლარსის გამშვები პუნქტის გახსნა მიზანშეწონილი არ არის. პლენარულ სხდომაზე ლალიაშვილმა ხელისუფლებას მოუწოდა, აღნიშნულ საკითხს სერიოზულად მოეკიდონ და საბოლოო გადაწყვეტილება უშიშროების საბჭო ფორმატში მიიღონ. **"ლარსის გამშვები პუნქტის გახსნა დიდი საფრთხის შემცველია. ამ ნაბიჯით ყაზბეგს ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციის დიდი შანსი მიეცემა და ამით ადგილობრივი მოსახლეობაც ისარგებლებს, მაგრამ საკითხი საფრთხის შემცველია. ჩრდილოეთ კავკასიაში მწვავე პროცესები მიმდინარეობს და საქართველოს ტერიტორიაზე თავის შეფარების მიზნით შესაძლოა, ჩრდილოეთ კავკასიიდან შეიარაღებული ჯგუფების შემოღწევა მოხდეს. საკითხის ასე ერთბაშად და ხელაღებით გადაწყვეტა არ შეიძლება. ხელისუფლებამ უნდა აიღოს პასუხისმგებლობა, უშიშროების საბჭო არა სატელევიზიო შოუს რეჟიმში, არამედ სამუშაო რეჟიმში შეკრიბოს და აღნიშნული საკითხი გადაწყვიტოს,"** - აცხადებს ნიკა ლალიაშვილი.

ცნობისათვის - ორშაბათის ბრიფინგზე საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ ნინო კალანდაძემ უარყო ყაზბეგი-ზემო ლარსის სახმელეთო საზღვრის გახსნასნის შესახებ პირდაპირი მოლაპარაკებები რუსეთთან, თუმცა დაადასტურა ამ თემაზე ტექნიკური მოლაპარაკებების არსებობა სომხეთთან.

სახმელეთო მიმოსვლა საქართველოსა და რუსეთს შორის 2006 წლის ივლისში რუსეთის მიერ ზემო ლარსის სასაზღვრო-გამშვები პუნქტის ჩაკეტვასთან ერთად შეწყდა. ეს სატრანზიტო გზა შესაბამისად სომხეთისთვისაც დაიხურა.

მაისში საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრომ განაცხადა, რომ თბილისს მოსკოვმა შეატყობინა თავისი მზადყოფნის შესახებ, გახსნას ყაზბეგი-ზემო ლარსის სასაზღვრო-გამშვები პუნქტი; თუმცა, მას შემდეგ არანაირი გადაწყვეტილება არ ყოფილა მიღებული.

დავითაია - აფხაზეთიდან დევნილთა უფლებებზე

პარლამენტის წევრმა პაატა დავითაიამ გუშინ საპარლამენტო სხდომაზე აფხაზეთიდან დევნილების საერთო საცხოვრებლებიდან გამოსახლების შესახებ გააკეთა განცხადება. დეპუტატმა მაგალითად მოიყვანა აფხაზეთიდან დევნილ მამუკა მანიას შემთხვევა, რომელიც აქამდე ახალგორიდან და სამაჩაბლოდან დევნილებთან ერთად გორში, საერთო საცხოვრებელში ცხოვრობდა. იმის გამო, რომ ის აფხაზეთიდან დევნილია, გუშინ სახლიდან გამოაძევეს. **"მანიას უთხრეს, რომ მის პრობლემაზე აფხაზეთის ლეგიტიმურმა მთავრობამ უნდა იზრუნოს. დევნილების ასეთი დაყოფა მიუღებელია,"** - აღნიშნა ვიცე-სპიკერმა. პაატა დავითაიამ პარლამენტის ხელმძღვანელობას დევნილთა პრობლემებისადმი მაქსიმალური ყურადღება და მის წერილებზე რეაგირება სთხოვა. პაატა დავითაიამ სამთავრობო საათზე ლტოლვილთა და განსახლების მინისტრ კობა სუბელიანის მოწვევის საკითხი დააყენა. აღნიშნულ განცხადებას გამოეხმაურა დავით ბაქრაძე, რომელმაც გამოთქვა იმედი, რომ ლტოლვილთა და განსახლების მინისტრი მხედველობაში მიიღებს პარლამენტის წევრის მიერ გამოთქმულ შენიშვნებსა და მოსაზრებებს. **"წინააღმდეგ შემთხვევაში, იძულებული ვიქნებით, მივიღოთ რეგლამენტის შესაბამისი ზომები,"** - განაცხადა პარლამენტის თავმჯდომარემ.

გუშინვე, სხდომის მიმდინარეობისას, დავით ბაქრაძემ დეპუტატებს აცნობა, რომ მას ლტოლვილთა და განსახლების მინისტრი დაუკავშირდა. პარლამენტის თავმჯდომარის ინფორმაციით, მინისტრი მზად არის, პაატა დავითაიას მიერ დასახელებული ფაქტები დეტალურად შეისწავლოს და შესაბამისი რეაგირება მოახდინოს.

ცაგარეიშვილი ინფორმაციას ითხოვს, ბაღათურია - პენსიების გაზრდას

დეპუტატ გიორგი ცაგარეიშვილის განცხადებით, მას ფინანსთა სამინისტროდან, მოთხოვნილი საკანონმდებლო აქტების ნაცვლად, გაურკვევევლი შინაარსის წერილები მისდის. აქვე ცაგარეიშვილმა პარლამენტისა და აღმასრულებელი ხელისუფლების ურთიერთობაზე გააკეთა აქცენტი. დავით ბაქრაძის განმარტებით, პარლამენტის წევრს უფლება აქვს, მოითხოვოს, ხოლო ხელისუფლება ვალდებულია, მიაწოდოს მას საჭირო ინფორმაცია. თუმცა პარლამენტის თავმჯდომარემ დეპუტატს აქვე შეახსენა, რომ აღმასრულებელ ხელისუფლებასთან ურთიერთობის ფონი და სტილი ყოველთვის უნდა ვაკონტროლოთ და არა მხოლოდ მაშინ, როცა მათგან რამე გვჭირდება.

"ქართული დასის" ლიდერმა ჯონდი ბაღათურიამ პენსიების საარსებო მინიმუმთან გათანაბრების ახალი ვარიანტი გააცნო პარლამენტს. მისი თქმით, პენსიების ზრდა სამ ეტაპად, ოცდახუთ-ოცდახუთი ლარით შეიძლება წარიმართოს. მიუხედავად იმისა, რომ ბაღათურიამ 2010 წლის ბიუჯეტის პროექტს საარჩევნო კამპანიის ბიუჯეტი უწოდა, იქვე დაამატა, რომ მასში "მოძიებული" აქვს 550 მლნ. ლარი, რომელიც პენსიების გასაზრდელად სრულიად საკმარისი იქნება. პარლამენტის თავმჯდომარემ განაცხადა, რომ მზად არის, გულისყურით გაეცნოს ბიუჯეტის პროექტში ბაღათურიას მიერ "მოძიებულ" სახსრებს .

დღის წესრიგი

პლენარულ სხდომაზე პირველი მოსმენით განიხილეს ლევან ვეფხვაძის ინიციატივა "საქართველოს პარლამენტის რეგლამენტში ცვლილებებისა და დამატების შეტანის თაობაზე", რომლის მიხედვით, პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილეები, უმრავლესობისა და უმცირესობის ლიდერები კომიტეტების საქმიანობაში ჩაერთვებიან. პირველი მოსმენით განიხილეს აგრეთვე კანონპროექტი "უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონში ცვლილებებისა და დამატებების შესახებ". განათლებისა და მეცნიერების მინისტრ მაია კოპალეიშვილის განმარტებით, კანონპროექტი ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შემოღებას ითვალისწინებს. ასევე განსაზღვრავს მთავრობის უფლებამოსილებას, დაადგინოს სასწავლო გრანტის დაფინანსების მოცულობა და ოდენობა იმ სტუდენტებისთვის, რომლებიც ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამას გადიან. **"კანონპროექტი უცხოეთში სწავლის პერიოდში მიღებული განათლების ან კვალიფიკაციის აღიარების საკითხებსაც ითვალისწინებს,"** - განაცხადა მინისტრის მოადგილემ. მანვე წარმოადგინა კანონპროექტი "ზოგადი განათლების შესახებ" საქართველოს კანონში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე".

ცნობისათვის - მიმდინარე კვირას პარლამენტარები პლენარულ სხდომაზე კენჭს უყრიან უკვე განხილულ 50-ზე მეტ კანონპროექტს, სხვადასხვა მოსმენით განიხილავენ 40-მდე კანონპროექტს.

უმაღლეს სასწავლებლებში სტაჟირების მსურველთა საბუთების მიღება უკვე დაწყებულია.

ზოგად უნარებში ტესტურ დავალებათა რიცხვი შემცირდა

ზოგად უნარებში ტესტურ დავალებათა რიცხვი შემცირდა. როგორც "ინტერპრესნიუსს" გამოცდების ეროვნული ცენტრის ზოგადი უნარების ჯგუფის ხელმძღვანელმა სოფო დოლიძემ განუცხადა, 2010 წელს ზოგადი უნარების ტესტურ დავალებათა რიცხვი წინა წლებთან შედარებით მცირე იქნება.

"ზოგად უნარებში 2010 წლის ერთიან ეროვნულ გამოცდებზე ტესტურ დავალებათა საკითხების რიცხვი 100-დან 80-მდე შემცირდება. აქედან 40 საკითხი ვერბალურ, ხოლო 40 მათემატიკურ ნაწილს ეკუთვნის. გამოცდისთვის განკუთვნილი დრო არ მცირდება და კვლავინდებურად სამ საათს გასტანს," - განაცხადა დოლიძემ. მისივე განმარტებით, შენარჩუნდება დავალებათა ყველა ტიპი, რომელიც აბიტურიენტის უნარებს ისევე სარწმუნოდ შეამოწმებს, როგორც აქამდე ამოწმებდა.

თბილისში ბაქტერიული მენინგიტის კიდევ სამი შემთხვევა დაფიქსირდა

თბილისში ბაქტერიული მენინგიტის სამი ახალი შემთხვევა დაფიქსირდა. იაშვილის სახელობის კლინიკაში ბაქტერიული მენინგიტის დიაგნოზით ერთი და ექვსი წლის ბავშვები მიიყვანეს.

ექიმების თქმით, მათი მდგომარეობა ამ დროისთვის დამაკმაყოფილებელია. 155-ე საჯარო სკოლაში, სადაც ერთ-ერთი მათგანი სწავლობს, უკვე ჩატარდა სადეზინფექციო სამუშაოები.

სააგენტო "ჯი-ეიჩ-ენ"-ის ინფორმაციით, იაშვილის კლინიკაში ამჟამად აღნიშნული დიაგნოზით 11 ადამიანია მოთავსებული. მათ სიცოცხლეს საფრთხე არ ემუქრება.

როგორც "ინტერპრესნიუსს" დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანდაცვის ეროვნული ცენტრის დირექტორმა პაატა იმნაძემ განუცხადა, ბაქტერიული მენინგიტი ეპიდემიოლოგიურად საშიში არ არის.

წლის დასაწყისიდან დღემდე გამოვლენილია 106 შემთხვევა, გასულ წელს კი - 171.

ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული პარკისთვის გრანტს გამოყოფენ

გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრმა გიორგი ხაჩიძემ, დაცული ტერიტორიების სააგენტოს თავმჯდომარემ გიორგი შონვაძემ და "კავკასიის დაცული ტერიტორიების ფონდის (CPAF) აღმასრულებელმა დირექტორმა დევიდ მორისონმა საგრანტო ხელშეკრულებას მოაწერეს ხელი.

შეთანხმების მიხედვით, ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული პარკის მხარდასაჭერად, 2010-1012 წლებისთვის "კავკასიის დაცული ტერიტორიების ფონდი" გამოყოფს 277 000 ევროს დაფინანსებას, რომელიც ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული პარკის ადმინისტრაციული შენობის და ვიზიტორთა ცენტრის რეაბილიტაციას მოხმარდება.

ჯი-ეიჩ-ენი

რუსეთმა საბჭოთა კავშირის დროინდელი პასპორტების მოქმედება გააგრძელა

აფხაზეთის მცხოვრებთათვის რუსეთმა საბჭოთა კავშირის დროინდელი პასპორტების მოქმედება გააგრძელა. ამის შესახებ სეპარატისტული აფხაზეთის ე.წ. საგარეო საქმეთა მინისტრმა სერგეი შამბამ განაცხადა. მისი თქმით, ამ პასპორტებს აფხაზეთის მოქალაქეები ე.წ. რუსეთ-აფხაზეთის საზღვრის გადაკვეთისას წარადგენდნენ.

აღსანიშნავია, რომ რამდენიმე ხნით ადრე რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტრომ სეპარატისტულ აფხაზეთს აცნობა, რომ ნოემბრის დასაწყისიდან საბჭოთა კავშირის დროინდელი პასპორტების მოქმედება წყდებოდა.

"რუსეთის მთავრობის გადაწყვეტილების გამო პასპორტების მოქმედების შეწყვეტით ჩვენს მოქალაქეებს შესაძლოა, პრობლემები შექმნოდათ. ვაცნობიერებთ რა ამას, თავი ვალდებულად ჩავთვალეთ, რუსული მხარის წინაშე პასპორტების მოქმედების გაგრძელების საკითხი დაგვეყენებინა," - აცხადებს სერგეი შამბა და დასძენს, რომ რამდენიმე დღის წინ აფხაზეთში რუსეთიდან ჩამოსული დელეგაცია იმყოფებოდა, რომლის შემადგენლობაში რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენელიც შედიოდა. სწორედ მასთან განიხილეს ეს საკითხი. თავის მხრივ, რუსულმა მხარემ მიიღო აფხაზეთის თხოვნა და გადაწყვიტა, ამ პასპორტების მოქმედება მომდევნო წლის მარტის თვემდე გაეგრძელებინა. შამბა ასევე განმარტავს, რომ ახალი აფხაზური ე.წ. პასპორტები უკვე შეკვეთილია და "როდესაც პასპორტები მზად იქნება, ეს პრობლემაც მოგვარდება".

"სახალხო ბანკი" პედაგოგების დაკრედიტების პროგრამას აგრძელებს

"სახალხო ბანკი" პედაგოგების დაკრედიტების პროგრამას აგრძელებს.

3 ნოემბრიდან ამ პროგრამით არა მარტო სკოლების, არამედ ბაგა-ბაღების პედაგოგებიც ისარგებლებენ

"სახალხო ბანკის" სახელფასო პროგრამაში ჩართული სკოლამდელი აღზრდის დაწესებულების 5736 პედაგოგს საშუალება ეძლევა, მიიღოს ერთწლიანი სესხი ყოველთვიური ხელფასის სამმაგი ოდენობით.

"სახალხო ბანკის" გენერალური დირექტორის მოადგილე ზურაბ წულაიას განცხადებით, "ბანკი აგრძელებს პედაგოგების დაკრედიტების პროგრამას მთელი საქართველოს მასშტაბით. უახლოეს მომავალში სკოლის პედაგოგებს, რომლებიც ჩართულები არიან "სახალხო ბანკის" სახელფასო პროგრამაში, შესაძლებლობა ექნებათ, აიღონ სესხი ყოველთვიური ხელფასის ხუთმაგი ოდენობით. ამასთანავე, იგეგმება ბაგა-ბაღების პედაგოგების სესხების მოცულობის გაზრდაც."

"სახალხო ბანკის" მომსახურებით საქართველოში მოქმედი 2 044 საჯარო სკოლიდან 1 600-მდე სკოლა სარგებლობს. აღნიშნული პროგრამით სესხი 30 ათასი მასწავლებლისთვისაა ხელმისაწვდომი.

საბანკო სექტორის მოგებამ სექტემბერში 7.7 მლნ ლარი შეადგინა

საბანკო სექტორის მოგებამ მიმდინარე წლის სექტემბერში 7.7 მლნ ლარი შეადგინა. როგორც "ინტერპრესნიუსს" ეროვნული ბანკიდან აცნობეს, ბანკების მთლიანი აქტივები მიმდინარე წლის 1 ოქტომბრის მონაცემებით 1.3 მლნ ლარით ანუ 0.02 პროცენტით შემცირდა და 7 877 100 000 ლარი შეადგინა. საბანკო სექტორის საკუთარი სახსრები 1 მლრდ 511 მლნ ლარზე დაფიქსირდა, რაც კომერციული ბანკების მთლიანი აქტივების 19.2 პროცენტია.

უცხოური კაპიტალის მონაწილეობა ბანკების მთლიან განაღდებულ საწესდებო კაპიტალში 77.4 პროცენტს შეადგენს.

ხუთი უმსხვილესი აქტივების მქონე ბანკის წილი საბანკო სექტორის მთლიან აქტივებში წინა თვესთან შედარებით 0.1 პროცენტული პუნქტით გაიზარდა და 79.8 პროცენტს მიაღწია.

მიმდინარე წლის 1 ოქტომბრის მდგომარეობით, საქართველოს საბანკო სექტორი 19 კომერციული ბანკითაა წარმოდგენილი; მათ შორის 13 - საწესდებო კაპიტალში უცხოური კაპიტალის მონაწილეობით და 2 - უცხოური ბანკის ფილიალით. **ინტერპრესნიუსი**

ნავთობის ფასები გუშინდელი ვაჭრობის შედეგად გაიზარდა

მსოფლიო ბაზარზე ნავთობის ფასები გუშინდელი ვაჭრობის შედეგად გაიზარდა. სააგენტო "როიტერის" ინფორმაციით, ლონდონის ბირჟაზე Brent Crude მარკის ნავთობის ფასი ბარელზე 1.35 აშშ დოლარით გაიზარდა და 76.55 აშშ დოლარი შეადგინა.

ნიუ-იორკის ბირჟაზე კი Light Sweet Crude მარკის ნავთობის ფასი ბარელზე 1,13 აშშ დოლარით გაიზარდა და 78.13 აშშ დოლარზე დაფიქსირდა. **ინტერპრესნიუსი**

ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნულ პარკს კავკასიის დაცული ტერიტორიების ფონდი გრანტს გამოუყოფს

ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნულ პარკს კავკასიის დაცული ტერიტორიების ფონდი გრანტს გამოუყოფს. როგორც "ინტერპრესნიუსს" გარემოს დაცვის სამინისტროს დაცული ტერიტორიების სააგენტოდან აცნობეს, ამასთან დაკავშირებით გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრმა გიორგი ხაჩიძემ, დაცული ტერიტორიების სააგენტოს თავმჯდომარემ გიორგი შონვაძემ და "კავკასიის დაცული ტერიტორიების ფონდის" (CPAF) აღმასრულებელმა დირექტორმა დევიდ მორისონმა საგრანტო ხელშეკრულებას ხელი მოაწერეს.

შეთანხმების მიხედვით, ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული პარკის მხარდასაჭერად, 2010-1012 წლებისთვის "კავკასიის დაცული ტერიტორიების ფონდი" 277 000 ევროს გამოყოფს. აღნიშნული თანხა ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული პარკის ადმინისტრაციული შენობის და ვიზიტორთა ცენტრის რეაბილიტაციას მოხმარდება. **ინტერპრესნიუსი**

"თიბისი ბანკმა" 2009 წელი წარმატებით გაიარა

სოფო ჩიხლაძე

"თიბისი ბანკმა" ახალი აქცია - მადლობის კამპანია დაიწყო, რომლის ფარგლებშიც ბანკის წარმომადგენლები შეეცდებიან, მადლიერება გამოხატონ ყველა იმ ერთგული კლიენტის მიმართ, რომლებმაც 2009 წლის რთული პერიოდი "თიბისი ბანკთან" ერთად გაიარეს - ანდეს თავიანთი ანაბრები და პატიოსნად შეასრულეს ბანკის წინაშე აღებული სასესხო ვალდებულებები. ამის შესახებ "თიბისი ბანკში" გამართულ პრესკონფერენციაზე ბანკის პრეზიდენტმა ვახტანგ ბუცხრიკიძემ ისაუბრა. მან ასევე ბანკის მიერ განვლილი 2009 წლის 9 თვის შედეგებზეც გაამახვილა ყურადღება. **"კამპანიის ფარგლებში, "თიბისი ბანკის" ყველა ერთგული კლიენტი ბანკისგან საჩუქრად მიიღებს საგანგებო პლასტიკურ ბარათებს, რომლის მფლობელებიც განსაკუთრებული შეღავათებითა და ფასდაკლებებით ისარგებლებენ. კერძოდ: ინტერნეტ-ბანკი და დაირექტ დებეტი - რეგისტრაცია და პირველი წელი მათთვის უფასო იქნება; სადებეტო ბარათებზე პირველი წლის საკომისიო - 50% განისაზღვრება; "თიბისი ბანკის" საბავშვო და ზრდად დეპოზიტებზე - სტანდარტულზე 1%-ით მეტი სარგებელი დაერიცხება; იპოთეკური, სამომხმარებლო და ავტოსესხები - სტანდარტულზე 1%-ით ნაკლები იქნება,"** - აცხადებს "თიბისი ბანკის" პრეზიდენტი ვახტანგ ბუცხრიკიძე.

როგორც პრესკონფერენციაზე ითქვა, 2009 წელი, რომელიც ეკონომიკურად ყველაზე რთული იყო უახლოეს წარსულში, "თიბისი ბანკმა" წარმატებით გაიარა. შესაბამისად, ბანკმა გადალახა ყველა სირთულე და მყარად, ფინანსურად ძლიერებით გადადის ახალ, პოსტკრიზისული განვითარების ეტაპზე. **"ყველა ფინანსური ინდიკატორის მიხედვით "თიბისი ბანკი" დღეს საუკეთესოა ბაზარზე და გააჩნია დიდი შესაძლებლობები იმისათვის, რომ ფინანსურად გააძლიეროს ერთგული კლიენტები და გვერდში დაუდგეს მათ სხვადასხვა მიზნების მიღწევაში. მიგვაჩნია, რომ ჩვენს ერთგულ კლიენტებთან ერთად, "თიბისი ბანკის" წარმატებებში მნიშვნელოვანი წვლილი მიუძღვით მედიის წარმომადგენლებს. ამიტომ მინდა, მათ დიდი მადლობა გადავუხადოთ,"** - ამბობს ვახტანგ ბუცხრკიძე.

2009 წლის დასაწყისიდან დღემდე, საერთაშორისო ფინანსური მხარდაჭერის ფარგლებში, "თიბისი ბანკში" განხორციელდა 161 მილიონი აშშ დოლარის ინვესტიცია და ბანკის აქციონერთა რიცხვს ოთხი უმსხვილესი საფინანსო ინსტიტუტი შეემატა: **EBRD, FMO, JP Morgan** და **Ashmore.** აქციონერთა შორის კვლავ რჩებიან **IFC, DEG** და ქართველი კერძო პირები. ასევე მიმდინარე წელსსსაერთაშორისო სარეიტინგო სააგენტომ **FitchRatings** "თიბისი ბანკს" რეიტინგი აუმაღლდა და მანამდე არსებული "B" კატეგორიის ნაცვლად, "B+" მიანიჭა. ხარისხის მართვის სისტემებში მსოფლიო ლიდერმა კომპანიამ **SAI GLOBAL**, "თიბისი ბანკის" მენეჯმენტის ხარისხის სისტემა შეაფასა და ბანკს ხარისხის მართვის სისტემის საერთაშორისო სერტიფიკატი **ISO** 9001 : 2008 კიდევ ერთხელ მიანიჭა. სავალუტო გადარიცხვების მაღალი ხარისხის მაჩვენებლის მიხედვით, "დოიჩე ბანკმა" "თიბისი" საუკეთესო ბანკად დაასახელა და "**2008 USD STP Excellence Award"** სერტიფიკატი გადასცა;

2009 წელს გაიხსნა "თიბისი ბანკის" 4 ახალი ფილიალი და 1 სერვისცენტრი ზაჰესში. ბანკმა დანერგა ახალი, "ბონუს ანაბარი", რომელიც წარმოადგენს დაგროვების მარტივ და მოქნილ სისტემას. "თიბისი ბანკი" წარმატებით აგრძელებს ანაბრების წამახალისებელ გათამაშებას "გახდი მილიონერი", რომლის ფარგლებში უკვე ექვსმა მეანაბრემ მოიგო ოროთახიანი ბინა ვაკეში, ჭავჭავაძის 5-ში. მიმდინარე წლის ოქტომბრიდან "თიბისიში" გამარტივდა სესხის გაცემის პროცედურა, მკვეთრად შემცირდა საპროცენტო განაკვეთები ავტოგანვადებებზე, სამომხმარებლო და იპოთეკურ სესხებზე. "თიბისი ბანკმა" საკრედიტო ბაზარზე დანერგა ახალი ტიპის სასესხო პროდუქტი "ენერგოკრედიტი" და პირველად საქართველოში, ფიზიკურ პირებს ენერგოეფექტურობის სესხებით დააფინანსებს; 2009 წლის აპრილიდან "თიბისი ბანკის" მიერ დაინერგა სწრაფი გადახდების ახალი მომსახურება "თიბისი ფეი", რომლის საშუალებით საბანკო ოპერაციების განხორციელებას ბანკში მიუსვლელად შეძლებთ;

გარდა ამისა, "თიბისი ბანკმა" განვლილი 9 თვის განმავლობაში თითქმის ყველა ძირითადი ფინანსური მაჩვენებელი გააუმჯობესა: 2009 წლის დასაწყისიდან დღემდე ბაზრის წილი მთლიან აქტივებში 1%-ით გაიზარდა. III კვარტალში ბანკის მთლიანმა აქტივებმა 61 მილიონი ლარით მოიმატა. რაც შეეხება ბანკის კაპიტალს, ის III კვარტლის მდგომარეობით, 69 მლნ ლარით გაიზარდა.

2009 წლის განმავლობაში "თიბისი ბანკის" ბაზრის წილმა მთლიან დეპოზიტებში 2%-ით, ხოლო ფიზიკური პირების დეპოზიტებში 4%-ით მოიმატა; III კვარტალში მთლიანი დეპოზიტების პორტფელის ნაზარდმა 141 მილიონი ლარი შეადგინა. ანაბრების გათამაშების ფარგლებში "თიბისი ბანკში" გაიხსნა 33 ათასამდე ერთეული ახალი ვადიანი ანაბარი და თითქმის 30 ათასი ერთეული ანაბარი სახელწოდებით "ჩემი სეიფი". აქციის ფარგლებში გახსნილი ვადიანი ანაბრების ჯამურმა მოცულობამ 322 მილიონზე მეტი ლარი შეადგინა. III კვარტლის მდგომარეობით, "თიბისი ბანკს" ლიკვიდური აქტივების მთლიან ვალდებულებებთან თანაფარდობის უმაღლესი მაჩვენებელი აქვს. ასევე, მნიშვნელოვნად გაიზარდა "თიბისი ბანკის" კაპიტალის ადეკვატურობის და ლიკვიდურობის კოეფიციენტები.

ჯოკ კონლი: "იმპორტის ჩანაცვლებას საქართველოსათვის ბევრი სასიკეთო შედეგის მოტანა შეუძლია"

ნინო ნარჩემაშვილი

"დამზადებულია საქართველოში" - ასეთი გრიფით რაც მეტი პროდუქცია იქნება გამოტანილი, განსაკუთრებით, ქართულ ბაზარზე, მით უფრო სწრაფად და ეფექტიანად მოხდება იმპორტის ჩანაცვლება. ეს კი ადგილობრივი წარმოების ხელშეწყობის გზით უნდა განხორციელდეს. სწორედ ეს საკითხი განიხილებოდა აშშ საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) მცირე და საშუალო ბიზნესის მხარდაჭერის პროექტის, პოლიტიკისა და მენეჯმენტის საკონსულტაციო ჯგუფის, საქართველოს ბიზნესასოციაციის და ეკონომიკის სამინისტროს მიერ გამართულ შეხვედრაზე. USAID-ის კავკასიის მისიის დირექტორ ჯოკ კონლის თქმით, **"იმპორტის ჩანაცვლებას ბევრი სასიკეთო შედეგის მოტანა შეუძლია საქართველოსათვის, რადგან ეს ნიშნავს იმპორტის შემცირებას, სამუშაო ადგილების გაზრდას, ახალი ბიზნესის წამოწყებას, ექსპორტის შესაძლებლობების ზრდას, უცხოურ ვალუტაზე მოთხოვნის შემცირებას და ინოვაციური მიდგომების სტიმულირებას."**



შეხვედრაზე წარმოდგენილი იქნა კვლევის შედეგები, რომელიც 2009 წლის მაისში ქვეყნის ეკონომიკის განვითარების ხელშეწყობის და კერძო სექტორში იმპორტის ჩანაცვლების და ექსპორტის გაზრდის შესაძლებლობების გაანალიზების მიზნით ჩატარდა. კვლევა აშშ საერთაშორისო განვითარების სააგენტოს მცირე და საშუალო ბიზნესის მხარდაჭერის პროექტმა ბიზნესგარემოს რეფორმის პროექტთან და ამერიკის სავაჭრო პალატასთან ერთად განახორციელა. კვლევისათვის გამოიკითხა საქართველოში მოქმედი 233 კომპანია - თბილისში, ბათუმში, ქუთაისში, ზუგდიდში, გორსა და თელავში. შედეგების მიხედვით, საქართველოს სავაჭრო ბრუნვაში იმპორტი 75 პროცენტია, ხოლო ექსპორტი მხოლოდ 25 პროცენტს შეადგენს. ამასთან, ქართული ეკონომიკა დიდად არის დამოკიდებული იმპორტზე, რადგან ჩვენ გაცილებით მეტს ვხარჯავთ, ვიდრე ვქმნით. კვლევის ავტორების აზრით, იმპორტის ჩანაცვლება, თავისთავად არ შეიძლება იყოს შედეგი, მთავარია, რის ხარჯზე და რა მიზეზით. კერძოდ, საუბარია იმაზე, რომ გაიზარდოს ადგილობრივი პოტენციალი და ქართული ბაზარი ადგილობრივი წარმოების პროდუქციით გაჯერდეს. მით უმეტეს, რომ ქართულ ბაზარზე ბევრი ბოლომდე აუთვისებელი ნიშაა.

რაც შეეხება მცირე და საშუალო ბიზნესის მხარდაჭერის პროექტს, რომელმაც საქართველოში მუშაობა ფაქტობრივად დაასრულა, ძალზე მნიშვნელოვანი და წარმატებული გახლდათ. მისი დახმარებით მოხდა არაერთი მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარების ხელშეწყობა, რაც, პირველ რიგში, ახალი საწარმოების გახსნას და სამუშაო ადგილების შექმნას გულისხმობდა საქართველოს სხვადასხვა, მათ შორის, მაღალმთიან რეგიონებში.

მაკროეკონომიკური მაჩვენებლები ეროვნული ბანკის გადმოსახედიდან

ლარის დოლართან ჰარმონია 400 მილიონი ლარი დაჯდა





თინა შავაძე

დასახული მიზნების - სრული დასაქმების, სტაბილური ფასებისა და ეკონომიკის ზრდის - მისაღწევად მთავრობა სტრატეგიული მეთოდების ორ კომპლექტს იყენებს: ფისკალურ პოლიტიკასა და მონეტარულ პოლიტიკას. ქვეყნის მონეტარულ პოლიტიკაზე პასუხისმგებელი საქართველოს ეროვნული ბანკია. საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტმა გიორგი ქადაგიძემ საქართველოს ბოლოდროინდელი მაკროეკონომიკური ტენდენციებზე ისაუბრა. შეხვედრაში საბანკო სექტორის წარმომადგენლები მონაწილეობდნენ. დაგეგმილი სამუშაო გეგმის თანახმად, ბანკირებთან დისკუსია დახურული რეჟიმით წარიმართა და ის ჟურნალისტებისთვის ხელმისაწვდომი არ იყო. ქადაგიძის აზრით, ქვეყნის ეკონომიკური ზრდა და ინფლაცია წინააღმდეგობრივი ტენდენციებით ხასიათდება. 2009 წლის მე-2 კვარტალი მოსალოდნელზე უკეთესი აღმოჩნდა და 10.7 პროცენტი შეადგინა. უცვლელია 2009 წლის მშპ-ს ზრდის პროგნოზი და -4 პროცენტის ფარგლებშია, თუმცა 2010 წლის პროგნოზით მშპ, სულ მცირე, 2 პროცენტით გაიზრდება. წლიური ინფლაციის პროგნოზი წლის ბოლოსათვის 3 პროცენტის ფარგლებშია. საშუალოვადიან პერიოდში სებ-ის ინფლაციის სამიზნე მაჩვენებელი 6 პროცენტია.

მიმდინარე წლის სახელმწიფო ბიუჯეტში საგადასახადო შემოსავლების კლება ძირითადად იმპორტიდან მიღებული შემოსავლების ხარჯზე ხდება. მე-4 კვარტალში გასაწევია წლის მთლიანი ხარჯების დაახლოებით 1/3, თუმცა სავარაუდოდ, ხარჯების ნაწილის ათვისება გაურკვეველია.

"2010 წლის სახელმწიფო ბიუჯეტში საგადასახადო შემოსავლები 2009 წლის გეგმასთან შედარებით მცირდება 25 მილიონი ლარით, არასაგადასახადო შემოსავლები - 247 მილიონი ლარით, ხოლო გრანტები - 179 მილიონი ლარით. 2010 წელს 2009 წლის გეგმასთან შედარებით მცირდება დეფიციტის დაფინანსება 240 მილიონი ლარით. შედეგად, 2010 წელს 2009 წლის გეგმასთან შედარებით ხარჯები მცირდება 820 მილიონი ლარით.

საგარეო სექტორი საქონლის ექსპორტი და იმპორტი განაგრძობდა მაღალი ტემპებით კლებას; იმავდროულად, გასულ თვესთან შედარებით სექტემბერში მნიშვნელოვნად გაიზარდა ფულადი გზავნილების ოდენობა და წლის მანძილზე მაქსიმალური მაჩვენებელი - 7 პროცენტი დაფიქსირდა.

საგადასახდელო ბალანსი, sაქონლის ექსპორტი და იმპორტი განაგრძობდა მაღალი ტემპებით კლებას; ამaვდროულად, გასულ თვესთან შედარებით სექტემბერში მნიშვნელოვნად გაიზარდა ფულადი გზავნილების ოდენობა და წლის მანძილზე მაქსიმალური მაჩვენებელი - 7 პროცენტი დაფიქსირდა

საქონლის ექსპორტი და იმპორტი მცირდება 22 პროცენტით და 32 პროცენტით, შესაბამისად.

ფულადი გზავნილები მცირდება 20 პროცენტით. პირდაპირი უცხოური ინვესტიციები - 43 პროცენტით.iმდინარე ანგარიშის დეფიციტი საგრძნობლად მცირდება 13.3 პროცენტამდე. სავალუტო რეზერვები იზრდება დაახლოებით 500 მილიონი დოლარით.

სავალუტო ბაზარზე სებ-ის ინტერვენციები საგრძნობლად შემცირდა. გაცვლითი კურსი დასტაბილურდა მოკლე დიაპაზონში. ბანკთაშორისი სავალუტო ბაზარი მნიშვნელოვნად გაიზარდა.

საგრძნობლად გაიზარდა ეროვნული ბანკის საერთაშორისო რეზერვები და მან ისტორიულ მაქსიმუმს მიაღწია (იმპორტის გადაფარვის კოეფიციენტმა 5-ს გადააჭარბა).

საბანკო სექტორი პirველად უკანასკნელი 13 თვის განმავლობაში სექტემბერი საბანკო სექტორმა წმინდა მოგებით დაასრულდა. 4 თვის განმავლობაში უმოქმედო სესხების წილი მთლიან სეხებში დაღმავალი ტენდენციით ხასიათდება.

წამყვანი ინდიკატორები - უძრავი ქონების ფასები. უკანასკნელი რამდენიმე თვის განმავლობაში ერთ დონეზე დასტაბილურდა ფასები საცხოვრებელ ფართზე. მიწის ფასის საშუალო ინდექსი კლებას განაგრძობს, თუმცა საგრძნობლად დაბალი ტემპებით. მიწის ფასის საშუალო ინდექსი კლებას განაგრძობს, თუმცა საგრძნობლად დაბალი ტემპებით. 2008 წლის ივლისიდან დღემდე მიწის ფასის საშუალო ინდექსი 62 პროცენტით არის შემცირებული2008 წლის ივლისიდან დღემდე მიწის ფასის საშუალო ინდექსი 62 პროცენტით არის შემცირებული.

საერთაშორისო ბაზრები.

ოთხი თვის განმავლობაში ავტომანქანების გაყიდვები უმნიშვნელოდ, მაგრამ მაინც გაიზარდა. aსევე ბოლო ოთხი თვის განმავლობაში იზრდება უძრავი ქონების გაყიდვებიც და მიმდინარე წელს ყველაზე მეტი გარიგება სექტემბერში დაფიქსირდა. უკანასკნელი 6-7 თვის განმავლობაში სტაბილურად იზრდება საქართველოს სუვერენული ევროობლიგაციების ფასი და, შედეგად, ბოლო ვაჭრობებზე შემოსავლიანობა დაუბრუნდა ემისიისდროინდელ დონეს.

ეროვნული ბანკის დასკვნის თანახმად, უკანასკნელ პერიოდში საქართველოში მიმდინარე ტენდენციები მიუთითებს, რომ მაკროეკონომიკური კრიზისის ყველაზე მძიმე პერიოდია გავლილია. 2009 წლის მეორე ნახევარში მოსალოდნელია ეკონომიკური აქტივობის გამოცოცხლება, რის შედეგადაც წლიური ეკონომიკური ზრდა დაახლოებით -4 პროცენტის ფარგლებში იქნება, ხოლო 2010 წელს ეკონომიკა 2 პროცენტით გაიზრდება. აგვiსტოს დეფლაციის შემდეგ მოსალოდნელია წლის ბოლოს წლიური 3-პროცენტიანი ინფლაცია.

შემცირდა ვაჭრობის კლების ტემპები, განსაკუთრებით გაუმჯობესდა ექსპორტი. მცირდება ფულადი გზავნილების კლების ტემპები. 2009 წლის ბოლოსათვის მიმდინარე ანგარიშის დეფიციტი საგრძნობლად შემცირდება და დაახლოებით 13 პროცენტს შეადგენს.

მართალია, გარკვეულად მცირდება საბიუჯეტო ხარჯები 2010 წელს, თუმცა იგი კვლავ მაღალ დონეზე იქნება შენარჩუნებული, რაც ეკონომიკური აქტივობის ფისკალურ სტიმულირებას მომავალ წელსაც უზრუნველყოფს. სავალუტო ბაზარი მნიშვნელოვნად დასტაბილურდა, სებ-ის ინტერვენციები ნულთან ახლოსაა, ხოლო საერთაშორისო რეზერვების მოცულობამ რეკორდულ მაჩვენებელს მიაღწია. ასევე რეკორდულ მაჩვენებელს მიაღწია საბანკო სექტორის დეპოზიტების მოცულობამ. პირველად ბოლო 13 თვეში საბანკო სექტორმა თვე მოგებით დაასრულა და მოსალოდნელია ამ ტენდენციის გაგრძელება.

საგრძნობლად დასტაბილურდა მდგომარეობა უძრავი და მოძრავი ქონების ბაზრებზე. საქართველოს სუვერენული ობლიგაციების ფასი დაუბრუნდა ემისიისდროინდელ დონეს და უცხოელი ინვესტორების ნდობის მაღალ ხარისხზე მიუთითებს.

რაც შეეხება ეროვნული ლარის გაცვლით კურსს უცხოურ ვალუტასთან, ის ევროსთან დაცემის სტადიაშია, მაშინ როცა ევროპის ქვეყნებთან სავაჭრო ურთერთობის სტატისტიკა სხვა რამეს ამბობს, და დოლართან მიმართებაში კი სტაბილურია. მაგრამ ქვეყანას ლარის დოლართან გაცვლის სტაბილური კურსი 400 მილიონი ლარი დაუჯდა.

აჭარაში მდებარე ორი ობიექტი აუქციონზე გაიყიდა

აჭარაში მდებარე ორი ობიექტი აუქციონზე გაიყიდა. აჭარის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს ინფორმაციით, ბათუმში, ნონეშვილის №16/20-ში მდებარე 76.84 კვ.მ არასაცხოვრებელი ფართი 35 550 ლარად ფიზიკურმა პირმა შეიძინა.

ქედის მუნიციპალიტეტში, დაბა ქედაში, ტბელ აბუსერიძის №14-ში მდებარე 13 კვ.მ არასაცხოვრებელი ფართიც ფიზიკურმა პირმა იყიდა, 1 341 ლარად. აღნიშნული აუქციონიდან აჭარის ბიუჯეტში 12 912 ლარი შევა. **ინტერპრესნიუსი**

ეკონომიკის სამინისტრო "მზიურის" გაყიდვის გეგმებს უარყოფს

საკონდიტრო კომპანია "მზიურის" კოლექტივმა დღეს ეკონომიკის სამინისტროსთან აქცია გამართა. აქციის მონაწილეები თბილისში, ხოშარაულის ქუჩაზე მდებარე თბილკონდიტერი "მზიურის" გადაცემას ითხოვდნენ. მათი განცხადებით, აღნიშნული საწარმო, რომელიც დაყადაღებულია, სახელმწიფოსგან 1993 წლის ივლისში გამოისყიდეს და ამის დამადასტურებელი დოკუმენტაციაც აქვთ, თუმცა საწარმოს არ აძლევენ. კოლექტივის წარმომადგენლები აცხადებენ, რომ სავარაუდოდ, საწარმოს გაყიდვა იგეგმება და ის 20 მილიონ ლარად არის შეფასებული, - იუწყება რადიო "კომერსანტი".

აქციის მონაწილეების განცხადებით, თბილკონდიტერი "მზიური" ამ წლების განმავლობაში მრავალჯერ გაიძარცვა და ამჟამად მასში საწარმო პროცესი არ მიმდინარეობს.

ეკონომიკის სამინისტროში კი აცხადებენ, რომ კერძო საკუთრებაში არსებული ქონების ირგვლივ ვითარების გარკვევა მათი პრეროგატივა არ არის. სამინისტროში აცხადებენ, რომ ქარხანა "მზიური" საწარმოს შრომითი კოლექტივის საკუთრებაშია. კოლექტივს აქვს ამის დამადასტურებელი უზენაესი სასამართლოს 2001 წლის დადგენილება, რის აღსრულებასაც მოითხოვენ, თუმცა ეკონომიკის სამინისტროს პრეროგატივა არც აღსრულება არაა. ამასთან, სამინისტროში არ ადასტურებენ, თითქოს საწარმო საპრივატიზაციოდ მზადდება და 20 მილიონად არის შეფასებული. **მედიანიუსი**

სტიქიით დაზარალებულ კახელებს საერთაშორისო ორგანიზაციები დაეხმარებიან

სტიქიით დაზარალებულ კახელებს საერთაშორისო ორგანიზაციები დაეხმარებიან. როგორც "პირველს" კახეთის საინფორმაციო ცენტრიდან აცნობეს, სტიქიით დაზარალებულ კახეთის მოსახლეობას მსოფლიო ბანკის და გაეროს სასურსათო პროგრამის ჯგუფები დაეხმარებიან.

ამ ეტაპზე უცნობია, რა სახის პროდუქტები შევა დახმარების პაკეტში, თუმცა კახეთის გუბერნატორის მოადგილე გიორგი სიბაშვილი აცხადებს, რომ დახმარების მიმღებთა რიცხვი და პროდუქტების სახეობა მას შემდეგ გადაწყდება, რაც რეგიონული განვითარების სამინისტრო მდგომარეობას ადგილზე შეისწავლის. ოფიციალური მონაცემებით, კახეთში სტიქიამ საკმაოდ დიდ მასშტაბებს მიაღწია და 5 მუნიციპალიტეტი - ახმეტა, თელავი, ყვარელი, ლაგოდეხი და გურჯაანი მოიცა. წინასწარი ინფორმაციით, სტიქიით გამოწვეული ზარალი 2 მილიონ ლარს აჭარბებს. **პირველი**

საბანკო სექტორში განთავსებული მთლიანი დეპოზიტების მოცულობა გაიზარდა

საბანკო სექტორში განთავსებული მთლიანი დეპოზიტების (სამეწარმეო და შინამეურნეობების სექტორების მიმდინარე ანგარიშებისა და ვადიანი დეპოზიტების, აგრეთვე გადასახდელი პროცენტების ჩათვლით) მოცულობამ 2009 წლის 1 ოქტომბრისათვის 3.0 მლრდ ლარს გადააჭარბა, რაც 4.1 პროცენტით მეტია მიმდინარე წლის 1 სექტემბრისათვის არსებულ მაჩვენებელზე. სექტემბერში, წინა თვესთან შედარებით, ადგილი ჰქონდა სამეწარმეო და შინამეურნეობების სექტორების როგორც მიმდინარე ანგარიშების, ისე ვადიანი დეპოზიტების ზრდას, შესაბამისად, 7.8 და 2.1 პროცენტით, - აცნობეს "მედიანიუსს" საქართველოს ეროვნული ბანკიდან.

დეპოზიტების დოლარიზაციის კოეფიციენტმა 2009 წლის 1 ოქტომბრისათვის 72.8 პროცენტი შეადგინა, 1.3 პროცენტული პუნქტით ნაკლები 1 სექტემბრის მდგომარეობასთან შედარებით. დეპოზიტებზე საშუალო წლიური შეწონილი საპროცენტო განაკვეთი 10.0 პროცენტს შეადგენს, მათ შორის ეროვნული ვალუტით განთავსებულ დეპოზიტებზე - 10.8 პროცენტს, ხოლო უცხოური ვალუტით განთავსებულ დეპოზიტებზე - 9.9 პროცენტს.

უცხოური ვალუტით განთავსებულ დეპოზიტებში აშშ დოლარის წილი 77.7 პროცენტს, ხოლო ევროს წილი 21.5 პროცენტს შეადგენს. **მედიანიუსი**

ფალიაშვილის ქუჩაზე მომხდარი მკვლელობა გახსნილია

ფალიაშვილის ქუჩაზე მომხდარი მკვლელობა გახსნილია. თბილისის მთავარი სამმართველოს და ვაკე-საბურთალოს პოლიციის თანამშრომლებმა დააკავეს 27 წლის მიხეილ ჟვანია. დაკავებულმა ურთიერთშელაპარაკების ნიადაგზე, ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენებით სასიკვდილო ჭრილობები მიაყენა გიორგი ტრაპაიძეს, რომელიც საავადმყოფოში მიყვანისთანავე გარდაიცვალა. გამოძიება მიმდინარეობს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 108-ე და 236-ე მუხლებით.

ჯი-ეიჩ-ენი

საპროტესტო აქციები თანასოფლელის გათავისუფლების მოთხოვნით

ლამისყანის მოსახლეობა საპროტესტო აქციებით იმუქრება. სოფლის მცხოვრებლები ორი თვის წინ გატაცებული ექვსი ლამისყანელის გათავისუფლებას მოითხოვენ. დაკავებულების წინასწარი პატიმრობის ვადა უკვე ამოიწურა, თუმცა ტყვეები ისევ ცხინვალის იზოლატორში რჩებიან. კასპის რაიონის სოფელ ლამისყანის 6 მცხოვრები ორი თვის წინ ოსმა სეპარატისტებმა ტყეში შეშის შეგროვებისას გაიტაცეს.

ჯი-ეიჩ-ენი

აფხაზურმა მილიციამ გალის მკვიდრი მანუჩარ გვარამია დააკავა

აფხაზურმა მილიციამ გალის მკვიდრი მანუჩარ გვარამია დააკავა. ის ტყვარჩელის უშიშროების განყოფილების უფროსის მოადგილის ედუარდ ემირზადეს მკვლელობაშია ეჭშვმიტანილი. ამ დროისთვის მანუჩარ გვარამია სოხუმში, წინასწარ დაკავების იზოლატორში იმყოფება. ედუარდ ემირზადე რამდენიმე თვის წინ, გალიდან ოჩამჩირის მიმართულებით გადაადგილებისას ცეცხლსასროლი იარაღიდან გასროლით მოკლეს.

ინტერპრესნიუსი

მინისტრის პასუხები ონლაინრეჟიმში

სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა მინისტრი დიმიტრი შაშკინი თვეში ერთხელ, ონლაინ-პრესკონფერენციის საშუალებით მოქალაქეთა შეკითხვებს უპასუხებს.

როგორც სამინისტროს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსმა, დოდო გუგავამ განაცხადა, სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე - www.mcla.gov.ge სპეციალური სექცია გაიხსნა, სადაც მოქალაქეებს შეუძლიათ, დასვან შეკითხვები იმ საკითხებთან დაკავშირებით, რაც მათ მინისტრისგან აინტერესებთ. მინისტრი მოქალაქეთა შეკითხვებს თვეში ერთხელ უპასუხებს. პირველი ონლაინპრესკონფერენცია ნოემბრის ბოლოს შედგება.

როგორც სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიულ დახმარების საკითხთა სამინისტროში აცხადებენ, "ნებისმიერ მსურველს შესაძლებლობა ექნება, სამინისტროს კომპეტენციაში შემავალ საკითხებზე დასვას შეკითხვა, რაზეც მინისტრისგან ამომწურავ პასუხს მიიღებს. პასუხი გაეცემა ყველა შეკითხვას, თუ ის არ ლახავს მსჯავრდებულის ან სხვა პირის პატივს, ღირსებას და საქმიან რეპუტაციას.

ინტერპრესნიუსი

შპს "მთაგორის" დირექტორი დააკავეს

შემოსავლების სამსახურის საგამოძიებო დეპარტამენტის განსაკუთრებით მნიშვნელოვან საქმეთა სამმართველოს თანამშრომლებმა შებოლილი თევზისა და კარაქის ფალსიფიკაციის ფაქტზე შპს "მთაგორის" დირექტორი ალექსანდრე კაპანაძე დააკავეს. დაკავებული იმპორტიორებისაგან გაყინულ თევზსა და მცენარეულ ცხიმს იძენდა, აფასოებდა და ნაღების კარაქად ასაღებდა. ლაბორატორიული ექპერტიზის მიხედვით, შპს "მთაგორის" მიერ წარმოებულ კარაქში "ძველი თბილისი" ეტიკეტზე მითითებული ცხოველური ცხიმის 82,5 პროცენტის ნაცვლად აღმოჩნდა მხოლოდ 0,10 პროცენტი, ხოლო კარაქში "მთაგორი", ეტიკეტზე მითითებული 71,5 პროცენტი ცხოველური ცხიმის ნაცვლად აღმოჩნდა 0,20 პროცენტი ცხიმი. ვითომდა ნაღების კარაქი სინამდვილეში წყლით გაჯერებულ მარგარინს წარმოადგენდა.

შპს "მთაგორი" ასევე სანიტარული ნორმების უხეში დარღვევით აწარმოებდა თევზის შებოლვას. სარეალიზაციოდ დამზადებული საქონლიდან აღებული ნიმუშების მიხედვით შებოლილ სკუმბრიაში მიკროორგანიზმები 16,4-ჯერ აღემატებოდა დაბინძურების მაქსიმალურ ზღვარს, ხოლო შებოლილ ორაგულისებურში კი - 5,6-ჯერ. ამავე დროს, თევზის შესაბოლ საამქროში დარღვეული აღმოჩნდა კვების პროდუქტების წარმოების ყოველგვარი ნორმა.

წინასწარი გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 197-ე მუხლით მიმდინარეობს, რაც ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას სამ წლამდე ვადით.

ჯი-ეიჩ-ენი

ახალი სახალხო დამცველის პირველი ანგარიში

პირველი გვერდიდან

"ვიქნები მიუკერძოებელი, დამოუკიდებელი და პრინციპული ომბუდსმენი," - ასეთი იყო გიორგი ტულუშის მიერ დადებული პირობა.

ომბუდსმენის ახალ ანგარიშთან დაკავშირებით გავრცელდა ინფორმაცია, რომ გიორგი ტულუში მისი ყოფილი კოლეგის - სოზარ სუბარის მიერ მომზადებულ ანგარიშს წარადგენდა, რაც არასწორი გამოდგა. გიორგი ტულუშის პრესსამსახურის განცხადებით, **"ომბუდსმენი წარადგენს მის მიერ მომზადებულ ანგარიშს. მართალია, ის ეხება პერიოდს, როცა სახალხო დამცველი სოზარ სუბარი იყო, მაგრამ მოამზადა გიორგი ტულუშმა,"** - ასეთი პასუხი მივიღეთ ომბუდსმენის პრესსამსახურში.

"2009 წლის პირველ ნახევარში საქართველოს ტერიტორიაზე ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდომარეობა იყო მძიმე. ადგილი ჰქონდა როგორც სამოქალაქო და პოლიტიკური, ასევე ეკონომიკური და სოციალური უფლებებისა და თავისუფლებების დარღვევას. ვიმედოვნებ, რომ მომავალში სახელმწიფო ქმედით ნაბიჯებს გადადგამს მოცემული დარღვევებისა და მათი შედეგების აღმოსაფხვრელად, რაც აუცილებელ წინაპირობას წარმოადგენს დემოკრატიული სახელმწიფოს საბოლოოდ ჩამოყალიბებისათვის," - ასეთია გიორგი ტულუშის დასკვნა.

სახალხო დამცველი ანგარიშის გამხსნელი თემა

ახალი ომბუდსმენი პირველ ანგარიშს 2009 წლის აპრილის აქციების დროს ადამიანის უფლებების დარღვევაზე საუბრით დაიწყებს. ანგარიშში ნათქვამია, რომ სახალხო დამცველის აპარატში შეიქმნა მონიტორინგის ჯგუფები, რომლებიც 24-საათიან რეჟიმში აკვირდებოდნენ მანიფესტაციების მიმდინარეობას. ასევე, სახალხო დამცველის აპარატში ფუნქციონირებდა ცხელი ხაზი. შესაბამისად, მათ მიერ დაფიქსირდა არაერთი კანონდარღვევა, როგორც სამართალდამცველთა, ისე მომიტინგეთა მხრიდან.

ანგარიშის მიხედვით, 6 მაისს თბილისის შს სამმართველოსთან ძალოვანი სტრუქტურის წარმომადგენლებმა საპროტესტო აქციის მონაწილეთა წინააღმდეგ პლასტიკური და რეზინის ტყვიები უკანონოდ გამოიყენეს.

სახალხო დამცველის აპარატში აქტიურად შედიოდა მასალა დემონსტრაციის მონაწილეების მიმართ ფიზიკური შეურაცხყოფის ფაქტებთან დაკავშირებითაც. დემონსტრაციების მონაწილენი თავდასხმებს მათ პოლიტიკურ აქტივობას უკავშირებდნენ.

"სახალხო დამცველის 32 ასეთ შემთხვევაზე მოქალაქეებმა მისცეს ახსნა-განმარტება და წარუდგინეს შესაბამისი სამედიცინო დოკუმენტაცია. რიგ შემთხვევებში ასეთი შეურაცხყოფის ფაქტების ვიდეომასალაც არსებობს. სახალხო დამცველის მიერ ყველა ასეთი შემთხვევა, მის ხელთ არსებული დოკუმენტაციით, შემდგომი რეაგირებისთვის გადაგზავნილია საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მთავარ პროკურატურაში. თითოეულ ფაქტზე, სახალხო დამცველის ინფორმაციით, მიმდინარეობს გამოძიება, თუმცა შედეგი ჯერ არც ერთ შემთხვევაში დღემდე არ დამდგარა," - ნათქვამია სახალხო დამცველის ანგარიშში.

სახალხო დამცველი აცხადებს, რომ 2009 წლის 15 ივნისს თბილისის შს მთავარი სამმართველოს წინ გამართული საპროტესტო აქციის დაშლისას, სამართალდამცველებმა ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენეს სახალხო დამცველის რწმუნებულ ვახტანგ მენაბდეს. როდესაც იგი არ დაემორჩილა პოლიციელის ბრძანებას, დაეტოვებინა დემონსტრაცია, მას ჯერ სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენეს, ხოლო შემდეგ რამდენიმე პირი წაქცეულს ურტყამდა. ამის შემდგომ იგი წაიყვანეს სამმართველოს შენობაში, გაჩხრიკეს და უთხრეს, რომ ტანზე გაეხადა.

"აღსანიშნავია, რომ, როდესაც პოლიციის წარმომადგენლებმა ვახტანგ მენაბდეს პირველად მიაყენეს ფიზიკური შეურაცხყოფა, მას სახალხო დამცველის საიდენტიფიკაციო ფორმა ეცვა, შესაბამისი კეპით. შესაბამისად, სამართალდამცველი ორგანოს წარმომადგენლებს ჰქონდათ საშუალება, მოეხდინათ მისი იდენტიფიცირება. მიმაჩნია, რომ სამართალდამცველების მხრიდან განხორციელებული ქმედებები წარმოადგენს სახალხო დამცველის საქმიანობისთვის დაბრკოლების შექმნას, რაც უხეშად არღვევს "საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ კანონს," - აღნიშნულია ანგარიშში. სახალხო დამცველი მოითხოვს ამ სამართალდარღვევაში მონაწილე ყველა პირის პასუხისგებაში მიცემას.

"საქართველოში კრიმინოგენული მდგომარეობა დაბალია"

სახალხო დამცველის 2009 წლის I ნახევრის ანგარიშით, საქართველოში კრიმინოგენული მდგომარეობა გაუმჯობესდა. ანგარიშში მოყვანილია სოციოლოგიური კვლევის "საქართველოს მოსახლეობის დამოკიდებულება კრიმინალისა

და სადამსჯელო პოლიტიკის მიმართ", რომელიც ჩაატარა "ესტონეთის ინსტიტუტი ღია საზოგადოების კვლევისათვის", რათა მოპოვებულიყო სნორი და ობიექტური ინფორმაცია საქართველოს მოსახლეობისგან ქვეყანაში კრიმინოგენული სიტუაციისა და სახელმწიფოს მიერ გატარებული პოლიტიკის შესახებ.

"კვლევის შედეგები ცხადყოფს, რომ წლების განმავლობაში ძალოვან სტრუქტურებში გატარებული რეფორმის შედეგად მოსახლეობის დიდი ნაწილი თვლის, რომ კრიმინოგენული სიტუაცია ზოგადად დაბალია. შეკითხვაზე თუ როგორ ეპყრობიან პირებს დროებით მოთავსების იზოლატორებში, რესპოდენტების უმრავლესობამ - 66 პროცენტმა აღნიშნა, რომ არადამაკმაყოფილებლად," - ნათქვამია ანგარიშში.

ძალის გადამეტების პრობლემა ისევ აქტუალურია

პოლიციის მიერ ძალის გადამეტების საკითხი ისევ აქტუალურია. სახალხო დამცველის 2009 წლის I ნახევრის ანგარიშის მიხედვით, გამოიკვეთა შემთხვევები, როდესაც პოლიცია არ იყო ადამიანის უფლებათა დაცვაზე ორიენტირებული, ამეტებდა სამსახურებრივ უფლებამოსილებას და რომ ასეთი ქმედებები სისტემატურ ხასიათს ატარებდა.

ანგარიშის მიხედვით, საქართველოს სახალხო დამცველის მიერ დაფიქსირდა არაერთი შემთხვევა, როდესაც მანიფესტაციებში მონაწილე პირების მიმართ გამოყენებული ძალა რიგ შემთხვევებში, სცილდებოდა დასაშვებ ზღვარს. ამასთან, იყო ფაქტები, როდესაც სამართალდამცველთა ქმედებების გამო ჟურნალისტებს თავიანთი მოვალეობის სრულყოფილად შესრულების საშუალება არ ეძლეოდათ.

"ყოველივე ეს გვაძლევს საშუალებას ვთქვათ, რომ საანგარიშო პერიოდში კვლავაც აღინიშნა სამართალდამცველების მიერ ძალის გადამეტებული გამოყენება, რამაც ისევ ეჭვქვეშ დააყენა 2004 წლიდან განხორციელებული სამართალდამცველი სისტემის რეფორმა," - ნათქვამია ანგარიშში.

ამასთან, სახალხო დამცველის განცხადებით, პოლიციის მიერ ძალისა და უფლებამოსილების გადამეტების ფაქტებმა საგრნობლად იმატა დასავლეთ საქართველოში.

"შემოსული საჩივრების დიდი ნაწილი კვლავ ეთმობა პოლიციელების მიერ დაკავების პროცესში პირზე ფიზიკური და ფსიქოლოგიური ზეწოლის განხორციელებას," -ნათქვამია ანგარიშში.

ანგარიშში ზეწოლის კონკრეტული ფაქტებიც არის მოყვანილი. სახალხო დამცველი დროებითი მოთავსების იზოლატორებში პატიმართა ცემაზეც საუბრობს და ამ მიმართულებით ომბუდსმენის ოფისში შესულ საჩივრებსაც იშველიებს.

"აღნიშნული ფაქტების პრევენციის მიზნით აუცილებელია საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრომ გადადგას ქმედითი ნაბიჯები, ხოლო შესაბამისი უწყებების

მხრიდან ყოველ ამგვარ ფაქტს მოყვეს დროული, ადეკვატური, მიუკერძოებელი და

ეფექტური რეაგირება," - ასეთი ომბუდსმენის რეკომენდაცია. მისიმეორე რეკომენაცია საქართველოს იუსტიციის სამინისიტროს მთავარ პროკურატურის მიმართაა და საჯაო მოხელეების მიერ უფლებამოსილების გადამეტების ფაქტებზე ობიექტური გამოიების დროულ ჩატარებას ეხება.

"მთავარი პროკურატურის მიერ დროულად და ეფექტურად მოხდეს საჯარო მოხელეების მიერ შესაძლო სისხლისსამართლის დანაშაულის ფაქტების გამოძიება," - ასეთი რეკომენდაციით მიმართავს ომბუდსმენი მთავარ პროკურორს.

ომბუდსმენი თავის ანგარისში საუბრობს ადამიანთა წამების ფაქტებზეც.

"ქვეყანაში აშკარად იკლო წამების ფაქტებმა და ის საზოგადოებისთვის სისტემურ პრობლემას აღარ წარმოადგენს. ზემოაღნიშნულის მიუხედავად, უნდა აღინიშნოს, რომ ცალკეულ, ინდივიდუალურ შემთხვევებს კვლავ აქვს ადგილი, რაც ყოველ კონკრეტულ შემთხვევაზე შესაბამისი ორგანოების მიერ დროულ და ადეკვატურ რეაგირებას საჭიროებს. სტატისტიკური ინფორმაციის თანახმად, 2009 წლის პირველი ნახევრის მონაცემების შედარებით 2008 წელს დაწყებული სისხლის სამართლის საქმეებთან გვიჩვენებს, რომ დაახლოებით 50 პროცენტით შემცირდა წამება, დამამცირებელი და არაადამიანური მოპყრობის ფაქტები," - ასეთია სახალხო დამცველის დასკვნა.

პრობლემები სასჯელაღსრულების დაწესებულებებში

სასჯელაღსრულების დაწესებულებებში არსებულ პრობლემებს სახალხო დამცველის ანგარიშში დიდი ადგილი ეთმობა. ომბუდსმენის განცხადებით, ზოგ შემთხვევაში საპატიმრო დაწესებულებებში არსებული სიტუაცია კრიტიკას ვერ უძლებს.

ანგარიშის მიხედვით, საქართველოს პენიტენციური სისტემის დაწესებულებებში 2009 წლის პირველ ნახევარში გარდაცვლილ პაციენტთა ზუსტი რაოდენობის შესახებ ოფიციალური ინფორმაცია მიუწვდომელია. სასჯელაღსრულების დეპარტამენტის თავმჯდომარის პირველი მოადგილის მიერ სახალხო დამცველისადმი 2009 წლის 15 ივლისს მოწერილი წერილით ირკვევა, რომ საანგარიშო პერიოდში სულ გარდაიცვალა 54 პატიმარი.

პენიტენციური სისტემის დაწესებულებებში ერთ-ერთ ძირითად პრობლემას

წარმოადგენს ტუბერკულოზი. როგორც ომბუდსმენი აცხადებს, მიუხედავად წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტის მიერ გაწეული დახმარებისა, ამ მხრივ სისტემაში საგანგაშო სიტუაციაა შექმნილი. 2009 წლის პირველ ნახევარში გარდაცვლილ პაციენტთა დიდ უმრავლესობის სიკვდილის მიზეზი სწორედ ტუბერკულოზი იყო.

ომბუდსმენის ანგარიშით, ცალკე უნდა გამოიყოს ვირუსული ჰეპატიტების პრობლემატიკა. საანგარიშო პერიოდში, პენიტენციური სისტემის დაწესებულებათა ნაწილში (6 დაწესებულება), ვირუსული ჰეპატიტების რეგისტრაციას საერთოდ არანაირ ყურადღებას არ აქცევენ, ხოლო დანარჩენ დაწესებულებებში სულ რეგისტრირებულია ვირუსული ჰეპატიტით დაავადებული 290 პაციენტი. ადგილობრივ ექიმებთან გასაუბრებით ირკვევა, რომ პრობლემა გაცილებით უფრო ღრმაა, ვიდრე მხოლოდ სტატისტიკური მონაცემები აჩვენებს. გარდაცვლილ პაციენტთა დიდ ნაწილს დადგენილი აქვს ღვიძლის ამა თუ იმ ხარისხის დაზიანება მარტივი მორფოლოგიური ცვლილებებიდან ციროზის შორს წასულ ფორმამდე.

პრობლემაა პენიტენციურ სისტემაში შიდსის გავრცელება. 2009 წლის პირველ ნახევარში პენიტენციურ სისტემაში რეგისტრირებულია 93 ინფიცირებული პირი. სავარაუდოდ, გაცილებით უფრო მეტია ისეთი პირები, რომლებიც არ არიან რეგისტრირებულნი, ან რომლებმაც არ იციან საკუთარი ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ. სავალალო სიტუაციაა ეპილეფსიით, შაქრიანი დიაბეტითა და ბრონქული ასთმით დაავადებულთა მკურნალობის მხრივაც.

დაწესებულებათა დიდ ნაწილში ფართოდაა გავრცელებული ტილი, ბაღლინჯო,

რწყილი. პაციენტებს აქვთ მუნი და სხვა გადამდები დაავადებები, რომელთა შემცირება და მომატება სეზონურ ხასიათს ატარებს.

სახალხო დამცველის ანგარიშის მიხედვით, სასჯელაღსრულების დაწესებულებებში კვლავ გრძელდება მანკიერი პრაქტიკა, როდესაც ექიმი მონაწილეობს პაციენტის დასჯაში.

"მიუხედავად იმისა, რომ ჩვენს მიერ წარსულში არაერთი რეკომენდაცია იქნა გაცემული ამასთან დაკავშირებით, დაწესებულებების დირექტორები კვლავ ითხოვენ ექიმისაგან, ხელი მოაწეროს ცნობას ან სხვა რაიმე დოკუმენტს და ამით მოახდინოს პატიმრის კარცერში მოთავსების სანქცირება. აღსანიშნავია ისიც, რომ ჩვენს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესაბამისად, რამდენიმე დაწესებულებაში მსგავსი პრაქტიკა შეწყდა," - აღნიშნულია ანგარიშში.

საანგარიშო პერიოდში დაფიქსირდა არასათანადო მოპყრობის, პატიმრებზე ფიზიკური

ანგარიშსნორების შემთხვევები. სახალხო დამცველის ანგარიშის მიხედვით, სასჯელაღსრულების დაწესებულებებში განთავსებული მსჯავრდებულები და მათი ოჯახის წევრები აცხადებენ, რომ პატიმრებს მძიმე პირობებში უწევთ ყოფნა, ხოლო ზოგიერთ დაწესებულებაში ადმინისტრაციის თანამშრომლები მათ ექცევიან დამამცირებლად. ანგარიშის მიხედვით, ზემოაღნიშნული განსაკუთრებით ეხება ქსნის N7 საერთო, მკაცრი და საპყობილის რეჟიმის დაწესებულების ადმინისტრაციას, ქუთაისის N2 მკაცრი და საპყრობილის რეჟიმის დაწესებულებას, ხონის N9 საერთო და მკაცრი რეჟიმის დაწესებულებას, მსჯავრდებულთა და პატიმართა სამკურნალო დაწესებულებას, გეგუთის N8 საერთო და მკაცრი რეჟიმის დაწესებულებას.

რეკომენდაცია უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარეს

საქართველოს სახალხო დამცველი უზენაეს სასამართლოს თავმჯდომარეს რეკომენდაციით მიმართავს და სთხოვს, უზრუნველყოს მოსამართლეების მიერ სისხლის სამართლის საქმეების სრულფასოვანი და ჯეროვანი შესწავლა, დაცვის მხარისთვის მისი უფლებების ეფექტური განხორციელების შესაძლებლობა.

"საანგარიშო პერიოდში სახალხო დამცველის აპარატის მიერ მოქალაქეთა განცხადების საფუძველზე შესწავლილ იქნა არაერთი სისხლის სამართლის საქმე, სადაც აშკარად იკვეთება ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლის დებულებების მოთხოვნების არაჯეროვანი შესრულება. საქართველოში სამართლიანი სასამართლოს უფლებასთან დაკავშირებულ პრობლემას ცხადყოფს თუნდაც ის ფაქტი, რომ სტრასბურგის ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ საქართველოს წინააღმდეგ გამოტანილ გადაწყვეტილებათა უმრავლესობა სწორედ ამ უფლების დარღვევას ეხება," - ნათქვამია ანგარიშში.

ანგარიშის მიხედვით, საქართველოს სახალხო დამცველის მიერ შესწავლილი საქმეები ცხადყოფს, რომ რიგ შემთხვევებში სასამართლოების მიერ საქმის განხილვისას ხდება დამცველის უფლების დარღვევა.

შუალედური არჩევნები ამერიკაში - გაკვეთილი ყველასათვის

მარიკა იაშვილი

ამერიკის ორ შტატში გუბერნატორების არჩევნები ჩატარდა. ამას დაემთხვა კონგრესის შუალედური არჩევნები იმ პირთა ვაკანტურ ადგილებზე, რომლებიც აღმასრულებელ ხელისუფლებაში სხვადასხვა თანამდებობებზე გადავიდნენ. როგორ დასრულდა საარჩევნო მარათონი, ჯერჯერობით უცნობია, თუმცა ის ექსპერტებშიც და მთელ საზოგადოებაშიც უდიდეს ინტერესს იწვევდა. არჩევნების შედეგებიც ალბათ დიდხანს იქნება განხილვის საგანი და დაინტერესეული პირები ეცდებიან, ამ შედეგებზე დაყრდნობით, მომავალი წლისთვის დანიშნულ წარმომადგენელთა პალატის არჩევნებისთვის რამე სახის პროგნოზები გააკეთონ.

წარმომადგენელთა პალატის წევრებს ირჩევდნენ ნიუ-იორკის შტატის 23-ე საარჩევნო ოლქში, რომელიც კანადის საზღვართან მდებარეობს და კალიფორნიის მე-10 ოლქში, რომელიც სან-ფრანცისკოსაც მოიცავს. გუბერნატორებს ირჩევდნენ ნიუ ჯერსისა და ვირჯინიაში. ერთი წლის წინათ ამ ოთხივე იურისდიქციამ ბარაკ ობამას მისცა ხმა. ნიუ-ჯერსიში მან ხმათა 57 პროცენტი მიიღო, ვირჯინიაში - 53 პროცენტი, ნიუ-იორკში - 52 პროცენტი, ხოლო კალიფორნიაში - 65 პროცენტი.

საინტერესოა, რომ ოთხი შტატი, რომლებშიც არჩევნები უნდა ჩატარდეს, ფაქტობრივად, პარტიების გავლენის ტერიტორიებად არის გადანაწილებული. მაგალითისთვის, ვირჯინიაში პრეზიდენტობის "დემოკრატი" კანდიდატისთვის ხმა 1964 წლის შემდეგ აღარ მიუციათ.

ნიუ-იორკის 23-ე საარჩევნო ოლქიდან კონგრესში "დემოკრატი" კანდიდატი 1870 წლიდან აღარ აურჩევიათ, ხოლო კალიფორნიაში "რესპუბლიკელებს" გამარჯვება 1996 წლამდე ჰქონდათ გარანტირებული.

ანალიტიკოსთა აზრით, არჩევნები აჩვენებს, თუ რამდენად მყარია კოალიცია, რომელიც ობამამ და მისმა მომხრეებმა შეკრეს და რომელიც მათ "რესპუბლიკელების" კუთვნილი ტერიტორიის დაპყრობაში დაეხმარათ. არჩევნები გამოცდაა "რესპუბლიკელებისთვისაც", რომლებიც ძველი დანაკარგების ანაზღაურებას ცდილობენ.

კალიფორნიის არჩევნები ნაკლებ ინტერესს იწვევს, რადგან თითქმის ყველა დარწმუნებულია, რომ ლიბერალურ მე-10 ოლქში გამარჯვებას "დემოკრატი" ჯონ გარამენდი მოიპოვებს. ინტერესს არის მოკლებული ვირჯინიის არჩევნებიც, რადგან მოსალოდნელია, რომ ეს შტატი ამჯერად "რესპუბლიკელებს" დაუბრუნდებათ. ობამამ ამ შტატში გამარჯვება მხოლოდ იმის წყალობით მოიპოვა, რომ ახალგზრდობა და ეროვნული უმცირესობები, რომლებიც ჩვეულებრივ ხმის მიცემის პროცესში არ მონაწილეობენ, საარჩევნო უბნებს მიაწყდნენ. თუმცა იმის გამო, რომ პრეზიდენტი ამჯერად არჩევნებში არ მონაწილეობს, ამომრჩეველთა ეს ნაწილი, სავარაუდოდ, გუშინ ისევ სახლში დარჩებოდა.

როგორც ჩანს, "რესპუბლიკელების" გამარჯვებაში თავად "დემოკრატებიც" დარწმუნებულნი არიან, რადგან თუ გასულ წელს საარჩევნო კამპანიის დროს ობამა ვირჯინიაში 30-ჯერ ჩავიდა, ამჟამად თავისი კანდიდატის მხარდასაჭერად ის მხოლოდ ორი ვიზიტით შემოიფარგლა. სამაგიეროდ ობამამ ნიუ-ჯერსიში სიარულს მოუხშირა, სადაც "დემოკრატ" და "რესპუბლიკელ" კანდიდატებს თითქმის თანაბარი რეიტინგი აქვთ.

ამჟამინდელი გუბერნატორი, "დემოკრატი" დონ კარზაინი ბოლო პერიოდში მნიშვნელოვნად ჩამორჩებოდა თავის მეტოქეს, "რესპუბლიკელ" კრის კრისტის, რომელიც ყოფილი ფედერალური პროკურორია და თანამდებობაზე მუშაობის პერიოდში 130-მდე სისხლის სამართლის საქმე აქვს მოგებული, თანაც ისე, რომ არც ერთი პროცესი არ წაუგია. თუმცა კარზაინმა, რომლის რეიტინგი 40 პროცენტს არ აჭარბებდა, მეტოქის რეპუტაციისთვის ჩრდილის მიყენება გადაწყვიტა და მის წინააღმდეგ შავი პიარის აგორება დაიწყო. შედეგსაც მიაღწია. ამას ისიც დაემთხვა, რომ ასპარეზზე პოპულარული დამოუკიდებელი კანდიდატიც გამოჩნდა, რომელმაც საბოლოო ჯამში კრისტის უფრო მეტი ხმა წაართვა, ვიდრე კარზაინს და შედეგად "დემოკრატი" გუბერნატორი კრისტის არა მხოლოდ წამოეწია, არამედ გადაუსწო კიდეც, თუმცა უმნიშვნელოდ.

თუ ყველაფრის მიუხედავად კრის კრისტი არჩევნებში მაინც გაიმარჯვებს, "რესპუბლიკელები" ამ ფაქტს იმის დასტურად გამოიყენებენ, რომ პრეზიდენტ ობამას ვარსკვლავმა ჩაქრობა დაიწყო.

გამოკითხვები აჩვენებს, რომ ბარაკ ობამას ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ მნიშვნელოვნად გაიზარდა იმ ამერიკელთა რაოდენობა, რომლებიც თავს კონსერვატორებად მიიჩნევენ. მათ ლიბერალების რაოდენობასაც კი გადააჭარბეს. თუმცა ეს "რესპუბლიკელთა" რეკორდულად დაბალ რეიტინგზე დადებითად არ მოქმედებს. ახლა პარტიის წევრებს, ძირითადად, იმაზე აქვთ უთანხმოება, თუ როგორ აამაღლონ თავიანთი პოლიტიკური ჯგუფის რეიტინგი. "რესპუბლიკელთა" ნაწილი ამტკიცებს, რომ აქცენტი იდეოლოგიაზე უნდა გაკეთდეს, თუმცა მათი მეტოქეები პრინციპებიდან გადახრას ეწინააღმდეგებიან. რომელია მართალი ორ ბანაკს შორის, ამას ნიუ-იორკის 23-ე საარჩევნო ოლქში მიღებული შედეგები აჩვენებს.

"რესპუბლიკელებმა" ნიუ-იორკში თავის კანდიდატად ადგილობრივი ლიბერალი პოლიტიკოსი დიდი სკოზაფავა (Dede Skozzafava) დაასახელეს, რომელსაც ბევრ საკითხში "დემოკრატთა" მსგავსი პოზიციები ჰქონდა. პარტიის მეორე შესაძლო კანდიდატი ბუღალტერი დაგ ჰოფმანი იყო. პარტიის ლიდერების შეხედულებები სწორედ ამ ორი ადამიანის გამო გაიყო. თუმცა, საბოლოო ჯამში, გამარჯვება სკოზაფავამ მოიპოვა და "რესპუბლიკელთა" კანდიდატად დასახელდა, რის შემდეგაც ჰოფმანმა პარტია დატოვა და "კონსერვატიული პარტიის" სახელით გადაწყვიტა კენჭისყრა. ამერიკაში გამარჯვების შანსი ტრადიციულად მხოლოდ ორი წამყვანი პარტიის წევრებს აქვთ, ამიტომ დღეს ყველა გაოგნებულია იმ აზრით, რომ არჩევნები შეესაძლოა ჰოფმანის გამარჯვებით დასრულდეს, რომელიც კონსერვატორთა საყრდენ ძალად იქცა.

"რესპუბლიკური პარტიის" ხელმძღვანელობა სკოზაფავას მხარდასაჭერად ყველაფერს აკეთებდა, ამ კანდიდატს ყველაზე ცნობილი მემარცხენე პოლიტიკური საიტი "დეილი კოსიც" უჭერდა მხარს, თუმცა შაბათს სკოზაფავამ არჩევნებიდან თავისი კანდიდატურა მოხსნა და ოფიციალური მხარდაჭერა "დემოკრატების" კანდიდატ ბილ ოუენსს გამოუცხადა. კენჭისყრაზე უარის თქმის მიზეზად კი დაფინანსების არქონა დაასახელა.

ამგვარად, ჰოფმანი რეიტინგით "დემოკრატების" კანდიდატს გაუსწორდა და თუ ის გაიმარჯვებს, ეს დაადასტურებს იმ ადამიანთა შეხედულებებს, რომლებიც "რესპუბლიკელებს" ურჩევენ, მარჯვენა ფლანგზე დარჩნენ და სასოწარკვეთილებაში მყოფებმა პოლიტიკური ცენტრისკენ მოძრაობა შეწყვიტონ.

ბიზნესმენის მკვლელობა მოსკოვის ცენტრში

მოსკოვის ცენტრში კიდევ ერთი მკვლელობა მოხდა. ამჯერად მოკლულია ცნობილი ბიზნესმენი შაბტაი კალმანოვიჩი. მკვლელობა ნოვოდევიჩის ქუჩაზე მოხდა. კალმანოვიჩის "მერსედესის" მარკის ავტომანქანას ცეცხლი "ლადა-პრიორადან" გაუხსნეს. ბიზნესმენი ადგილზევე გარდაიცვალა. მისი მძღოლი კი მიყენებული მძიმე ჭრილობებით საავადმყოფოში გადაიყვანეს. როგორც ექიმები აცხადებენ, მის სიცოცხლეს საფრთხე აღარ ემუქრება. თავდამსხმელების ვინაობის დასადგენად და დასაკავებლად მიმდინარეობს საგანგებო ოპერაცია სახელწოდებით "ვულკანი".

მომხდართან დაკავშირებით სისხლის სმართლის საქმე მკვლელობის მუხლით აღიძრა. გამოძიება რამდენიმე ვერსიაზე მუშაობს. ყველაზე მთავარ ვერსიად შეკვეთილი მკვლელობა განიხილება და სამართალდამცველების ვარაუდით, შესაძლოა, მკვლელობა ბიზნესმენის საქმიანობას უკავშირდება.

"სამართალდამცველებს ძალიან გაუჭირდებათ იმის გაგება, კონკრეტულად რომელ ბიზნესს უკავშირდება ბიზნესმენის მკვლელობა, რადგან შაბტაი კალმანოვიჩის ბიზნესსაქმიანობა მრავალმხრივი იყო," - წერს რუსული პრესა.

61 წლის ბიზნესმენი და მეცენატი შაბტაი კალმანოვიჩი რუსეთში ქალთა კალათბურთის კლუბ "სპარტაკის" პრეზიდენტი იყო, იგი ასევე ხელმძღვანელობდა ტიშინსკის ბაზარს. სხვადასხვა დროს ხელმძღვანელობდა კალათბურთის კლუბ "ჟალგირისს" და ასპონსორებდა რამდენიმე რუსულ სპორტულ კლუბს.

შაბტაი კალმანოვიჩი ასევე ცნობილი იყო შოუ-ბიზნესშიც. სწორედ მისი ორგანიზებით ჩაატარეს რუსეთში კონცერტები მაიკლ ჯექსონმა, ლაიზა მინელმა და ხოსე კარერასმა.

როგორც რუსული პრესა წერს, შაბტაი კალმანოვიჩი სხვადასხვა პროფილის ბიზნესის სფეროში მოღვაწეობდა. ის ფარმაცევტულ ბიზნესშიც იყო ჩართული და უძრავ-მოძრავი ქონების ყიდა-გაყიდვის ბიზნესსაც აწარმოებდა. გავრცელებული ინფორმაციით, მან ფარმაცევტული ბიზნესი იოსებ კობზონთან ერთად დაიწყო, მოგვიანებით კი მათი გზები გაიყო.

როგორც გარდაცვლილი ბიზნესმენის ახლობლები აცხადებდნენ, ერთი წლის წინ, შაბტაი კალმანოვიჩს სერიოზული კონფლიქტი მოუვიდა ფარმაცევტულ ბიზნესპარტნიორთან, თუმცა, როგორ დასრულდა ეს კონფლიქტი და ვინ იყო ბოლოს ამ სფეროში კალმანოვიჩის ბიზნესპარტნიორი, გარდაცვლილის ახლობლები არ აკონკრეტებენ. ამბობენ მხოლოდ იმას, რომ პარტნიორმა შაბტაი კალმანოვიჩი მოატყუა.

61 წლის შაბტაი კალმანოვიჩის ბიოგრაფიიდან ცნობილია ის, რომ 1988 წელს ის ისრაელში გაასამართლეს. **"შპიონაჟი რუსეთის სასარგებლოდ,"** - ასეთი იყო ბიზნესმენისთვის წარდგენილი ბრალდება.

კალმანოვიჩი საკუთარ ჯაშუშურ წარსულს არ მალავდა და ინტერვიუებში ამაზე ღიად საუბრობდა. ცნობილია ისიც, რომ ისრაელის ციხეში გატარებული წლების აღწერას ის საკუთარ წიგნში აპირებდა, რომელიც უახლოეს ხანში უნდა გამოეცა.

"ერთმა ჩემმა ყოფილმა კოლეგამ, რუსმა მზერავმა "ჩამიშვა". რამდენიმე წლის განმავლობაში სრულიად მარტო ვიმყოფებოდი აბსოლუტურად ბნელ საკანში. ვგრძნობდი, თანდათან როგორ მიმძიმდებოდა ფსიქიკა და როგორ ვიშლებოდი ჭკუიდან. მას შემდეგ, რაც გავთავისუფლდი, ტრანკვილიზატორის გარეშე ვეღარ ვიძინებ," - ამბობდა ცოტა ხნის წინ მიცემულ ინტერვიუში ბიზნესმენი.

არადა, გავრცელებული ინფორმაციით, კალმანოვიჩი ისრაელის ციხეში დიდი პრივილეგიებით სარგებლობდა, რის გამოც, მოგვიანებით, გისოსებს მიღმა აღმოჩნდა თავად ციხის უფროსი.

1993 წელს კალმანოვიჩი ვადამდე ადრე გაათავისუფლეს და ის ისრაელიდან რუსეთში დაბრუნდა.

რუსული პრესის ინფორმაციით, გარდაცვლილ ბიზნესმენს მეგობრული ურთიერთობა აკავშირებდა ასევე ცოტა ხნის წინ მოკლულ კრიმინალურ ავტორიტეტთან "იაპონჩიკთან". ამავე ინფორმაციების მიხედვით, კალმანოვიჩი თანამშრომლობდა ცნობილ ოლიგარქ გრიგორ ლუჩანსკისთან, რომელთან ერთადაც, ყაზახეთში მსხვილ პროექტებს ახორციელებდა.

"იმედი გავქვს, ბიზნესმენის მკვლელობის საქმეს ჩქარა გავხსნით. გამოძიების ინეტერესებიდან გამომდინარე, მომხდართან დაკავშირებით, ჯერჯერობით არანაირ კომენტარს არ გავაკეთებთ," - აცხადებენ გამომძიებლები.

უკრაინა-რუსეთის ყოველთვიური გაზის ჭიდილი

ოქტომბრის ბოლო რიცხვებში რუსულ და უკრაინულ პრესაში გამოჩნდა პირველი მინიშნებები იმაზე, რომ უკრაინას შეიძლება, რუსული გაზის ოქტომბრის საფასურის გადახდაში პრობლემები შეექმნას. წლის დასაწყისში გაფორმებული ხელშეკრულების თანახმად, უკრაინამ რუსეთს ყოველი თვის მოხმარებული ბუნებრივი აირის საფასური მომდევნო თვის პირველ 7 დღეში უნდა გადაუხადოს, წინააღმდეგ შემთხვევაში, რუსეთს უფლება აქვს, უკრაინისგან ყოველი თვის წინ მთლიანი წინასწარი გადახის რეჟიმზე გადასვლა მოითხოვოს. წელს ასეთი აჟიოტაჟი ყოველი თვის ბოლოს იქმნება, მაგრამ უკრაინა მაინც ახერხებს თანხების მოძიებას და ჯერ ვადისთვის არ გადაუცილებია. ამას ალბათ არც ახლა მიაქცევდა ვინმე სერიოზულ ყურადღებას, მაგრამ ეს ხმები თვით რუსეთისა და უკრაინის ხელმძღვანელების განხილვის საგანი გახდა. სააგენტოებმა გაავრცელეს ინფორმაცია, რომ რუსეთის პრეზიდენტმა სატელეფონო საუბარში უკრაინელ კოლეგა იულია ტიმოშენკოს გაზის საფასურის დროული გადახდისკენ მოუწოდა. პასუხად იულია ტიმოშენკომ საკუთარი პრეზიდენტი ვიქტორ იუშჩენკო დაასმინა პუტინთან, რომ თითქოს ის უშლის ხელს უკრაინის მთავრობას თანხების მოძიებაში. ამაზე უკრაინის პრეზიდენტის აპარატმა განაცხადა, რომ პრეზიდენტი იუშჩენკო არასდროს დათანხმდება ფულის უბრალოდ დაბეჭდვას და ამით (ქაღალდებით) გაზის ვალის გასტუმრებას. მთავრობამ ფული სხვა გზებით უნდა მოიძიოს.

როგორც ჩანს, უკრაინულ კომპანია "ნაფტოგაზს" გარკვეული პრობლემები მართლაც აქვს და ფულის სესხება სჭირდება. ზოგი მონაცემებით, სასესხებელ ფულს ის რუსეთშიც კი ეძებს, თუმცა მსგავსი პრობლემები სხვა თვეებშიც ყოფილა. უბრალოდ, ნოემბერში ამას სხვა გართულებაც დაერთო. პუტინმა უკრაინას ურჩია, გაზის ფულის გადასახდელად ოქროსა და ვალუტის რეზერვები გამოიყენოს, რაც უკრაინამ, ცხადია, შეურაცხყოფად მიიღო და მეზობელი ქვეყნის პრემიერს მოუწოდა, უკრაინის საშინაო საქმეებში არ ჩაერიოს. პუტინმა პირველ ნოემბერს ევროკავშირის თავმჯდომარე ქვეყნის შვედეთის პრემიერსაც დაურეკა და გააფრთხილა, რომ თუ უკრაინა ფულს არ გადაიხდის, ევროპას შეიძლება გაზის მიწოდების პრობლემა შეექმნას. ევროკომისიის წარმომადგენელმა კი პრესას განუცხადა, რომ მათ არანაირი ოფიციალური დოკუმენტი არ მიუღიათ გაზის მიწოდებაში მოსალოდნელ შეფერხებაზე და პუტინს მოუწოდა, ნუ აშინებს ევროპის ქვეყნებს იმ პრობლემებით, რაც პრინციპში უკრაინის წინასაარჩევნო სიტუაციას ეხება.

ჩეხეთი ლისაბონის ხელშეკრულებას საფრთხედ არ მიიჩნევს

ჩეხეთის საკონსტიტუციო სასამართლომ გუშინ გამოიტანა ვერდიქტი და 17 "ევროსკეპტიკოსი" სენატორის სარჩელი უარყო. ეს სენატორები მიიჩნევდნენ, რომ ლისაბონის ხელშეკრულების რატიფიკაცია დაარღვევდა მათი ქვეყნის სუვერენიტეტს, შიდა კანონმდებლობას და სახელმწიფოებრიობის საფუძვლებს. ევროსკეპტიკოსებს გარკვეული თვალსაზრისით მხარს უჭერდა პრეზიდენტი ვაცლავ კლაუსიც, რომელიც მოითხოვდა, რომ ჩეხეთზე არ გავრცელებულიყო ევროკავშირის ადამიანის უფლებათა ქარტია. ჩეხეთს ეშინია, რომ მათ ქვეყანას სასამართლოში უჩივლებენ მეოცე საუკუნეში იქიდან გასახლებული გერმანელები ან მათი შთამომავლები. ორიოდე დღის წინ ევროკავშირმა ვაცლავ კლაუსის ეს მოთხოვნა დააკმაყოფილა და ჩეხეთისთვის გამონაკლისი დაუშვა. ასეთი გამონაკლისი ევროკავშირის კიდევ ორი თუ სამი სახელმწიფოსთვის (მათ შორის დიდი ბრიტანეთისთვის) აქვს გაკეთებული. პრეზიდენტი კლაუსი დღეს აშშ-ში მიემგზავრება, იქიდან ჩამოსვლის შემდეგ კი ალბათ რამდენიმე დღე დასჭირდება საკონსტიტუციო სასამართლოს მასალების სრულად გასაცნობად. თუ იგი რატიფიკაციის შესახებ დოკუმენტს უახლოეს ორ კვირაში მოანერს ხელს, შეიძლება ლისაბონის ხელშეკრულება ევროკავშირის მთელ ტერიტორიაზე უკვე პირველი დეკემბრიდან ამოქმედდეს. ანალიტიკოსები ევროკავშირის ლიდერებს მოუნოდებენ, არ მოდუნდნენ, რათა ჩეხეთმა მათ კიდევ რაიმე სიურპრიზი არ შესთავაზოს.

ყარზაიმ ლეგიტიმურობა საქმით უნდა დაამტკიცოს

ავღანეთის ძველ "ახალ" პრეზიდენტს თანამდებობის შენარჩუნება უკვე მიულოცეს ქაბულში სასწრაფოდ ჩასულმა გაერო-ს გენერალურმა მდივანმა ბან კი მუნმა, აგრეთვე (ტელეფონით) ამერიკის პრეზიდენტმა და დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრმა. ბარაკ ობამამ განაცხადა, რომ ავღანეთის არჩევნები საკმაოდ ქაოსური იყო, მაგრამ მთლიანობში არჩევანი შეესაბამება ქვეყნის კანონმდებლობას. მისივე სიტყვებით, ჰამიდ ყარზაიმ იგი დაარწმუნა, რომ ესმის სიტუაციის მნიშვნელობა, თვით ამერიკის პრეზიდენტმა კი მას განუცხადა, რომ ეს ყველაფერი საქმეში უნდა გამოიხატოს. ექსპერტები მიანიშნებენ, რომ დასავლეთის მხრიდან ყარზაის მხარდაჭერა უპირობო არ არის. ავღანეთის მთავრობამ თავის თავზე უნდა აიღოს წამყვანი როლი უსაფრთხოების დასაცავად ოპერაციების ჩატარებისას. საერთაშორისო საზოგადოება (და ალბათ ავღანელი ხალხიც) უნდა ხედავდნენ, რომ კოალიციის ძალები ეხმარებიან ავღანეთის მთავრობას და არა პირიქით.

მოამზადა ივა შილაკაძემ

ფხენიანი "მზად არის, დაბრუნდეს" მოლაპარაკებების მაგიდასთან

ჩრდილეთ კორეის საგარეო საქმეთა სამინისტრომ გამოაცხადა, რომ ფხენიანი მზად არის, დაუბრუნდეს ქვეყნის ბირთვული პროგრამის შესახებ ექვსმხრივ ფორმატში (ჩრდილოეთ და სამხრეთ კორეა, ჩინეთი, რუსეთი იაპონია და აშშ) მოლაპარაკებებს. ასევე განცხადებაში კორეა პირდაპირი მოლაპარაკებებისკენ მოუწოდებს თავის "შეურიგებელ მტერს" - აშშ-ს.

კიმ ჩენ ირი

ოქტომბერში ჩრდილოეთ კორეის ლიდერმა კიმ ჩენ ირმა განაცხადა, რომ ვაშინგტონთან პირდაპირი მოლაპარაკებების შემდეგ შესაძლოა, ექვსმხრივ ფორმატში დაბრუნების შესაძლებლობა განიხილოს, თუმცა ადრე ეს ფორმატი უიმედოდ მიაჩნდა. ახლანდელი განცხადებით კი იმას მიანიშნებს, რომ დიალოგის განახლება ჯერ კიდევ შესაძლებელია. ფხენიანის ნაბიჯი აშშ-ს შემხვედრი ნაბიჯის გადადგმისკენ მოუწოდებს. ექვსმხრივი მოლაპარაკებები ფხენიანმა აპრილში დატოვა.

"ჩვენ მივედით იმ დასკვნამდე, რომ თავიდან მოლაპარაკების მაგიდასთან დაპირისპირებული მხარეები უნდა დასხდნენ: ჩრდილოეთ კორეა და აშშ და რაციონალური გადაწყვეტილება მოძებნონ," - განაცხადა საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენელმა. "ახლა, როდესაც ჩვენ დიდსულოვნება გამოვიჩინეთ და გამოვაცხადეთ მზადყოფნა როგორც ამერიკასთან, ასევე ექვსმხრივ ფორმატში მოლაპარაკებებისთვის, აშშ-მ შემხვედრი გადაწყვეტილება უნდა მიიღოს," - აღნიშნა დიპლომატმა.

აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტმა კი განაცხადა, რომ ჯერ არ გადაუწყვეტია, მიიღოს თუ არა ფხენიანის მიწვევა და გაგზავნოს თუ არა ჩრდილოეთ კორეაში მოლაპარაკებებზე აშშ-ს სპეციალური წარმომადგენელი სტივენ ბოსურტი. ბოლო განცხადებაში ოფიციალური ფხენიანი მიანიშნებს, რომ თუ ვაშიგტონი დიალოგზე უარს იტყვის, კორეა "თავისი გზით წავა."

ბირთვული შეიარაღების საკითხებში რანგით მეორე ჩრდილოეთ კორეელმა თანამდებობის პირმა ლი გუნმა სულ ახლახან გაატარა ერთი კვირა აშშ-ში, სადაც ის ამერიკელ მეცნიერებსა და ყოფილ თანამდებობის პირებს შეხვდა.

ჩრდილოეთ კორეის წარმომადგენელთან შეხვედრის შემდეგ მისმა პარტნიორებმა განაცხადეს, რომ ფხენიანი თავისი ბირთვული პროგრამის გარშემო ექვსმხრივი მოლაპარაკებების განახლებაზე გაცილებით უფრო მონდომებული ჩანს. ლი გუნმა ნიუ-იორკში გამართა მოლაპარაკებები სუნ კიმთან, აშშ-ს სპეციალურ წარმომადგენელთან ჩრდილოეთ კორეის ბირთვული განიარაღების საკითხებში. ისინი მოგვიანებით კალიფორნიის ფორუმის კულისებშიც შეხვდნენ ერთმანეთს.

როდესაც ჩრდილოეთ კორეის საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენელ ლი გუნს აშშ-ში ვიზიტის შესახებ ჰკითხეს, პასუხად ის თითქოს ამ ვიზიტის მნიშვნელობის დაკნინებას შეეცადა. "ეს კონტაქტები მიზნად არ ისახავდა აშშ-სა და კორეას შორის მოლაპარაკებების მომზადებას. იქ არ განხილულა ორ ქვეყანას შორის მოლაპარაკებების დეტალები". მისი სიტყვებით "თუ ორი მხარე წერტილს დაუსვამს მტრობას და გააძლიერებს ნდობას, ეს იქნება მნიშვნელოვანი ნიშანი კორეის ნახევარკუნძულის ბირთვული იარაღისგან გათავისუფლებისკენ." "თუ ამერიკა მოლაპარაკებების დასაწყებად მზად არ არის, ჩვენ არაფერი დაგვრჩენია გარდა იმისა, რომ ჩვენი გზით გავაგრძელოთ სვლა," - დაამატა წარმომადგენელმა.

ანალიტიკოსები ჩრდილოეთ კორეასა და მის მეზობელებს შორის დაძაბულობის შერბილების ნიშნებს ხედავენ. ცოტა ხნის წინათ ფხენიანმა თავის მოქალაქეებს სამხრეთ კორეაში ნათესავებთან შეხვედრის უფლება მისცა. აგრეთვე გამართა მოლაპარაკებები ჩინეთის მაღალი თანამდებობის პირებთან.

ზოგიერთი დამკვირვებელი მოლაპარაკებების განახლებისთვის ფხენიანის მზადყოფნას გაერო-ს მკაცრი სანქციებით ხსნის - ამ სანქციებმა გავლენა მოახდინეს ღარიბი ქვეყნის მდგომარეობზე, სადაც ზამთრის წინა პერიოდში საკვები რესურსის მარაგი ძალიან მცირეა.სანქციები განახლდა გაზაფხულზე - მას შემდეგ, რაც ჩრდილოეთ კორეამ ბირთვული გამოცდები ჩაატარა და რამდენიმე ბალისტიკური რაკეტა გაუშვა.

ჩრდილოეთ კორეის საგარეო საქმეთა სამინისტროს ამ განცხადების კვალდაკვალ გუშინ კორეის სახელმწიფო საინფორმაციო სააგენტომ გაავრცელა ინფორმაცია იმის შესახებ, რომ კორეამ იონბენეს ბირთვული რეაქტორის გამოყენებული საწვავის 8 ათასი ერთეულიდან საიარაღო პლუტონიუმი მიიღო. ესეც ალბათ მეზობელ ქვეყნებზე შანტაჟის ერთ-ერთი ფორმაა მოლაპარაკებების განსაახლებლად.

მოამზადა თამთა კახაძემ

არგენტინაში უკანასკნელ ხუნტას ასამართლებენ

არგენტინაში ქვეყნის უკანასკნელი სამხედრო მეთაურის და მისი გენერლების სასამართლო პროცესი დაიწყო. მათ ბრალად ედებათ მეოცე საუკუნის 70-იანი წლების ბოლოს 56 ოპონენტის უკვალოდ გაქრობაში მონაწილეობა. ბრალდების მტკიცებით, დაკარგულთა უმრავლესობა ბუენო-აირესის გარეუბანში კამპო დე მაიოს სამხედრო ბაზაზე აწამეს. ადამიანის უფლებათა დამცველი ორგანიზაციის მონაცემებით, 1976 წლიდან 1983 წლამდე მთლიანად არგენტინაში 30 000 ადამიანი იქნა მოკლული და უკვალოდ გაუჩინარებული.

რეინალდო ბინიონე

რვავე ბრალდებული (ექვსი გენერალი და სამხედრო მთავრობის ორი წარმომადგენელი) ბრალდებებს უარყოფს. 81 წლის რეინალდო ბინიონე ავადმყოფურად და სუსტად გამოიყურება.

ერთ-ერთი მსხვერპლის ნათესავების ადვოკატ ალსირა რიოსის განცხადებით, **"ეს არის ისტორიული პროცესი ყველა უკვალოდ დაკაგრულისთვის ჭეშმარიტების დადგენის ძებნაში. ჩვენ არ უნდა დავუშვათ, რომ მსგავსი დანაშაული დაუსჯელი დარჩეს. ეს არის ჩვენი მოვალეობა არგენტინელი ხალხის წინაშე."**

ამ პროცესზე ბრალდებულებს შორის არიან გადამდგარი გენერლები: სანტიაგო ომარ რივეროსი, ეუხენიო გუანაბენს პერელიო, ხორხე გარსია, ფერნანდო ეხეკილ ფერპლატსენი და კარლოს ალბერტო ტეპედინო. სასამართლოზე ბრალდების 130 მოწმის გამოსვლა იგეგმება. წინასწარი შეფასებით, პროცესი, სულ ცოტა, თებერვლამდე გაგრძელდება.

ბინონეს, რომელიც შინაპატიმრობაში იმყოფება, ბრალად ედება ადამიანთა წამებაში მონაწილეობდა, სახლებში უკანონოდ შესვლა და ადამიანის უფლებების დარღვევა 1976-78 წლებში.

ის იყო არგენტინის ოთხი სამხედრო მეთაურიდან უკანასკნელი, რომელიც ხუნტას 1982-82 წლებში ხელმძღვანელობდა. დიქტატურის კრახის შემდეგ მას მოუწია ხელისუფლების დათმობა დემოკრატიულად არჩეულ პრეზიდენტ რაულ ალფონსინისთვის.

მონაცემების მიხედვით, კამპო დე მაიოს ყაზარმებში5000 ადამიანი იყო დაპატიმრებული. ადამიანის უფლებათა დამცველი ორგანიზაციების განცხადებით, ეს დიქტატურის პერიოდში ერთ-ერთი ყველაზე დიდი სიკვდილის ბანაკი იყო.

მოამზადა თამთა კახაძემ

რევიუ

ქალბატონი დოდო



გარდაიცვალა ქართული კინოს კიდევ ერთი მშვენება, ქართული კინოს სიმბოლო, ქალბატონი დოდო ჭიჭინაძე. იგი 84 წლის გახლდათ, თუმცა სიცოცხლის ბოლო დღეებამდე არ შეუწყვეტია აქტიური ცხოვრება. ცოტა ხნის წინ საქართველოს კინოს, თეატრისა და ქორეოგრაფიის მუზეუმს, რამდენიმე პირადი ნივთი გადასცა, მანამდე კი კინოთეატრ "რუსთაველის" წინ ქართული კინოს ვარსკვლავების: ნატო ვაჩნაძის, ოთარ კობერიძისა და ლეილა აბაშიძის გვერდით მისი სახელობითი ვარსკვლავი გაიხსნა. "ბედნიერი ვარ, რომ ჩემს მაყურებელს ჯერ კიდევ ვახსოვარ და ასე მაფასებს. ისინი ჩემთვის ასე სასიხარულო დღის გასაზიარებლად აქ მოვიდნენ, ყველა მეფერება, ყველა მიღიმის"... - ასეთი ბედნიერი იყო მაშინ ლეგენდარული მსახიობი.

დოდო ჭიჭინაძე 28 დეკემბერს 85 წლის გახდებოდა. დაიბადა ქუთაისში, იზრდებოდა თბილისში. დაამთავრა კინოსტუდიასთან არსებული კინომსახიობთა სტუდია, 1950 წლიდან კი მარჯანიშვილის თეატრის დასის წევრი გახდა. თუმცა როდესაც საუბარია დოდო ჭიჭინაძეზე, მისი სახე პირველ რიგში კინოეკრანზე ცოცხლდება... მისი კინოდებიუტი ჯერ კიდევ 1946 წელს, ნიკოლოზ სანიშვილის "დავით გურამიშვილში" შედგა. ამას მოჰყვა როლები საბჭოთა ქართული კინოს პრაქტიკულად ყველაზე ცნობილ ფილმებში: "ჭრიჭინა", "ცისკარა", "ბაში-აჩუკი", "ნინო", "შეწყვეტილი სიმღერა". ქალბატონი დოდო სიცოცხლის უკანასკნელ წლებშიც არ წყვეტდა სამსახიობო კარიერას. სიამოვნებით მუშაობდა ახალგაზრდა თაობის რეჟისორებთან. როგორც თავადვე ამბობდა, მათ არა მხოლოდ საკუთარ გამოცდილებას უზიარებდა, არამედ მათგანაც ბევრს სწავლობდა.

ალბათ ზედმეტია იმაზე საუბარი, რომ დოდო ჭიჭინაძის სავიზიტო ბარათი მისი სილამაზე, დიდებული გარეგნობა იყო. ქალბატონი დოდო სწორედ ასეთი შემორჩება ქართულ ეკრანს... **24 საათი**

Hope Box - იმედით და საზღვრების გარეშე

თბილისშიც დასრულდა... პროექტი, რომელმაც მსოფლიოს ლამის ყველა ქვეყანა მოიარა, გუშინ საღამოს თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის საგამოფენო დარბაზში საქართველოსაც გამოეთხოვა. Hope Box საერთაშორისო პროექტია, რომელიც თბილისში "თბილისობის" დღესასწაულზე, გალერეა "ლაინში" დაიწყო და შეიძლება ითქვას, რომ იმ მცირე კულტურული ღონისძიებების რიგში მოხვდა, რომლებიც სტუმარსა თუ თბილისელს არწმუნებდა იმაში, რომ თბილისი მხოლოდ ვაჭრობისა და სმა-ჭამის ეპიცენტრი არ არის...

გალერეა "ლაინში" დაწყებული პროექტი, სულ მალე სამხატვრო აკადემიის გალერეაში გადაიტანეს. პროექტის არსი სხვადასხვა ეროვნების მხატვრების ერთ პროექტში, მეტიც, ერთ სასურათო სიბრტყეზე გაერთიანებაში მდგომარეობს. აკადემიის გალერეაში ოცამდე დიდი კოლაჟი გამოიფინა. ამ ნამუშევრებს კი არა ერთი ავტორი, არამედ ათი და მეტი ავტორის აწერდა ხელს.

ექსპოზიციის დათვალიერება პატარა გამოძიებას ჰგავდა. იმედით დაკავშირებული მხატვრების ხელწერა რომ გამოეცნოთ, კარგად უნდა დაკვირვებოდნენ სურათს და თუ მხატვარი ნაცნობი იყო, მაშინ მის ხელწერას სადმე, რომელიმე ფენაზე მაინც დაიჭერდი.

ცხადია, საქმე ხელოვნების საინტერესო ნიმუშებთან არ გვაქვს, მაგრამ დამოკიდებულება მაინც მნიშვნელოვანია და ეს დამოკიდებულებაა მთელი პროექტიც, ანუ Hope Box.

იმედი იმისა, რომ ხვალ მსოფლიო უკეთესი იქნება და უკეთესად იცხოვრებენ ის მოზარდები, რომლებსაც დღეს არც სახლი გაჩნიათ და არც მზრუნველები ეგულებათ ალბათ ბევრს აგრძნობინებს, რომ თითოეული ადამიანის წვლილი ამ იმედის გაღვივებისთვის მნიშვნელოვანია. მაგრამ ცოტა თუ შეუდგება ამ წვლილის გაღებას. რიენკე ენგჰარდტი კი შეუდგა. ის არა მხოლოდ პროექტის ინიციატორია, არამედ არაერთი უდედმამო ქართველი მოზარდის მეურვეც. ამ მოზარდებს მან Hope Box Angels დაარქვა, ისინი ბრეიგდანსს ცეკვავენ და ეს ყველაფერი გალერეის ცენტრში ხდება.

გალერეა "ლაინის`, ანუ პროექტის პირველი მასპინძლის, დირექტორი, ქალბატონი ქეთევან პაიჭაძე აღნიშნავს, რომ ეს პროექტი გულისხმობს მსოფლიოში მშვიდობის, მეგობრობის და ხელოვნების ზეიმს, გამოფენების და სანახაობრივი ხელოვნების ღონისძიებების სახით.

ამას გარდა,Hope Box-ი მხატვარ რიენკე ენგჰარდტის მიერ შექმნილი პროექტების ერთობლიობაც არის. Hope Box-ის მიზანია ერთობლივი მუშაობით შექმნას ხელოვნება საზღვრების გარეშე, რომელიც ასახავს რეალობის მრავალფეროვნებას. 1991 წლიდან 36 ქვეყნის 150 ხელოვანზე მეტმა მიიღო მასში მონაწილეობა.

პროექტმა უკვე მოიარა პეკინი, ჰონგ კონგი, ბანგკოკი, ჰანოი, ჰოშიმინი, რანგუნი, კუალა ლუმპური, სინგაპური, ჯაკარტა, ამსტერდამი, ჰააგა, ნიუ იორკი, ჩიკაგო, ბრისბენი, სიდნეი, პრიშტინა, პეჟა, იოჰანესბურგი, დანდინი, პარიზი, შონგკინგი, ბელგრადი, დოუალა, ხან იუნისი, ღაზა, ბეთლემი და ა.შ. **24 საათი**

ᲗᲔᲐᲢᲠᲘ

4 ᲜᲝᲔᲛᲑᲔᲠᲘ

ᲗᲔᲐᲢᲠᲘ

შოთა რუსთაველის სახელობის თეატრი
ექსპერიმენტული სცენა
“კვერცხი”
რეჟისორი: სანდრო მრევლიშვილი
დასაწყისი: 19.45

კოტე მარჯანიშვილის სახელობის თეატრი
მცირე სცენა
“სასიყვარულო ბარათები"
რეჟისორი მალხაზ ასლამაზიშვილი
დასაწყისი: 20:00

ᲙᲘᲜᲝ

რუსთაველი
"გემრიელი ღრუბლები და მარმელადის წვიმა"
დასაწყისი: 12.00; 14.00; 16.00; 18.00; 20.00;
"ნაზარის უკანასკნელი ლოცვა"
დასაწყისი: 13.00; 15.00; 17.00; 19.00; 21.30
“თბილისური Love Story"
დასაწყისი: 12.15; 14.15; 16.15; 18.15; 20.15; 22.00; 22.15
"კოკო შანელი"
დასაწყისი: 12.00; 14.30; 17.00; 19.30; 22.00
“გაღმა ნაპირი"
დასაწყისი: 12.30; 14.30; 16.30; 18.30; 20.30; 22.15

ამირანი
"გემრიელი ღრუბლები და მარმელადის წვიმა"
დასაწყისი: 12.15; 14.15; 16.15; 18.15;
"ნაზარის უკანასკნელი ლოცვა"
დასაწყისი: 19.00; 20.30
“თბილისური Love Story"
დასაწყისი: 20.15; 22.15
"გაღმა ნაპირი"
დასაწყისი: 17:00;
"ყველაფერი კარგად იქნება"
დასაწყისი: 13:00; 15.00;
“ყელაფერი კარგად იქნება"
დასაწყისი: 21:00

მოგზაურობა 70-იანებში

Good Old 70’s - მოუსმინეთ როკის ლეგენდებს ქართული ჯგუფების შესრულებით

ᲘᲐ ᲕᲔᲙᲣᲐ

მართალია, გარეთ 2009 წელია და ადამიანი სულ მალე მარსისკენაც გაფრინდება, საქართველოში მაინც ყველაზე მეტად 70-იანი წლების როკმუსიკა უყვართ. შესაძლოა იმიტომ, რომ ამ მუსიკის შექმნისას მისი მოსმენა გვეკრძალებოდა და ამიტომ უფრო გვეგემრიელება, შესაძლოა უბრალოდ იმიტომ, რომ დღემდე საუკეთესოდ რჩება (თუმცა ეს გემოვნების საკითხია, რაც უკვე ნიშნავს, რომ კამათს არ ექვემდებარება). ასეა თუ ისე, 8 ნოემბერს დროში სამოგზაუროდ გაემზადეთ - საბოლოო დანიშნულების ადგილი კი კონცერტი Good Old 70’s-ია.

საღამო სწორედ იმ დარბაზის სცენაზე გაიმართება, სადაც ქართული კლასიკური მუსიკის ერთ-ერთი მთავარი რგოლი, საქართველოს ეროვნული მუსიკალური ცენტრია განთავსებული. კლასიკურ მუსიკასთან ოდნავ მწყრალად მყოფებს შევახსენებთ, რომ ეს ყოფილი რკინიგზელთა კულტურის ცენტრია. ის რომ, კონცერტი სწორედ ამ სცენაზე გამართება, თითქოს სიმბოლურიცაა, რადგან ვინც უშუქო და... ერთი სიტყვით, უყველაფრო 90-იანი წლების თბილისში ცხოვრობდა და როკმუსიკასაც სწყალობს, ალბათ კარგად ახსოვს ამ სცენაზე გამართული კონცერტები, რომლებშიც იმ დროს ცნობილი ანსამბლები Yellow House, Wild Stream, Skyend, Brain Damage და უამრავი სხვა მონაწილეობდა. მოკლედ, ეს დიდი ხნის წინ იყო (და ძალიან კარგი იყო), ახლა კი იმის შესახებ, რაც 8 ნოემბერს გველის.

ეს იქნება ქოვერ კონცერტი ანუ ადგილობრივი ჯგუფები როკის ლეგენდების კომპოზიციების საკუთარ ვერსიებს შემოგვთავაზებენ. ამჯერად შეირჩა შვიდი ქართული ჯგუფი (ყველა მათგანს გარკვეული გამოცდილება უკვე გააჩნია, რაც კონცერტის სავარაუდო ხარისხზე მიანიშნებს): Comic Condition (ყოფილი Green Mamma), Blues Factor, Sanda (ჯგუფი ყველაზე დიდი ბიოგრაფიით) April, String (Tbilisi open air-ის მონაწილე) Labirinth (მონაწილეობდა ლადო ბურდულის როკ-ფესტივალში) და Goblins (გიგი გეგელაშვილის ჯგუფი). სწორედ ამ ჯგუფების მუსიკოსებს მოუწიათ უკვე ისტორიად ქცეული მუსიკალური ნაწარმოებების გარჩევა და დამუშავება. უკვე ცნობილია, რომ April Deep Purple-ის კომპოზიციებს შეასრულებს, Sanda Pink Floyd-ს შეეჭიდება, Comic Condition - King Crimson-ს, String-მა T-Rex აირჩია, Labirinth Led Zeppelin-ის მუსიკალურ სამყაროში გვამოგზაურებს, Blues Factor Queen-თან ერთად ფრედი მერკურისაც გააცოცხლებს, ხოლო Goblins Rolling Stones-ის მუსიკას შემოგვთავაზებს. თუმცა ეს არ არის მთლიანი საკონცერტო პროგრამა. ჩამოთვლილთა გარდა შემდეგი ჯგუფებისა და შემსრულებლების მუსიკას მოვუსმენთ: The Animals, The Beatles, Free, ჯიმი ჰენდრიქსი, ჯონ ლენონი,T-Rex, Steppenwolf, Black Sabbath, Motorhead, დევიდ ბოუი, ელტონ ჯონი, Rainbow, Nazareth, AC/DC, King Crimson, Cream, Doors, Sex Pistols და Grand Funk Raildroad.

კონცერტის მონაწილე ჯგუფები საკუთარ კომპოზიციებსაც შეასრულებენ. ასე რომ, როგორც ხედავთ, 8 ნოემბერს საკმაოდ დატვირთული საღამო გელით.

რაც შეეხება საღამოს ორგანიზატორ კომპანია "პრომო ინდასტრიზს", ეს სახელწოდება როკის თბილისელი მოყვარულებისთვის განსაკუთრებით მაშინ გახდა ცნობილი, როდესაც იმავე ეროვნული მუსიკალური ცენტრის დარბაზში Tribute to LED ZEPPELIN ჩაატარა. კონცერტში Blues Factor, String, Sons Of the Sun, Comic Condition, L.O.D., Pi Light, RailSide, ქეთი ორჯონიკიძე და გია სალაღიშვილის ბენდი მონაწილეობდნენ. მაშინ Led Zeppelin-ის ყველაზე ცნობილი ჰიტები შესრულდა: Kashmir, Thank You, Gallows Pole, Immigrant Song, Babe I’m Gonna Leave You, Whole Lotta Love, Going to California, Tangerine, Black Dog, The Ocean, Good Times Bad Times, Moby Dick, Bring It on Home, Ramble On, When the Levee Breaks, The Wanton Song, No Quarter, Communication Breakdown, Rock’n’Roll და სხვა.

"პრომო ინდასტრიზ" პრომოუტერულ-საპროდიუსერო კომპანიაა, რომლის ძირითად საქმიანობაში მუსიკოსების პროდუსირება, მათი კონცერტების, გასტროლებისა თუ ფესტივალებზე გაგზავნის ორგანიზება შედის. როგორც კომპანიის ხელმძღვანელი ლევან ბეიტრიშვილი ამბობს: "იმისთვის, რომ ქართული თანამედროვე მუსიკის როკის სეგმენტი ამუშავდეს და მსმენელისთვის საინტერესო გახდეს, საჭიროა რამდენიმე პრომო პროექტის განხორციელება. ქოვერ კონცერტებიც სწორედ ამას ემსახურება. გარდა იმისა, რომ ქართულ ჯგუფებს ცოცხლად შესრულების კიდევ ერთი შანსი ეძლევათ, ისინი საკუთარ კომპოზიციებსაც ასრულებენ ანუ ფაქტობრივად მსმენელს თავიანთ შემოქმედებას აცნობენ". რაც შეეხება "პრომო ინდასტრიზის" მომავალ პროექტს, ის ორიოდე კვირაში განორციელდება - Comic Condition სოლო კონცერტისთვის ემზადება...

რა ხდება გალერეებში?

ახალი გამოფენები “ჰობსა” და “ვერნისაჟში"

ᲗᲐᲛᲐᲠ ᲙᲘᲙᲜᲐᲕᲔᲚᲘᲫᲔ

ფესტივალები დასრულდა და ოქტომბერში გამოცოცხლებული თბილისის კულტურული ცხოვრებაც მინელდა. წინა თვეში შექმნილი განწყობის შენარჩუნებას ცდილობენ გალერეები, რომლებიც სახვითი ხელოვნების ნამუშევრების ექსპონირებას აგრძელებენ და ახალ გამოფენებს გვთავაზობენ.

გუშინ ორი გამოფენა გაიხსნა - ერთი გალერეაში “ჰობი”, ხოლო მეორე “ვერნისაჟში”. ამ უკანასკნელმა ბინა დაიდო იმ საგამოფენო დარბაზში, რომელსაც დამთვალიერებელი გალერეა “კოპალას” სახელით იცნობს. მასზე აბრა, სახელწოდებით “კოპალა”, ჯერ არ ჩამოუხსნიათ და ექსპოზიციის გახსნაზე მისულთაგან მხოლოდ რამდენიმემ იცოდა, რომ ამიერიდან იქ უკვე გალერეა “ვერნისაჟის” დირექტორი - ზაირა ბერელიძე გვიმასპინძლებდა.

რა შემოგვთავაზა მან? თენგიზ მირზაშვილის (ჩუფჩიკას) ნამუშევრების გამოფენა. ამის გარდა, პრეზენტაცია დოკუმენტური ფილმისა, რომელიც მხატვარზე პეტერბურგელებმა გადაიღეს და კიდევ, წიგნის, რომელმაც საზოგადოების ინტერესი გამოიწვია.

ვიდრე ახალ გამოცემაზე ვიტყოდე, გამოფენით დავიწყებ. საექსპოზიციო სივრცეში გაბნეული თენგიზ მირზაშვილის ნამუშევრების დათვალიერება შეუძლებელი აღმოჩნდა - დარბაზში იმდენი ადამიანი ირეოდა, რომ ნახატებამდე მისვლის საშუალება არ იყო. და მიუხედავად ამისა, ავტორის ხელწერა და მისი ფერების სითბო შორიდანაც აღიქმებოდა. ქვემოთ გამოფენილ ნამუშევრებთან პატარები ტრიალებდნენ. “დედა, ეს ხომ ჩვენი ნახატია”, - ამბობდა ერთ-ერთი და ცდილობდა დანარჩენებიც დაერწმუნებინა, რომ ასეთი მას სახლში ჰქონდა... პატარების მსგავსად, ყველასათვის ნაცნობ კომპოზიციებსა და მოტივებს უფროსებმაც კიდევ ერთხელ შეავლეს თვალი და პროდუქტიულობით გამორჩეული მხატვრის სამყაროში გადაინაცვლეს.

როგორ ხატავდა თენგიზ მირზაშვილი? დამსწრეთაგან ბევრი აღნიშნავდა, რომ ჩუფჩიკა ხატვის პროცესში საკუთარი თვალით ყავდა ნანახი, დანარჩენებს კი ამის საშუალება ახალი ფილმის დახმარებით მიეცათ. ზაირა ბერელიძის თქმით, ფილმი, რომელიც პეტერბურგელებმა გადაიღეს და თენგიზ მირზაშვილს ეძღვნება, აქამდე არსად უჩვენებიათ და მაყურებელმა პირველად სწორედ იქ ნახა. თუმცა, დამთვალიერებელმა, ხმაურის გამო, მთავარი გმირის ხმა და საუბრის შინაარსი ვერ გაიგო და მხოლოდ თვალს ადევნებდა კადრებს, რომლებიც მხატვრისთვის საკუთარ სახელოსნოში, ძირითადად, ხატვის პროცესში გადაეღოთ.

ნამუშევრებისა და ფილმის გარდა, დაინტერესება გამოიწვია გამოცემამ, რომლის შესახებაც უკვე ვახსენე. წიგნი, რომელზეც თენგიზ მირზაშვილი 4 წლის განმავლობაში მუშაობდა, მოსკოვში დაიბეჭდა. ის, მართალია, დიდი ტირაჟით გამოიცა, მაგრამ საქართველოში მისი მცირე ნაწილი ჩამოიტანეს და ისიც იმდენად სწრაფად გაიყიდა, რომ ბევრმა თვალიც ვერ შეავლო. ასეთებს შორის მეც აღმოვჩნდი და მის შესახებ მხოლოდ ის შემიძლია გითხრათ, რაც გალერისტმა საუბრისას აღნიშნა. სწორედ მისგან შევიტყვეთ, რომ გამოცემა მხატვრის მრავალმხრივობას წარმოჩენს, მასში შეტანილია მირზაშვილის ნამუშევართა ილუსტრაციები, მისდამი მიძღვნილი წერილები, ფოტოები და ა.შ. ავტორმა მისი სრულყოფა ვერ მოასწრო და საბოლოო, მაგრამ უმნიშვნელო კორექტივები მასში სანდრო ყანჩელმა შეიტანაო, გვითხრა ზაირა ბერელიძემ. ის შეგვპირდა, რომ ამ წიგნით დაინტერესებულ პირებს მისი შეძენა უახლოეს მომავალში შეეძლებათ, ანუ მაშინ, როდესაც საქართველოში მისი ტირაჟის მორიგი ნაწილი ჩამოვა. თენგიზ მირზაშვილის ნამუშევრების დათვალიერება კი “ვერნისაჟში” 9 ნოემბრამდე შეგვეძლება.

6 ნოემბრამდე გაგრძელდება ექსპოზიცია, რომელიც გუშინ, გალერეაში “ჰობი” გაიხსნა. ამ საგამოფენო სივრცეში პირველად გამოიფინა მარიამ ფრიდონაშვილისა და თეონა ბიჩინაშვილის 25 ნამუშევარი. ისინი სამხატვრო აკადემიის მესამე კურსელები არიან და როგორც გალერისტმა - ვანდა მუჯირმა გვითხრა, მათი ახალგაზრდული შემართება და საზოგადოების წინაშე გამოჩენის სურვილი აღმოჩნდა ის ფაქტორი, რის გამოც მათ “ჰობის” დარბაზი დაუთმო.

ვანდა მუჯირის კეთილი ნება გასაგებია. მისი სურვილია ხელი შეუწყოს ახალგაზრდებს შემოქმედებითი ძალების გამოვლენაში. ამასთან, გალერისტმა აღნიშნა, რომ ორივე გოგონა წევრია სამხატვრო აკადემიაში ახლადშექმნილი ექსპერიმენტული სახელოსნოსი, რომელსაც ცნობილი მხატვარი, ოლეგ ტიმჩენკო ხელმძღვანელობს და ეს, ალბათ, მათ პროფესიულ ზრდაზეც იმოქმედებსო... ვიმედოვნებთ, რომ ასეც იქნება და მხატვრები, რომლებიც ერთად მუშაობენ, დროთა განმავლობაში საკუთარ ხელწერას გამოიმუშავებენ და მათი ნამუშევრებიც ერთმანეთისგან განსახვავებული იქნება, თორემ გალერეაში ექსპონირებული ნახატების ავტორი ყველას ერთი ადამიანი ეგონა და არა - ორი. ფიგურატიული მხატვრობის ნიმუშების კომპოზიციებიც კი ერთმანეთის მსგავსია... ფიგურათა გაშიშვლებითა და ამ ხერხით დესტრუქციულის და მანკიერის წარმოჩენის მცდელობა, გამართლებულია მაშინ, როდესაც ეს აღქმადია და არა პირიქით. ვფიქრობ, უკეთესი იქნება, თუ ისინი გაცილებით მეტ დროს დაუთმობენ დაოსტატებასა და საკუთარი ხელწერის შემუშავებას. იმედს ვიტოვებთ, რომ საექსპოზიციოდ 2 თვეში შექმნილი ნამუშევრების ნაცვლად, ავტორები მომავალში დამთვალიერებლის წინაშე უფრო დაოსტატებულნი წარსდგებიან, საკუთარი სათქმელითა და რაც მთავარია, ხელწერით, თორემ ერთმანეთის მსგავსი და არაფრით გამორჩეული ნამუშევრების ნაკლებობას არ განვიცდით.

ეკონომიკური "ლაფსუსი"

ისტორია, რომელიც ჯეიმს კრისტმა დაიწყო

თამარ კიკნაველიძე

ეკონომიკური კრიზისი გადალახულიაო, ამბობენ და უცხოური სააგენტოებიც, თითქოს, განგებ და ყოველდღიურად გვამცნობენ იმას, თუ როგორ ჩაიარა სხვადასხვა ქვეყანაში გამართულმა აუქციონებმა.

მათი მასშტაბურობა ამჯერად უკვე ნაკლებად მნიშვნელოვანია, რადგანაც მსოფლიოში გავრცელებული ეკონომიკური კრიზისის ფონზე ნებისმიერი ლოტი, რომელიც შეფასებულზე ძვირად გაიყიდება, საყოველთაო განსჯის საგანი ხდება და სააუქციონო სახლების წარმომადგენელთა სიხარულის გარდა, საზოგადოების ინტერესსაც იწვევს.

აუქციონთა ორგანიზების ტრადიცია საქართველოში, ობიექტური მიზეზების გამო, ვერ ჩამოყალიბდა, დიდ ქვეყნებში კი ფუნქციონირებენ აუქციონთა ისეთი სახლები, რომელთა სახელწოდებებიც ცნობილია და ყველამ იცის. მათ შესახებ გაზეთ "24 საათის" ფურცლებზე ვწერთ და აქცენტს ანტიკვარული, მემორიალური და ხელოვნების ნიმუშების აუქციონებზე ვაკეთებთ. ამ მიმართულებით თუ გადავხედავთ ისტორიას, აღმოვაჩენთ, რომ მას არც თუ დიდი ხნის წარსული აქვს, მაგრამ საინტერესო. ამის გარდა, ახლახანს ორგანიზებული ორი აუქციონის შესახებაც გეტყვით და მათ შედეგებსაც გაგაცნობთ.

აუქციონთა სახლებიდან ყველაზე მასშტაბურია სამი. მათ შორის, პირველია Christie's აუქციონი.

ნატიფი ხელოვნების ნიმუშთა პირველი ბაზრობა ყოფილი საზღვაო ოფიცერის - ჯეიმს კრისტი-უფროსის სახელს უკავშირდება. პირველი აუქციონი მან, რომელსაც საკომისიო ვაჭრობაში ბადალი არ ჰყავდა, 1766 წელს, ლონდონში მოაწყო. ამის შემდეგ შეიძინა შენობა, სადაც აუქციონის დარბაზს განსაკუთრებული ადგილი დაუთმო. კრისტის აუქციონის სახლი წარმატებას 1848 წლის რევოლუციასაც უნდა უმადლოდეს - ეს წელი ისტორიაში "უდიდესი გაყიდვების ეპოქის" სახელითაც შევიდა. ახლა მიიჩნევენ, რომ სწორედ კრისტიმ გადააქცია ანტიკვარიატებით ვაჭრობა ხელოვნებად. მასთან XVIII და XIX საუკუნეების ყველაზე დიდი აუქციონები იმართებოდა. ამასთან, აღსანიშნავია, რომ ჯეიმს კრისტი იყო შუამავალი გარიგებაში, რომელიც რუსეთის დედოფალ ეკატერინე მეორესთვის სერ რობერტ ვალპოლის მხატვრობის ნიმუშთა კოლექციის მიყიდვას გულისხმობდა. მოგვიანებით, სწორედ ეს კოლექცია დაედო საფუძვლად ერმიტაჟის მუზეუმის შექმნას.

ზემოთ ნახსენებ ჩამონათვალში მეორეა Sotheby's აუქციონის სახლი, რომლის დამფუძნებელიც იყო წიგნების გამყიდველი სემიუელ ბეიკერი. მან პირველი აუქციონი 1744 წელს ლონდონში ჩაატარა და პირველი წიგნის კატალოგი ფიქსირებული ფასებით გამოაქვეყნა. 1754 წელს ბეიკერმა მუდმივმოქმედი სააუქციონო დარბაზი გახსნა. ასწლეულების განმავლობაში ბეიკერი და მისი მემკვიდრეები სპეციალიზებას მხოლოდ წიგნებზე ახდენდნენ და ყველა ცნობილი ბიბლიოთეკის, მაგალითად: თავად ტალეირანის,

იორკისა და ბუკინგემის ჰერცოგების, ნაპოლეონის, აუქციონთა ორგანიზატორები იყვნენ.

1778 წელს საქმე გადაეცა ბეიკერის ნათესავს, ჯონ სოთბის, რომელიც მას 80 წელზე მეტხანს უძღვებოდა. ამავე წლიდან ფირმა სწორედ Sotheby's სახელს ატარებს. ამ პერიოდიდან კომპანიამ მოღვაწეობის სფერო გააფართოვა და გრავიურების, მონეტების, მედალიონებისა და სხვა ანტიკვარული ნაკეთობების გაყიდვაც შეითავსა. თუმცა, მის ძირითად საქმედ მაინც წიგნებით ვაჭრობა დარჩა.

წლების მანძილზე შემუშავდა ერთგვარი დაუწერელი კანონი, რომლის თანახმადაც ავეჯი და მხატვრობა Christie's მიმართულებით იგზავნებოდა, ეს უკანასკნელი კი, თავის მხრივ, ყველა წიგნს Sotheby's უთმობდა. არაოფიციალური გარიგება 1913 წელს, იმ დროისთვის საკმაოდ სარფიანად - 9 000 ფუნტ სტერლინგად გაყიდული ფრანც ჰალსის "მამაკაცის პორტრეტით" დაირღვა. 1917 წელს კი შედგა დიდი გაყიდვა, რომელმაც ავეჯისა და გრავიურების გვერდით ნახატებიც მოიცვა. 1950-იანი წლების ბოლოს Sotheby's აუქციონის სახლი ხელოვნების ნიმუშთა გაყიდვებში ლიდერი გახდა. ის იყო ერთგვარი დახურული კლუბი, სადაც მხოლოდ არისტოკრატები მუშაობდნენ. XX საუკუნის 80-იან წლებში Sotheby's სახლი პრაქტიკულად გაკოტრდა. 1983 წელს ის ამერიკელ მეწარმეს, მაღაზიების უმსხვილესი გაერთიანების მეპატრონეს, ალფრედ ტაუბმანს მიყიდეს. დღეისათვის Sotheby's მსოფლიოში ასზე მეტ ოფისს მოიცავს. მისი წლიური შემოსავალი 2 მილიარდ დოლარზე მეტია. 2000 წელს Sotheby's სახლმა საერთაშორისო მასშტაბით დაიწყო ინტერნეტის საშუალებით ხელოვნების ნიმუშების გაყიდვა.

მესამე უმსხვილესი და უნივერსალური აუქციონის სახლი მსოფლიოში არის Bonhams. ის 1793 წელს, გრავიურების ცნობილმა დილერმა - ტომას დოდმა (Thomas Dodd) და ბუკინისტმა - ვალტერ ბონჰამმა (Walter Bonham) დააფუძნა. XIX საუკუნის შუახანებში ის გაფართოვდა, ახლა კი 70 კატეგორიაში ვაჭრობს, მათ შორის, მხატვრობით, მანქანებით, მუსიკალური ინსტრუმენტებით, ღვინით, ხალიჩებით და დიზაინის ობიექტებით. ეს სახლი მსოფლიოს მასშტაბით 700-ზე მეტ აუქციონს აწყობს.

ახლახანს ორგანიზებულ აუქციონს რაც შეეხება, ამ თვალსაზრისით საინტერესოა სიახლე, რომელსაც რუსული სააგენტო Lenta.ru სააგენტო Bloomberg-ის ინფორმაციაზე დაყრდნობით აკეთებს.

გაყიდვამ ხელოვნების ნიმუშებისა, რომლებიც საინვესტიციო ბანკს, სახელწოდებით Lehman Brothers, ეკუთვნოდა 1,35 მილიონი დოლარი მოიტანა. აღსანიშნავია, რომ აუქციონზე სულ 283 ლოტი იყო გამოტანილი, ის Freeman's Auctioneers-ის სახლმა ჩაატარა.

აღნიშნული აუქციონის ყველაზე ძვირადღირებული ლოტი აღმოჩნდა პოპ-არტის ამერიკელი წარმომადგენლის, როა ლიხტენშტეინის ნახატი, სახელწოდებით "მე შენ მიყვარხარ", რომელიც 49 ათას დოლარად გაიყიდა. 16 250 დოლარად შეიძინეს პრინტ ივონ ჟაკეტის "ხედი ნიუ იორკზე ჩიტის ფრენის სიმაღლეზე". ყველზე ძვირადღირებულ ლოტებში მოხვდა ასევე ლუის ლოზოვიკის ლითოგრაფია "ჰანოვერ-სკვერი". 1929 წელს შესრულებული ნამუშევარი 26 200 დოლარად გაიყიდა.

აღნიშნული აუქციონი 6 საათი გაგრძელდა და დასრულებისას ყველა ლოტი გაყიდული აღმოჩნდა. მიუხედავად იმისა, რომ გაყიდვებმა მოსალოდნელს ორჯერ გადააჭარბა, ნავაჭრი ვერ ფარავს Lehman Brothers-ის ვალს, რომელიც 250 მილიარდ დოლარად არის შეფასებული.

ბანკი Lehman Brothers 2008 წლის 15 სექტემბერს გაკოტრდა. იმ დროისათვის ის მართავდა აქტივებს, რომელთა ჯამური ღირებულებაც 691 მილიარდ დოლარს შეადგენდა. Lehman Brothers-ის გაკოტრება აშშ-ს ისტორიაში უმსხვილესია.

მოსალოდნელ აუქციონს რაც შეეხება, ასეთი მალე შედგება და მასზე გასაყიდად 1965 წელს შესრულებულ ენდი უორჰოლის ავტოპორტრეტს გამოიტანენ. ეს ნამუშევარი არასოდეს გამოუფენიათ. მას 40 წელზე მეტხანს ინახავდა უორჰოლის ყოფილი მდივანი, კეტი ნეისო (Cathy Naso), რომელმაც ავტოპორტრეტი მხატვრისგან მისთვის განეული სამუშაოს სანაცვლოდ მიიღო. ამის შესახებ ინფორმაციას The New York Times-ი ავრცელებს.

უორჰოლის სტუდიაში ნეისო 1965-67 წლებში მუშაობდა. ის ამბობს, რომ უორჰოლთან უფასოდ მუშაობდა და თავისუფალ დროს მთლიანად მას უძღვნიდა, რამდენადაც მხატვარი მისი კუმირი იყო. "მე უბრალოდ მინდოდა იქ ყოფნა", - განაცხადა ნეისომ.

ენდი უორჰოლის საჩუქარი რამდენიმე ხანი ნეისოს სახლში ეკიდა, მოგვიანებით კი კედლიდან ჩამოხსნა, რამდენადაც მისი მოპარვის შეეშინდა. უკანასკნელ დრომდე ის ნამუშევარს კარადაში ინახავდა და როგორც Sotheby's სახლის წარმომადენელი აღნიშნავს, ამის წყალობით ნახატის ფერები კარგად არის შენარჩუნებული.

"მე ძალიანაც მინდოდა, რომ ეს ავტოპორტრეტი დამეტოვებინა, მაგრამ მისი ადგილი ხელოვნების სამყაროშია. ვისურვებდი, რომ მისი ახალი მეპატრონე მას ისევე უფრთხილდებოდეს, როგორც მე", - აღნიშნა ნეისომ.

აუქციონი, რომელზეც პორტრეტი გაიყიდება, 11 ნოემბერს ნიუ იორკში გაიმართება. ნამუშევარი 1 - 1,5 მილიონ დოლარადაა შეფასებული.

ასე რომ, დავასრულებ იმით, რითიც დავიწყე - ეკონომიკური კრიზისის მიუხედავად, აუქციონები ინტენსიურად იმართება და გასაყიდ გადადებულ ნამუშევართა ჩამონათვალიც არ ილევა.

კიდევ ერთი ფესტივალი კონსერვატორიაში

5 - 10 ნოემბერს თბილისში ტარდება ჩასაბერ საკრავთა I საერთაშორისო ფესტივალი. ფესტივალზე თავს მოიყრიან ჩასაბერი საკრავების სახელგანთქმული შემსულებლები მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნიდან (ფელიქს რენგლი, მორის ბურგი, მიშელ ლეტიეკი, რადოვან ვლატკოვიჩი, გუსტავო ნუნესი, პიერ ბაუზერი, სლობოდან ტრკულია), საქვეყნოდ ცნობილი ქართველი მუსიკოსები (მანანა დოიჯაშვილი, ცინცაძის სახელობის ეროვნული სიმებიანი კვარტეტის წევრები, ოპერის სიმებიანი კვარტეტი) და საზღვარგარეთ მცხოვრები ახალგაზრდა, წარმატებული ქართველი შემსრულებლები (გიორგი გვანცელაძე, ლევან ცხადაძე, თეიმურაზ ბუხნიკაშვილი, ნატალია გაბუნია, ნინო გვეტაძე, ნატა წვერელი, დიმიტრი სტავრიანიდი).

ფესტივალი დაარსდა 2009 წელს. ფესტივალი ჩატარდება ყოველწლიურად. მისი მიზანია ჩასაბერ საკრავთა სპეციალობების პოპულარიზაცია და ძლიერი საშესრულებლო ტრადიციის შექმნა საქართველოში; ამასთან მსოფლიოში აღიარებული მუსიკოსების დახმარებით და ხელშეწყობით ახალგაზრდა, დამწყები ქართველი შემსრულებელებისთვის გამოცდილებისა და ცოდნის გაზიარება. ფესტივალის ინიციატორი, დამფუძნებელი და სამხატვრო ხელმძღვანელია ლევან ცხადაძე. ფესტივალის სპონსორები არიან კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტრო, კლასიკური მუსიკის ხელშეწყობის ასოციაცია, "საქართველოს მინერალური წყლები - ბორჯომი", NESCAFE, სააქციო საზოგადოება "ბაგრატიონი 1882", "ქინძმარაულის მარანი". ფესტივალის მასპინძელია თბილისის ვ.სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორია.

საფესტივალო პროგრამა:

5 ნოემბერი, ფესტივალის გახსნა
კონსერვატორიის დიდი დარბაზი, 19 სთ.

ს.ბარბერის, ლ.ვ. ბეთჰოვენის, მ.რაველის და ა.მოცარტის ნაწარმოებები

მონაწილეობენ: თემო ბუხნიკაშვილი, პიერ ბაუზერი, მორის ბურჟი, გიორგი გვანცელაძე, მანანა დოიჯაშვილი, მიშელ ლეტიეკი, გუსტავო ნუნეზი, დიმიტრი სტავრიანიდი, ლევან ცხადაძე,

7 ნოემბერი, კონსერვატორიის მცირე დარბაზი, 19 სთ.

მერკადანტე, მოცარტი, დევიენი, პულენკი

მონაწილეობენ: თამაზ ბათიაშვილი, ირა ბახტაძე, ნატალია გაბუნია, ნინო გვეტაძე, რადოვან ვლატკოვიჩი, გუსტავო ნუნეზი, ფელიქს რენგლი, ირაკლი ჯაფარიძე, ლევან ცხადაძე, გიორგი ჯორჯაძე, ოთარ ჩუბინიშვილი

8 ნოემბერი, კონსერვატორიის მცირე დარბაზი, 19 სთ.

ჰაასი, ბეთჰოვენი, პულენკი, გერშვინი

მონაწილეობენ: მორის ბურჟი, თემო ბუხნიკაშვილი

გიორგი გვანცელაძე, ნინო გვეტაძე, რადოვან ვლატკოვიჩი, ლევან ცხადაძე, ფელიქს რენგლი, მიშელ ლეტიეკი, გუსტავო ნუნეზი, ნატა წვერელი

10 ნოემბერი, ფესტივალის დახურვა, რუსთაველის თეატრი, 19 სთ.

მოცარტი

მონაწილეობენ: მორის ბურგი, მიშელ ლეტიეკი, გუსტავო ნუნეზი, თემო ბუხნიკაშვილი, პიერ ბაუზერი, სლობოდან ტრკულია

24 საათი

სამეფო უბნის თეატრში მოცარტის საღამო გაიმართება

გუშინ, სამეფო უბნის თეატრში მოცარტის საღამო გაიმართა. სამხატვრო აკადემიის კამერულმა ორკესტრმა, საზღვარგარეთ მოღვაწე ქართველ მუსიკოსებთან და მათ უცხოელ კოლეგებთან ერთად, მოცარტის ნაწარმოებები შეასრულა.

ორკესტრის პირველი კონცერტი გაიმართა 2008 წლის 13 ივლისს, თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის მცირე დარბაზში. პირველივე კონცერტის შემდეგ, ორკესტრით დაინტერესდა საქართველოს პირველი ლედი და "კლასიკური მუსიკის ხელშეწყობის საზოგადოება" მისი ხელმძღვანელობით, რომელმაც პატრონაჟის ქვეშ აიყვანა ორკესტრი. თუმცა სამხატვრო აკადემიის კამერული ორკესტრი საშემოდგომო საკონცერტო სეზონს ამით არ ასრულებს.

6 ნოემბერს 19 საათზე, სამეფო უბნის თეატრში კიდევ ერთხელ გაიმართება მოცარტის საღამო. სამხატვრო აკადემიის კამერული ორკესტრი ამჯერად საქართველოს სახალხო არტისტ მარინა იაშვილთან და თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის ასოცირებულ პროფესორთან ირაკლი ჯაფარიძესთან ერტად წარსდგება მსმენელის წინაშე.

კონცერტების ორგანიზატორები არიან თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემია და საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტრო. **24 საათი**

“სრული დეპოლიტიზაციის” ქიმერა

პირველი გვერდიდან

საერთოდ რა საჭიროა საზოგადოებრივი მაუწყებელი?

საზოგადოებრივი მაუწყებლის მთავარი თავისებურებაა ის, რომ ის არ არის კომერციული. ამ უკანასკნელს აფინანსებს რეკლამა, რაც თავის მხრივ მთლიანად დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენი ადამიანი უყურებს (უსმენს) მას. საზოგადოებრივ მაუწყებელს აფინანსებს ყველა მოქალაქე, ვინც გადასახადებს იხდის, მიუხედავად იმისა, საერთოდ რთავს თუ არა ტელევიზორს ან რადიოს (მას, როგორც წესი, კომერციული შემოსავლებიც აქვს, მაგრამ ეს მხოლოდ მცირე ნაწილია მისი ბიუჯეტისა).

როცა ამ რამდენიმე წლის წინ საქართველოში საზოგადოებრივი მაუწყებელი, როგორც ახალი ინსტიტუტი, იქმნებოდა, ძირითადი ოპოზიცია კომერციული მედიიდან მოდიოდა. არგუმენტი მარტივი იყო: საერთოდ რა საჭიროა საზოგადოებრივი მაუწყებლობა, როცა კომერციული არსებობს? რატომ უნდა ვახდევინოთ ხალხს დამატებით გადასახადები, ან სხვა მაუწყებლები რატომ უნდა დავაყენოთ არათანაბარ მდგომარეობაში?

ეს სერიოზული მოსაზრებაა და დასაბუთების ტვირთი მეორე მხარესაა. ძირითადი არგუმენტი ისაა, რომ საზოგადოებრივმა მაუწყებელმა უნდა გააკეთოს ის, რასაც კომერციული არ იზამს. პირველ რიგში იგულისხმება უმცირესობის ან ფინანსურად სუსტი ჯგუფების ინტერესები, ვისზე გათვლილი გადაცემები ჩვეულებრივ არ არის მომგებიანი. ამას ემატება შემეცნებითი გადაცემები, რომელთაც ასევე დაჯაბნის გასართობი შოუ. საზოგადოებრივი მაუწყებელი ჩვეულებრივ მხარს უჭერს “მაღალ”, მაგრამ ნაკლებ კომერციულ ხელოვნებას: გადაცემს ოპერას და ბალეტს, როცა სხვები მასობრივ კულტურას, “პაპსას” ანიჭებენ უპირატესობას.

ასეთი არგუმენტები რაღაც ზომით ელიტისტური და პატერნალისტურია: იგულისხმება, რომ საზოგადოებას ჭირდება, სამაუწყებლო სივრცეში გადიოდეს გადაცემები, რომელთაც გართობას და ინფორმაციას მოწყურებული მაყურებელი თავისით არ აირჩევს. ის, ვინც ამ მაუწყებლის პოლიტიკას განსაზღრავს, დანარჩენი საზოგადოების “ცნობიერების ამაღლებაზე”, მის განათლებაზე და გაკეთილშობილებაზე ზრუნავს.

არსებობს სხვა არგუმენტიც, რაც უფრო ტიპიურია ჩვენნაირი ქვეყნებისთვის: კომერციული მაუწყებლობა შეიძლება მიკერძოებული იყოს და არათანაბარ პირობებში აყენებდეს პოლიტიკურ მოთამაშეებს. ეს პრობლემა შეიძლება დაბრალდეს ბოროტ მთავრობას, ან სტრუქტურულ მიზეზებს, კერძოდ იმას, რომ კომერციული მედია არ არის საკმარისად კომერციული და ამის გამო ძნელია იყოს პოლიტიკურად დამოუკიდებელი. რაკი მედია არ არის სარფიანი ბიზნესი, მისი მფლობელების მოტივი იმდენად მოგება კი არ არის, რამდენადაც პოლიტიკური ბერკეტის ფლობა.

აქედან ჩნდება დამატებითი იმპერატივი საზოგადოებრივი მაუწყებლის მიმართ: მან კომერციული მედიის პოლიტიკური დაუბალანსებლობა ნაწილობრივ მაინც უნდა გამოასწოროს. დიდი დაკვირვება არ სჭირდება იმას, რომ ჩვენში ყველაზე აქტუალური ეს უკანასკნელი არგუმენტია.

ვინ ადგენს, რა სჭირდება საზოგადოებას?

მაუწყებლის ზოგადი ფილოსოფიის განსაზღვრაზე რთული და მტკივნეული კონკრეტული წესების და პროცედურების დადგენაა: ვინ და როგორ უნდა დაუდგინოს საზოგადოებას, როგორი მაუწყებლობა სჭირდება მას?

ერთი შეხედვით ეს ცხადია და ადვილია. ქვეყანაში არსებობს ერთი და მხოლოდ ერთი ორგანო, რომელსაც უფლება აქვს, მთელი საზოგადოების, ანუ გადასახადების გადამხდელთა ერთობლიობის სახელით ილაპარაკოს: ეს არის პარლამენტი. მან უნდა დაადგინოს, (1) საერთოდ საჭიროა თუ არა საზოგადოებრივი მაუწყებელი, (2) რა ტიპის პროგრამები უნდა ჰქონდეს მას და (3) როგორ უნდა ფინანსდებოდეს და იმართებოდეს იგი.

მაგრამ არა, არ არის ეს ცხადი და ადვილი. ჩვენში ყველაფერს ერთი საკითხი ფარავს: მაუწყებელი უნდა იყოს პოლიტიკურად მიუკერძოებელი. ამას მისი “დეპოლიტიზაცია” დაერქვა. მაგრამ პარლამენტი ვერ იქნება პოლიტიკურად მიუკერძოებელი: მასში გადაწყვეტილებებს იღებს უმრავლესობა, რომელიც ყოველთვის პოლიტიკურად მოტივირებულია. როგორ უნდა მიიღოს პარლამენტმა არაპოლიტიკური გადაწყვეტილება? ეს მრგვალი კვადრატია. ის ბარონ მიუნჰაუზენის სიტუაციაში აღმოჩნდება: საკუთარ თმას უნდა მოქაჩოს და ისე ამოძვრეს ორმოდან.

ესე იგი რა ვქნათ? ჟურნალისტებისა და არასამთავრობო აქტივისტთა ჯგუფმა “მედიაკლუბმა” გადაწყვიტა, ამოცანის გადაწყვეტა თავის ხელში აეღო. მათი აზრი ისაა, რომ რაკი მაუწყებელს “საზოგადოებრივი” ქვია, ხოლო ამოცანაა მისი “დეპოლიტიზაცია”, ესე იგი მისი ბედი “საზოგადოების წარმომადგენლებმა”, ანუ საზოგადოებრივმა ორგანიზაციებმა უნდა გადაწყვიტონ, და ეს საქმე რაღაცნაირად წაართვან პოლიტიკოსებს.

მაგრამ ეს ყველაფერი სიტყვებით (“საზოგადოებრივი”, “დეპოლიტიზაცია”) თამაშს უფრო გავს. რატომ უნდა ვიფიქროთ, რომ “საზოგადოების წარმომადგენელთა” რომელიმე ჯგუფი - მაგალითად, “მედიაკლუბი” - უფრო სწორ ინტერპრეტაციას მისცემს “საზოგადოების ინტერესს”, ვიდრე პარლამენტში არსებული (ან თუნდაც არასაპარლამენტო) პოლიტიკური პარტიები? დემოკრატიის თეორიის მიხედვით, სწორედ პარტიების ფუნქციაა საზოგადოებრივი ინტერესების აგრეგაცია და არტიკულაცია - ანუ შეკრება და გამოხატვა. პარტიები წარმოადგენენ თავის ამომრჩევლებს, ანუ საზოგადოების რაღაც ნაწილს, მათი ნდობის მანდატი აქვთ.

შეიძლება გვითხრან, რომ ჩვენი პარტიები ასეთები ვერ არიან, რომ სინამდვილეში ისინი საზოგადოებრივ ინტერესთა ვერც აგრეგაციას ახდენენ და ვერც არტიკულაციას. ამაზე კამათს არ დავიწყებ. მაგრამ იგივე შეიძლება ითქვას არასამთავრობო სექტორზე. არასამთავრობო აქტივისტები არავის წარმოადგენენ საკუთარი თავისა და - საუკეთესო შემთხვევაში - საკუთარი მაღალი იდეალების გარდა. სახელდობრ რომელ საზოგადოებრივ ჯგუფს აქვს მეტი უფლება განსაზღვროს, როგორი მაუწყებელი სჭირდება ჩვენს საზოგადოებას - მედიაკლუბს თუ მართლმადიდებელ მშობელთა კავშირს, თავისუფლების ინსტიტუტს თუ თანასწორობის ინსტიტუტს? პარტიების შემთხვევაში ლეგიტიმურობის ფორმალური საფუძველი მაინც გვაქვს - მათ უკან ამომრჩეველი დგას.

სხვა მექანიზმი, გარდა იმისა, რომ საზოგადოებრივი მაუწყებლის სამეურვეო საბჭო და მასთან დაკავშირებული სხვა საკითხები ხალხის არჩეულმა პოლიტიკოსებმა განსაზღვრონ, ძნელი მოსაფიქრებელია. სამოქალაქო ორგანიზაციებს შეუძლია კანდიდატების წარდგენა, მოსაზრებების გამოთქმა, მაგრამ საბოლოო გადაწყვეტილებას პოლიტიკოსები მიიღებენ, ამას ვერსად წაუვალთ. პროცესის “დეპოლიტიზაციაზე” შეიძლება მხოლოდ ფარდობითი და არა აბსოლუტური აზრით ვილაპარაკოთ .

როგორი ადამიანები უნდა იყვნენ საზოგადოებრივი მაუწყებლის სამეურვეო საბჭოში?

კანონი ადგენს მექანიზმებს, რითაც მიიღწევა მაუწყებლის შედარებითი დამოუკიდებლობა მიმდინარე პოლიტიკისგან. ამათგან ერთ-ერთი (მაგრამ არა ერთადერთი) არის ის, რომ სამეურვეო საბჭოში არ უნდა შედიოდნენ პოლიტიკური პარტიის წევრები. კანონმდებლის ჩანაფიქრი ნათელია: ესენი უნდა იყვნენ ადამიანები, ვისაც შეუძლია, თავიანთ გადაწყვეტილებებში პოლიტიკური ბრძოლის ამოცანებზე მაღლა დადგნენ, ანუ იყვნენ “ობიექტურები” და “მიუმხრობლები” (გარდა იმისა, რომ იყვნენ კომპეტენტურები, პრინციპულები და ა. შ.).

ახლა იწყება ყველაზე საინტერესო: ვინ ადგენს, რომ რომელიმე კონკრეტული პიროვნება პოლიტიკურად მიუმხრობელია? ხსენებულმა მედიაკლუბმა წარმოადგინა კანდიდატების სია და განაცხადა, რომ თუ მთელი საბჭო ასეთი ადამიანებით დაკომპლექტდება, “სრული დეპოლიტიზაციის” ამოცანაც შესრულდება. მათ ვინაობას ამ სტატიისთვის არავითარი მნიშვნელობა არა აქვს, მთავარია პრინციპული საკითხი: დანარჩენმა საქართველომ რის საფუძველზე უნდა დაიჯეროს, რომ ისინი მართლა აკმაყოფილებენ ამ დახასიათებას? მე ერთი და მხოლოდ ერთი პროცედურა მომდის თავში: ისინი ასეთებად უნდა აღიარონ პოლიტიკურმა მხარეებმა. ეს დაახლოებით გავს ნეიტრალიტეტს საერთაშორისო ურთიერთობაში: ნეიტრალიტეტის გამოცხადებას პრაქტიკული აზრი აქვს მაშინ, თუ მოწინააღმდეგე მხარეები აღიარებენ და პატივს სცემენ შენს ნეიტრალიტეტს, თორემ იძახე რამდენიც გინდა, ნეიტრალური ვარო. თუ ხელისუფლებაც და ოპოზიციაც შეთანხმდა, რომ მოცემული ადამიანები აკმაყოფილებენ “პოლიტიკური მიუმხრობლობის” მოთხოვნას, ისინი მართლა ასეთები ყოფილან. თუ არა, ესე იგი არ ყოფილან.

მე პირადად ვთვლი, რომ ეს არის საუკეთესო პროცედურა სამეურვეო საბჭოს წევრების (ისევე, როგორც ვთქვათ, ცენტრალური საარჩევნო კომისიის წევრების) შესარჩევად: ხელისუფლება და ოპოზიცია უნდა შეთანხმდეს ადამიანებზე, ვისაც ორივე ენდობა. ამ წესის ზოგადი ნიმუში ნაფიცი მსაჯულების შერჩევის პროცედურაა. ხელისუფლება რაღაც ეტაპზე გამოდიოდა ცესკოს შესაქმნელად ამ წესის გამოყენების ინიციატივით, მაგრამ როგორც ჩანს, ოპოზიციის თანხმობა ვერ მოიპოვა. ქვოტების სისტემა, რომელიც ცესკოს ან ბოლო ხანებში საზოგადოებრივი მაუწყებლის სამეურვეო საბჭოს ფორმირებისთვის გამოიყენება, გაცილებით უარესია.

ეს ცუდია, მაგრამ გასაგებია ჩვენი რეალობიდან გამომდინარე. ნებისმიერი პიროვნება, ვინც საჯაროდ რაიმე საკითხზე პოზიციას გამოხატავს, მყისვე “მხარედ” ხდება შერაცხული. კი არიან ადამიანები, ვინც თავს ნეიტრალურებს და მიუკერძოელებს უწოდებს, მაგრამ აბა ვინ უჯერებს? ამიტომ მივდივართ ქვოტების ერთობ მახინჯ სისტემამდე: ვიღაცა ხელისუფლებას მიაჩნია “ობიექტურად და მიუმხრობლად”, ვიღაცა - ოპოზიციას.

მაუწყებლის სამეურვეო საბჭოს შემთხვევაში უნდა გვყავდეს კიდევ “არასამთავრობო ორგანიზაციების” წარმომადგენელი, რომელსაც გადამწყვეტი ხმა ექნება. აი ეს კი ნამდვილად მისტიკური პერსონაჟია. სახელდობრ ვინ გადაწყვეტს მის ვინაობას? აი ეს არის საინტერესო.

მაგრამ თუ ქვოტები არ მოგვწონს (მე ძალიან არ მომწონს) და არც შეთანხმება არ შეგვიძლია, რა გვრჩება? ვიღაც ერთმა (არსებულმა საპარლამენტო უმრავლესობამ, წმიდა სინოდმა, მედიაკლუბმა, დიმიტრი გელოვანმა - გთხოვთ სია გააგრძელოთ) უნდა დაადგინოს: აი ეს ხალხია ნამდვილად ობიექტური და არაპოლიტიკური და მორჩეს ახლა ამაზე ლაპარაკი.

ორი მავნე იდეა

საზოგადოებრივი მაუწყებლის გარშემო დისკუსიებში კიდევ ორი, ჩემი აზრით, უკიდურესად მავნე იდეა ტრიალებს. ერთია ის, რომ სამეურვეო საბჭოს სერიოზულად უნდა გაეზარდოს უფლებამოსილება. მეორე, რომ ის ჟურნალისტებით და იურისტებით უნდა დაკომპლექტდეს.

რა არის სამეურვეო საბჭოს ფუნქცია? მან დამკვეთის - ანუ საზოგადოების - სახელით უნდა განსაზღვროს მაუწყებლის ზოგადი პოლიტიკა, მართვის პროცედურები და ბიუჯეტი და შეარჩიოს შესაფერისი კანდიდატურა ამ პოლიტიკის გასატარებლად, ანუ გენერალური დირექტორი. მაგრამ ის მონაწილეობას არ იღებს მიმდინარე მართვაში - ეს დირექტორის საქმეა. თუ დირექტორი თავის საქმეს კარგად ვერ ასრულებს, საბჭოს შეუძლია, მიუთითოს ამაზე, ან, თუ ძალიან უკმაყოფილოა, სამსახურიდან დაითხოვოს.

ესე იგი, საბჭოს წევრებს უნდა ჰქონდეთ უნარი, საზოგადოებრივი დაკვეთის კონკრეტული ინტერპრეტაცია მოახდინონ: რანაირი მაუწყებელი სჭირდება ამ წუთში ხალხს. ეს უნარი, პირვე ყოვლისა, გულისხმობს საღს აზრს, ადექვატურ წარმოდგენას სხვადასხვა პერსპექტივებსა და სოციალურ ჯგუფებზე. რა პროფესიულ ჯგუფებს უნდა წარმოადგენდნენ ისინი? ნებისმიერს, მაგრამ უკეთესია, შემადგენლობა ამ ნიშნით მრავალფეროვანი იყოს. მხოლოდ ჟურნალისტებით და იურისტებით საბჭოს დაკომპლექტება ხედვის დაუშვებელი დავიწროვებაა, ის პირდაპირ ეწინააღმდეგება საზოგადოებრივი მაუწყებლის ფილოსოფიას.

მეტიც, ჟურნალისტების მომეტებულად ჩართვა გაუზრდის საბჭოს ცდუნებას, ჩაერიოს მაუწყებლის სარედაქციო პოლიტიკაში. ეს წარმოშობს ინტერესთა კონფლიქტის სიტუაციებსაც, რადგან, როგორც ეს ნებისმიერ პროფესიულ ჯგუფშია, ჟურნალისტები ერთმანეთთან მეგობრობენ და მტრობენ და ბუნებრივად მოუნდებათ “თავისიანების” ლობირება ვიღაცის “ჩაძირვის” ხარჯზე.

მეორეს მხრივ, თუ საბჭოს წევრები პოლიტიკური ქვოტების პრინციპით შეირჩევა (რაც ამ ეტაპზე გარდუვალი ჩანს), მით უმეტეს სახიფათოა, საბჭოს უფლებამოსილება გაეზარდოს, რადგან სარედაქციო პოლიტიკაზე გავლენის მეტი ბერკეტი გაზრდის საზოგადოებრივი მაუწყებლის პოლიტიზაციის ხარისხს. გარდა ამისა, ეს არევ-დარევას შეიტანს მენეჯმენტის საკითხებში: დირექტორი ერთი უნდა იყოს.

მოკლედ, ბარონ მიუნჰაუზენის თმით გამოთრევა ჩვენი პოლიტიკური ჭაობიდან რთულია და სასწაულების იმედი ტყუილად გვაქვს. საზოგადოებრივი მაუწყებელი ივერიას ერთბაშად ვერ გააბრწყინებს. უნდა ვესწრაფოდეთ საუკეთესოს, რაც ამ სიტუაციაში შესაძლებელია, და სრულყოფილების ძიებაში უარესი არ გავაკეთოთ.

სპორტი

კოკაი დაწინაურდა, ტოჩინოშინი დაქვეითდა

კოკაი (მარჯვნივ) ბანძუკეში ოთხი საფეხურით დაწინაურდა

15 ნოემბერს სტარტს აიღებს 2009 წლის ბოლო სუპერტურნირი სუმოში. გუშინ კი სუმოს ფედერაციამ გამოაქვეყნა სეზონის ბოლოსწინა რეიტინგი - ბანძუკე, რომელშიც ლევან გორგაძე (ტოჩინოშინი) მერვე მაეგაშირას რანგში მოგვევლინა, ხოლო ვეტერანი ქართველი სუმოისტი ლევან ცაგურია (კოკაი) - მეათე მაეგაშირას ტიტულით.

სექტემბრის ბაშო ტოჩინოშინისთვის წარუმატებელი გამოდგა. ახალგაზრდა ქართველი სუმოისტი ბაშოზე პირველი მაეგაშირას რანგით ასპარეზობდა და ყველა უძლიერეს სუმოისტს დაუპირისპირდა. ტოჩინოშინმა განვლილი ბაშო ჩააგდო და პირველი მაეგაშირობიდან მერვემდე დაქვეითდა, რაც ბაშოს დასრულებისთანავე ცხადი გახდა. რაც შეეხება ლევან ცაგურიას, მან სექტემბრის ბაშო დადებითი ბალანსით დაასრულა და ოთხი საფეხურით წინ წაიწია. თუ სექტემბერში კოკაი მხოლოდ მეთოთხმეტე მაეგაშირა იყო, ახლა ქართველი მეათე მაეგაშირას რანგში იასპარეზებს, ხოლო თუ ნოემბრის ბაშოსაც დადებითი ბალანსით დაასრულებს, წლის ბოლოს გამოქვეყნებულ ბანძუკეში უფრო დაწინაურდება.

რაც შეეხება თანამედროვე სუმოს ლიდერებს, რეიტინგის პირველ ორ საფეხურზეა ორი მონღოლი ჩემპიონი: ასოშორიუ და ჰაკუჰო - ნოემბრის ბაშოს მთავარი ფავორიტები.

აღმოსავლეთი		**დასავლეთი**
ასოშორიუ	იოკოძუნა	ჰაკუჰო
კოტოშუ	ოძეკი	კოტომისუკი
ჰარუმაფუჯი	ოძეკი	კაიო
ჩიოტაიკაი	ოძეკი	-
ბარუტო	სეკივაკე	კაკურუ
კისენოსატო	კომოსუბი	გოეიდო
ტაკეკაზე	1 მაეგაშირა	ამინაშიკი
კოტოშოგიკუ	მე-2 მაეგაშირა	ტოკიტენუკი
ტოჩიოზანი	მე-3 მაეგაშირა	ბუშუიამა
ჰოკუტორიკი	მე-4 მაეგაშირა	ივაკიამა
ტოინოშიმა	მე-5 მაეგაშირა	კაკიზოე
ვაკანოსატო	მე-6 მაეგაშირა	კუკუტენო
ტამანოშიმა	მე-7 მაეგაშირა	ჰომაშო
არანი	**მე-8 მაეგაშირა**	**ტოჩინოშინი**
იოშიკაზე	მე-9 მაეგაშირა	მიაბიამა
ასასეკირუ	**მე-10 მაეგაშირა**	**კოკაი**
ტამავაში	მე-11 მაეგაშირა	ტაკამისაკირი
შოტონერო	მე-12 მაეგაშირა	ტოიჩიბიკი
ტოსაუტაკა	მე-13 მაეგაშირა	მოკონამი
კასუგაო	მე-14 მაეგაშირა	კიმურაიამა
იამამატოიამა	მე-15 მაეგაშირა	შიმიტორი
ტამასუკა	მე-16 მაეგაშირა	-

ბილეთი ნატურით

გიგა გურასაშვილი

საყვარელი გუნდის თამაშზე დასასწრებად რას გააკეთებდით? ასე, მაგალითად, ერთნი მზად არიან, სასურველი ბილეთისთვის საათობით, დღეებით იდგნენ რიგში. მეორენი მზად არიან, მატჩზე დასასწრებად დიდი ფული გაიღონ... ფილადელფიის ერთ-ერთი გარეუბნის 43 წლის მცხოვრები სიუზენ ფინკელშტეინი ბეისბოლის მსოფლიო სერიის (MLB) ბილეთისთვის მზად იყო ნატურით გადაეხადა. მანამდე კი, ბევრი იფიქრა თუ ცოტა, მიზნის მისაღწევად Craigslist-ის საიტზე გამოაქვეყნა განცხადება, რომელშიც, კანონის ფარგლებში, სრულად აღწერა საკუთარი თავი: "ფუმფულა, სასიამოვნო, მაღალი, ქერა... "ფილის" თაყვანისმცემელი. და იქვე მთავარზეც მიუთითა, რომ ძალიან სჭირდება ბეისბოლის ორი ბილეთი, რისი საფასურიც, მზადაა, სექსით გადაიხადოს. "შემოქმედებითი ნატურა ვარ. შესაძლოა, ერთმანეთს დავეხმაროთ კიდეც!"

როგორ გგონიათ, რა მოხდა? სიუზანის განცხადებას პოლიციის წარმომადგენელი გამოეხმაურა. სატელეფონო საუბრისას თავგადაკლულმა გულშემატკივარმა სამართალდამცავი ორგანოს წარმომადგენელს სექსით ნაირგვარი მომსახურება შესთავაზა. სატელეფონო საუბარს შედეგად ის მოჰყვა, რომ ფინკელშტეინი პროსტიტუციის ბრალდებით დააკავეს.

ამასობაში პლეი-ოფის ფინალურმა სერიამაც აიღო სტარტი. აიღო კი არა, გაგანია პლეი-ოფია გახურებული. შარშანდელი სეზონის ტრიუმფატორმა "ფილადელფია ფილისმა" ბეისბოლის ყველაზე ტიტულოვან კლუბს "ნიუ იორკ იანკს" ერთი მატჩი მოუგო, მეორეში კი დამარცხდა. ფილადელფიელებმა ვერც შინ ივარგეს. სამი საშინაო მატჩიდან მხოლოდ ერთის მოგება მოახერხეს. ასე რომ, ახლა იანკები სერიაში 3:2 დაწინაურდნენ. შეიძლება ითქვას, ნიუიორკელებმა უკვე გაინაღდეს ჩემპიონობა. მით უმეტეს ახლა, როდესაც შინ უწევთ ფილადელდფიელების მასპინძლობა.

იანკებმა ბოლოს ფინალში 2003 წელს ითამაშეს, უკანასკნელი გამარჯვება კი ცხრა წლის წინ იზეიმეს. არადა, ნიუიორკელებს ლიგაში ყველაზე მსხვილბიუჯეტიანი კლუბი ჰყავთ.

ამერიკელთათვის რომ ბეისბოლი წმიდათა წმიდა სპორტია, იმ რიტუალებიდანაც ჩანს, რომელიც თითოეულ თამაშს, მეტადრე კი პლეი-ოფებს უძღვის წინ. ახლაც ასე იყო. "ნიუ იორკ იანკის" სტადიონზე შეკრებილი ათიათასობით ბეისბოლის მოტრფიალე რეპერმა Jay-Z და ალიშა ქეისიმ შეახურეს. მერე კი, როდესაც თამაშის დრო დადგა, ტრადიციულად, საპატიო სტუმრებს უხმეს მოედანზე, მათ შორის, აშშ-ის პირველ ლედის მიშელ ობამას, ვიცე-პრეზიდენტის მეუღლეს ჯილ ბაიდენს, "ნიუ იორკ იანკის" ლეგენდასა და დიდების დარბაზის წევრს ფამერ იოგი ბერას. პირველი ბურთის მოწოდების პატივი ერაყის ომის ვეტერანს ტონი ოდიემოს ერგო.

მოსალოდნელი შედეგი

საქართველოს ხელბურთელთა ნაკრებმა "ჩელენჯ ტროფის" ჯგუფური ეტაპი მოიგო და ფინალში თამაშის უფლება მოიოპოვა. როგორც ყოველი ტურნირის შემდეგ, მოლდოვაში გამართული "ჩელენჯ ტროფის" შემდეგაც დაასახელეს საუკეთესო მოთამაშეები. ევროპის ხელბურთის ფედერაციამ (EHF) "ჩელენჯ ტროფის" 2009-2010 წლის გათამაშების ჯგუფური ეტაპის სიმბოლურ ნაკრებში ორი ქართველი დაასახელა. რატი მსხვილიძე კი დაცვითი ყაიდის საუკეთესო მოთამაშედ აღიარეს.

G1 ჯგუფის სიმბოლური ნაკრები ასე გამოიყურება.

მეკარე: ევგენი ანდრეევი (მოლდოვა)

მოედნის მოთამაშეები: სერგეი ლუკაშოვი (მოლდოვა), სერგო დათუკაშვილი (საქართველო), ოლეგ გიორგიევსკი (აზერბაიჯანი), არმან ისრაელიანი (სომხეთი), მაქსიმ ბუტენკო (მოლდოვა), რევაზ ჭანტურია (საქართველო).

საუკეთესო დამცველი: რატი მსხვილიძე (საქართველო).

ტურნირის საუკეთესო მოთამაშე: ალექსანდრ პერვანჩიუჩი (მოლდოვა).

ბომბარდირი: ალექსანდრ პერვანჩიუჩი (მოლდოვა, 31 გოლი).

სუპერლიგა 10 გუნდით დაიწყება

საქართველოს მე-9 ეროვნული ჩემპიონატი 7 ნოემბერს დაიწყება, მასში მონაწილეთა რაოდენობა კი გუშინ გაირკვა. ცნობილი გახდა 9 გუნდი, რომელიც მზად იყო სუპერლიგაში სათამაშოდ, "თბილავიამშენის" საკითხი კი სათუო გახლდათ.

როგორც გაირკვა, "ავიატორებმა" მიიღეს დაფინანსების გარანტია და კალათბურთის ფედერაციაშიც ყველაფერი გადაწყდა. მაშ ასე, 2009-10 წლების სეზონში სუპერლიგაში ითამაშებენ:

"ენერჯი-ინვესტი", "ავიამშენი", აგრარული უნივერსიტეტი (სსაუ), თსუ, "დინამო", შსს, "ბათუმი", "სოხუმი", სამედიცინო-აკადემია და "ჭიათურა".

აქედან სამი გუნდი დებიუტანტია: "ჭიათურას", "სოხუმს" და სამედიცინო-აკადემიას აქამდე არასდროს უთამაშიათ სუპერლიგაში. "აკადემია" 2002-03 წლების სეზონში უმაღლეს ლიგაში კი თამაშობდა, მაგრამ ახლა დამოუკიდებლად აღარ გამოდის და სამედიცინო უნივერსიტეტის გუნდს შეერწყა.

რაც შეეხება "სოხუმს", ის არ არის სამი წლის წინ დაშლილი სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის გუნდი (სსუ). მწვრთნელი ისევ ვაჟა კვარაცხელიაა, მაგრამ გუნდს ჰყავს სხვა დამფინანსებელი, რომელმაც ახალი კლუბი დააარსა და "სოხუმი" დაარქვა.

დანაშაული და სასჯელი

საქართველოს ეროვნული ჩემპიონატის მორიგ ტურში თბილისურ დერბის, რომელიც გორში გაიმართა, აყალმაყალის გარეშე არ ჩაუვლია. ცხადი იყო, რომ მინდორზე მომხდარი რამდენიმე ინციდენტის შემდეგ ვინმე აუცილებლად დაისჯებოდა.

საქართველოს პროფესიული ფეხბურთის ლიგის სადისციპლინო კომიტეტმა მომხდარი ინციდენტები განიხილა და შესაბამისი გადაწყვეტილებები გამოიტანა.

დადგინდა, რომ დინამოელები აკირემი და მათე ვაწაძე გაძევებას არ იმსახურებდნენ. მათი წითელი ბარათები ძალაში დარჩა, თუმცა, დისკვალიფიცირებულები, ორის ნაცვლად, ერთ მატჩს გამოტოვებენ.

თამაშის ბოლოს მომხდარი გუნდური შეხლა-შემოხლის გამო "დინამო" და "ვიტ ჯორჯია" 1000-1000 ლარით დაჯარიმდნენ, გუნდების მეორე მწვრთნელები, შესაბამისად, თამაზ სამხარაძე და ვლადიმერ გოჩაშვილი კი ურთიერთშელაპარაკების გამო 200-200 ლარს გაიღებენ.

კრუიფმა კატალონიის ნაკრები ჩაიბარა

მართალია, კატალონიის ნაკრები ოფიციალურ ტურნირებში მონაწილეობას ვერ იღებს, მაგრამ ესპანეთის ამ მხარეში საკუთარ ნაკრებს უდიდესი გულისყურით ეკიდებიან.

გუშინ ცნობილი გახდა, რომ კატალონიის ნაკრების მთავარ მწვრთნელად ლეგენდარული ჰოლანდიელი იოჰან კრუიფი დაინიშნა. ასე რომ, ყველა დროის საუკეთესო ჰოლანდიელი ფეხბურთელი სამწვრთნელო სამუშაოს დაუბრუნდა.

ღორის გრიპის საფრთხე

ჩემპიონთა ლიგის მორიგი ტურის მატჩში კიევის "დინამო" მილანის "ინტერს" უმასპინძლებს. ისიც ცნობილია, რომ უკრაინაში ღორის გრიპის ეპიდემია მძვინვარებს. ამ ვითარებაში ისიც კი არ იქნებოდა გასაკვირი, რომ მილანურ კლუბს კიევში თამაშზე უარი ეთქვა, თუმცა, "ინტერი" უკვე კიევშია და მომავალი მატჩისთვისაც ემზადება. შესაძლოა, ღორის გრიპი ამ თამაშში მაინც ჩაერიოს - ეპიდემიის კიდევ უფრო მეტად გავრცელების თავიდან ასაცილებლად "დინამო"-"ინტერის" მატჩზე სტადიონის ტრიბუნები შესაძლოა ცარიელი იყოს.

რუნი მამა გახდა

ინგლისის ნაკრებისა და "მანჩესტერ იუნაიტედის" 24 წლის თავდამსხმელის უეინ რუნის მეუღლემ კოლინმა ორშაბათს ლივერპულის ერთ-ერთ ჰოსპიტალში იმშობიარა. ქვეყანას მოევლინა კაი უეინ რუნი.

დედა და ახალშობილი ბიჭუნა თავს კარგად გრძნობენ. ბედნიერი მამა კი სამშაბათს ჩემპიონთა ლიგაში მოსკოვის "ცსკას" წინააღმდეგ "ოლდ ტრაფორდზე" ალბათ ვერ ითამაშებს.

სახელი კაი ინგლისში მზარდი პოპულარობით სარგებლობს და 2008 წელს სიხშირით 68-ე ადგილი დაუკავებია. მას ორივე სქესის ბავშვებს არქმევენ.

განელის დაბრუნება აპენინებზე

ერთ დროს განის ეროვნული ნაკრების ნახევარმცველი სტეფან აპია იტალიაში თამაშობდა და საკმაო წარმატებითაც. "უდინეზე", "იუვენტუსი", "პარმა", "ბრეშა" - აი, ის აპენინური კლუბები, რომლებშიც აპიას უთამაშია. იტალიური კარიერის შემდეგ აპია თურქულ "ფენერბახჩეში" გადავიდა, ახლა კი ისევ კალჩოს უბრუნდება და "ბოლონიაში" აპირებს კარიერის გაგრძელებას.

პრეზიდენტის ბოდიში

საფრანგეთის ჩემპიონატის მე-11 ტურის მატჩში "მონპელიეს" ფეხბურთელი ფაკუნდო კოსტა "ოსერის" ნახევარმცველ პედრეტისთან უხეშობის გამო გააძევეს. "მონპელიეს" პრეზიდენტი ლუი ნიკოლინი დარწმუნებული იყო, რომ პედრეტიმ მეტოქის პროვოცირება მოახდინა და საჯაროდ განაცხადა, რომ განმეორებით შეხვედრაში მისი ფეხბურთელები პედრეტიზე "იზრუნებდნენ". თუმცა, ეტყობა, ნიკოლინიმ მომენტის გამეორება რამდენჯერმე ნახა და აზრი შეიცვალა.

"მონპელიეს" პრეზიდენტმა პირადად დამირეკა და საკუთარი სიტყვებისთვის ბოდიში მომიხადა. ვფიქრობ, ამ ისტორიას წერტილი უნდა დავუსვათ", - განაცხადა პედრეტიმ.

სანიას "იუვენტუსში" იწვევენ

ლონდონის "არსენალის" მარჯვენა მცველის ბაკარი სანიას გადაბირება ტურინის "იუვენტუსს" სურს.

"ნაპოლისთან" მარცხმა ტურინელთა ხელმძღვანელები კიდევ ერთხელ დააფიქრა დაცვის მარჯვენა ფლანგის გაძლიერებაზე და "იუვეს" ბოსები ალესიო სეკო და ჟან კლოდ ბლანი ერთ-ერთ ვარიანტად ლონდონელი "მეთოფეების" ფრანგი მცველის ყიდვას განიხილავენ.

სანიას გარდა, ტურინელთა სავარაუდო შენაძენთა ჩამონათვალში კვლავ ფიგურირებენ - ხუან ცუნიგა და რაფინია. მათ გარდა, "იუვენტუსს" ამსტერდამის "აიაქსის" წევრი გრეგორი ვან დერ ვილიც აინტერესებს.

კვარეჟმას პორტუგალიაში სურს დაბრუნება

მილანის "ინტერის" პორტუგალიელი ნახევარმცველი რიკარდო კვარეჟმა ზამთრის სატრანსფერო პერიოდში კლუბის შეცვლას გეგმავს და იმედი აქვს, რომ სამშობლოში დაბრუნდება. მით უმეტეს, რომ მას ლისაბონის "სპორტინგში" იწვევენ. თუმცა ერთი რამ არის გასათვალისწინებელი: "სპორტინგში" კვარეჟმა ისეთ ხელფასს ვერ აიღებს, როგორსაც მას "ინტერში" უხდიან.

კლუბის გამოცვლის გადაწყვეტილება კვარეჟმას ერთადერთმა მიზეზმა მიაღებინა. ფეხბურთელს პორტუგალიის ნაკრებში სურს თამაში, "ინტერში" კი მას სათამაშო პრაქტიკა საერთოდ არა აქვს. ასეთ ვითარებაში ნაკრებში თამაშზე ფიქრიც კი ზედმეტია.

Audi "ბაიერნის" თანამფლობელი გახდა

"ბაიერნი" და "აუდი" დაძმობილდებიან

Bild-ის მიერ გავრცელებული ინფორმაციით, უკვე გადაწყვეტილია, რომ საფეხბურთო კლუბი "ბაიერნი" და ავტომობილების მწარმოებელი კომპანია Audi გააფორმებენ ხელშეკრულებას, რომლის საფუძველზე "რეკორდმაისტერის" ხაზინა 200 მილიონ ევროზე მეტით შეივსება. Audi "ბაიერნის" აქციების 9.5 პროცენტში 90 მილიონ ევროს გადაიხდის. რაც შეეხება თანხის დანარჩენ ნაწილს, ფორმდება სპონსორული ხელშეკრულება, რომელიც ათ წელიწადზეა გათვლილი.

Bild-ის მტკიცებით, "ბაიერნის" წარმომადგენლები ამ ინფორმაციას 27 ნოემბრამდე ოფიციალურად დაადასტურებენ. სწორედ ამ დღეს უნდა ჩატარდეს კლუბის აქციონერთა ღია კრება. გაზეთის მიერ გავრცელებულ ინფორმაციაში ისიც არის ნათქვამი, რომ Audi-სთან გაფორმებული ხელშეკრულებით მიღებულ თანხას კლუბი ახალი ფეხბურთელების შესაძენად ვერ გამოიყენებს. ეს ფული სტადიონის ინფრასტრუქტურის განვითარებას უნდა მოხმარდეს. Audi-სთან თანამშრომლობის დაწყებას არ უარყოფს არც "ბაიერნის" მენეჯერი ული ჰიონესი, რომელმაც სააგენტო "სკაი სპორტთან" საუბრისას განაცხადა, რომ ხელშეკრულების საფუძველზე "ბაიერნი" ას მილიონ ევროზე მეტს მიიღებს.

ასე რომ, თუ შეთანხმება მოხერხდა (საქმე სწორედ ამისკენ მიდის), "ბაიერნს" მესამე სოლიდური დამფინანსებელი გამოუჩნდება. ჯერ კიდევ 2001 წელს მიუნხენური კლუბის აქციათა 10 პროცენტი კომპანია adidas-მა შეიძინა. მაშინ ეს სიამოვნება 77 მილიონი ევრო დაჯდა. "ბაიერნს" ჰყავს მთავარი სპონსორი კომპანია telekom, რომელიც კლუბთან ურთიერთობის გაგრძელებას აპირებს. მთავარი სპონსორი მიუნხენურ გრანდს სეზონში 20 მილიონ ევროს უხდის.

გერმანული ფეხბურთის ისტორიაში ყველაზე ტიტულოვანი კლუბი მიუნხენის "ბაიერნი" ბუნდესლიგის გათამაშებაში მხოლოდ მეექვსე პოზიციას იკავებს. თუმცა ული ჰიონესი დარწმუნებულია, რომ შუა სეზონში "რეკორდმაისტერი" სატურნირო ცხრილის სათავეში მოექცევა.

"სკაი სპორტისთვის" მიცემულ ინტერვიუში ჰიონესი გუნდის სატრანსფერო გეგმებზეც საუბრობს. ის ამბობს, რომ "ბაიერნი" აუცილებლად შეიძენს "შალკეს" მეკარე მანუელ ნოიერს, ხოლო ამ უნიჭიერესი მეკარის გადასაბირებლად საჭირო თანხას სწორედ სპონსორები გაიღებენ.

რივალდო: "მესი თუ საუკეთესო არ გახდა, აბსურდი იქნება"

ბრაზილიის ნაკრებისა და "ბარსელონას" მაისურით რივალდოს არაერთი ლამაზი ეპიზოდი უჩუქებია გულშემატკივრისთვის

ახლა ის 37 წლისაა და ფეხბურთისთვის თავის დანებებაზე არც ფიქრობს. ათი წლის წინ კი მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელად დაასახელეს. ამ ფეხბურთელმა "ფრანს ფუტბოლის" გამოკითხვაც მოიგო და ფიფას ვერსიითაც საუკეთესო გახდა. მას დღემდე მიიჩნევენ "ბარსელონას" ისტორიაში ერთ-ერთ საუკეთესო მოთამაშედ. მოგებული აქვს ფაქტობრივად ყველაფერი, რისი მოგებაც კი ერთ ფეხბურთელს შეუძლია.

ახლა, უკვე ასაკში შესული, უზბეკურ "ბუდინკორში" თამაშობს და რამდენიმე დღის წინ ქვეყნის ჩემპიონიც გახდა. ალბათ ხვდებით: საუბარია რივალდოზე. მასთან ინტერვიუ ესპანურ გამოცემა "სპორტში" გამოქვეყნდა.

- ასაკი საერთოდ არ გეტყობათ. როგორც ჩანს, კარიერის დასრულებაზე არ ფიქრობთ....

- რატომ უნდა ვიფიქრო? კონტრაქტი კიდევ ორი წლით მაკავშირებს კლუბთან და ამ ვადის ამოწურვამდე აუცილებლად ვითამაშებ.

- როგორია ცხოვრება უზბეკეთში?

- მშვენიერი. ჩვენ აქ პატარა ბრაზილიური კოლონიაც გვაქვს. ადგილობრივები სტუმართმოყვარე და მეგობრული ხალხია. ასე რომ, არც მათთან მიჭირს ურთიერთობა. ზამთრის არდადეგების დროს 45 დღით ვისვენებთ და ამ დროს სამშობლოში ვატარებ.

- უზბეკეთის ჩემპიონობას გილოცავთ.

- გმადლობთ. აქაურ ჩემპიონატში მართლაც ყველაზე ძლიერები ვიყავით და ჩემპიონობა არ გაგვჭირვებია. მინდოდა, აზიის ჩემპიონთა ლიგაში უფრო შორს წავსულიყავით და ეს ტიტული მოგვეგო. ფანტასტიკური იქნებოდა, მსოფლიოს საკლუბო ჩემპიონატზე "ბარსელონას" წინააღმდეგ რომ გვეთამაშა.

- "ბარსელონაში" მიმდინარე მოვლენებს თუ ადევნებთ თვალყურს?

- რა თქმა უნდა. სიცოცხლის ბოლომდე "ბარსელონას" გულშემატკივარი დავრჩები. ამ კლუბის წარმატებამ უდიდესი სიხარული მომანიჭა.

- ისტორიული გამარჯვება იყო, არა?

- რა თქმა უნდა. გვარდიოლამ რაღაც უნიკალური გააკეთა. ამას რომ ვამბობ, მოგებულ ტიტულებს კი არა, გუნდის თამაშს ვგულისხმობ. უყურებ "ბარსელონას" თამაშს და უდიდეს სიამოვნებას იღებ. არა მგონია, მოიძებნოს ადამიანი, რომელსაც "ბარსას" თამაშის ხილვა არ სიამოვნებდეს. დღეს ეს გუნდი მსოფლიო ფეხბურთისთვის მაგალითია.

- არ ნანობთ, რომ ამ შემადგენლობასთან ერთად თამაშის საშუალება არ მოგეცათ?

- რატომ? საწუწუნო არაფერი მაქვს. ჩემს დროს "ბარსა" ბრწყინვალე ფეხბურთს აჩვენებდა და ჩემთან ერთად უდიდესი ფეხბურთელები თამაშობდნენ, თუნდაც პეპ გვარდიოლა.

- მესი არ იყო...

- მესი? მესი განუმეორებელია.

- ათი წლის წინ თითქმის ყველა ინდივიდუალური პრიზი მოიგეთ. ახლა მესის ჯერია?

- ამაში დარწმუნებული ვარ. თუ მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელად სხვას დაასახელებენ, აბსურდული ვითარება შეიქმნება. გასული სეზონის მიხედვით, მესი საუკეთესოა და მასთან ახლოსაც კი ვერავინ მივა.

- რა განსხვავებაა ათი წლის წინანდელ რივალდოსა და დღევანდელ მესის შორის?

- ასაკი. მე 27 წლის ვიყავი და კარიერის პიკზე ვიმყოფებოდი. მესი კი ჯერ 22 წლისაა და უკვე ამდენს მიაღწია. მას ყველაფერი აქვს იმისთვის, რომ ლეგენდა გახდეს.

- რა ნაკლი აქვს ლეო მესის?

- ხუმრობთ? რა ნაკლი? როგორც ფეხბურთელს, მას წუნს ვერ უპოვით. ერთადერთი, რაც მას აკლია, მსოფლიო ჩემპიონის ტიტულია, რათა სამუდამოდ დაიმკვიდროს ადგილი მსოფლიო ფეხბურთის ისტორიაში. თუმცა, არა. ვფიქრობ, მუნდიალის მოგება აუცილებელი არ არის. არც ალფრედო დი სტეფანო და იოჰან კრუიფი ყოფილან მსოფლიო ჩემპიონები.

- თქვენ კი ხართ...

- მსოფლიო ჩემპიონობის მოსაპოვებლად ერთი ,თუნდაც უნიკალური ფეხბურთელი, საკმარისი არ არის. საჭიროა გუნდში ერთად შეკრიბო ბრწყინვალე ფეხბურთელები. 2002 წელს ეს ბრაზილიის ნაკრებმა მოახერხა.

ოცნება არ კვდება

ბიგა გურასაშვილი

ცნობილმა ბრიტანელმა დამნაშავემ, 80 წლის რონი ბიგსმა, რომელმაც კაცობრიობის ისტორიას ერთ-ერთი უმსხვილესი ძარცვა შესძინა, სიკვდილის წინ თემიდას მსახურებს უკანასკნელ სურვილი გაანდო. ირკვევა, რომ ბიგს ლონდონში Emirates Stadium-ზე საყვარელი კლუბის "არსენალის" თამაშის ხილვა სდომებია. ამგვარი ოცნება კი დაახლოებით 40 წელიწადია ჰქონია.

რონი ბიგსი, რომელიც მატარებლის ძარცვისთვის 1963 წელს გაასამართლეს, იუსტიციის მინისტრის ჯეკ სტროუს გადაწყვეტილებით ავადმყოფობის გამო გაათავისუფლეს. ექიმებმა ცნობილ ყაჩაღს უკანასკნელი სტადიის პნევმონია დაუდგინეს და ისიც აღნიშნეს, რომ მატარებლის მძარცველს რამდენიმე კვირის სიცოცხლე დარჩაო.

"არსენალის" თამაშს 1960 წლის შემდეგ არ დავსწრებივარ. იქიდან მოყოლებული სწორედ ამაზე ვოცნებობდი. ვფიქრობ, სტადიონზე მისასვლელად და "მეთოფეების" თამაშის უკანასკნელად სანახავად მეყოფა ძალა", - საკუთარ ოცნებაზე საუბრობს ბიგსი და მის ასასრულებლად 29 ნოემბრის "არსენალი" - "ჩელსის" შეხვედრა შეუგულებია.

...1963 წლის 8 აგვისტოს გამთენიისას, 15-კაციანმა ჯგუფმა "გლაზგო-ლონდონის" ღამის საფოსტო მატარებელი 2,6 მილიონი ფუნტ სტერლინგისგან გაძარცვა. შთაბეჭდილების შესაქმნელად გეტყვით, რომ ნაალაფარის დღევანდელ ეკვივალენტი 40 მილიონს ფუნტს სტერლინგს, გნებავთ 67 მილიონ დოლარს შეადგენს. თავად ბიგსის წილი კი 147 ათასი ფუნტ სტერლინგი უნდა ყოფილიყო (დღევანდელი კურსით 1,6 მილიონი ფუნტი). როგორც არ უნდა იყოს, რონი ბიგსის კვალს მალევე მიაგნეს და 30-წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯეს. ეგაა, 1965 წლის 7 ივლისს ბიგსი ციხიდან გაიპარა და თავისუფლების საძიებლად პარიზში გაფრინდა, სადაც პლასტიკური ოპერაციით იერ-სახე შეიცვალა, ისევე როგორც სახელი და გვარი და ახალ ცხოვრებას შეუდგა. 1965 წლის მიწურულს ბრიტანელი მძარცველი ავსტრალიაში გაემგზავრა, სადაც მალევე ოჯახმა - მეუღლე და ორმა შვილმა ჩააკითხა. 1967 წელს მესამე შვილიც შეეძინათ.

60-იანი წლების ბოლოს, როდესაც პოლიციამ მისი ადგილსამყოფელი შეიტყო, რონი ბიგსი იძლებული გახდა დაეტოვებინა ავსტრალია - ოჯახი მელბურნში დატოვა და თავად პანამაში გაემგზავრა გემით, იქიდან კი ორ კვირაში რიო დე ჟანეიროში გადაფრინდა.

ბრაზილიაში ფირალად მყოფმა ღამის კლუბის მოცეკვავე რაიმუნდა დე კასტროზე იქორწინა, რამაც ბრაზილიისვე კანონმდებლობით ხელშეუხებლის სტატუსი მიანიჭა. საქმე ისაა, რომ ადამიანს, ვისაც შვილები ბრაზილიაში შეეძინება მისი სხვა ქვეყანაში ექსტრადირება იკრძალება. მაგრამ მოხდა ისე, რომ 1981 წელს ბრიტანელი თავად გახდა ყაჩაღების მსხვერპლი, რომლებმაც რონი ბიგსი ბარბადოსში გაიტაცეს იმ იმედით, რომ ბრიტანეთის ხელისუფლებისგან მძარცველის შეპყრობის სანაცვლოდ ჯილდოს მიიღებდნენ. ეგაა, მოგვიანებით გაირკვა, რომ ბარბადოსსა და დიდ ბრიტანეთს შორის დამნაშავეთა ექსტრადირება კანონით არ იყო გამტკიცებული. ანუ მხარეებს შორის ამგვარი შეთანხმება არ არსებოდა. ერთი სიტყვით, ბიგსი ბრაზილიაში დააბრუნეს.

ამბობენ, რონი ბიგსი ისტორიულ სამშობლოს რამდენიმეჯერ სტუმრობდა, მაგრამ სქოთლანდ იარდისთვის მაინც ხელშეუხებელი რჩებოდაო. მეტიც 1963 წლის ძარცვის ამსახველ დოკემენტურ ფილმზე მუშაობაში გადამღებ ჯგუფს საკუთარი რჩევებით ეხმარებოდა. რონი ბიგსის სახელი იმდენად პოპულარული გახდა, რომ სარეკლამო კლიპშიც გადაიღეს. ესეც რომ არა სხვადასხვა მუსიკოსებთან ერთობლივად ჩაწერა სიმღერები, მათ შორის პანკ-როკ ჯგუფ "სექს პისტოლთან".

მაგრამ ყველაფერს აქვს დასასრული, ისევე როგორც ბიგსის ისტორიას. 2001 წლის 7 მაისს რონი ბიგსი საკუთარი ნებით დაბრუნდა სამშობლოში, სადაც რა საკვირველია, დაკავეს. რამდენიმე წლის განმავლობაში, რომელიც ბიგსმა ციხეში გაატარა, ჯანმრთელობის მდგომარეობა მკვეთრად გაუუარესდა. წლეულს, 6 აგვისტოს კი დიდი ბრიტანეთის იუსტიციის მინისტრმა ჯეკ სტრომ საქვეყნოდ განაცხადა, "ჰუმანური მოსაზრებების" გამო ბიგსს ვათავისუფლებთო.

ბებრების ცირკი

ზურაბ თალაკვაძე



ბიორნ ბორგი ჯონ მაკინროის შეხვდება.

მაგარი სანახავები იქნებიან ჩოგნით ხელში ეს ჭაღარა ვარსკვლავები, როდესაც 1-6 დეკემბერს ჩინურ ჩენჯუში ვეტერანთა ტურის მორიგ შეჯიბრში ჩაერთვებიან. შემადგენლობა კი მართლა სოლიდური იქნება.

რამდენიმე ათეული წლის წინ დაწყებულ ურთიერთჯახს განაახლებენ ჯონ მაკინროი და ბიორნ ბორგი. შვედმა ტურნირისთვის 6 კილოგრამი დაიკლო და მისივე თქმით, არაჩვეულებრივ კონდიციებში იმყოფება.

"ჯონთან ნებისმიერი მატჩი განსაკუთრებულია. მაკინროის ყველა შეხვედრაში შოუს დადგმა შეუძლია და ალბათ, ამჯერადაც ასე იქნება", - მიაჩნია შვედს.

ამ ორი ბუმბერაზის გარდა, ჩინურ ჰარდზე გავლენ უიმბლდონის ჩემპიონი, ხორვატი გორან ივანიშევიჩი, საფრანგეთის ღია პირველობის 1989 წლის ტრიუმფატორი, ამერიკელი მაიკლ ჩანგი, მსოფლიოს ყოფილი პირველი ჩოგანი, რუსი ევგენი კაფელნიკოვი, "როლან გაროსის" ტრიუმფატორი, ესპანელი სერხი ბრუგერა, ამერიკის ღია პირველობის ორგზის საუკეთესო, ავსტრალიელი პეტ რაფტერი, შვედი ტომას ენკვისტი და უიმბლდონის 1987 წლის გამარჯვებული, ოზი პეტ კეში. აღსანიშნავია ისიც, რომ ჩინეთი პირველად უმასპინძლებს ვეტერან ჩოგბურთელთა ტურის ასეთი გაქანების ტურნირს.

ტურნირის დირექტორის, ნიკ ფრაიერის თქმით, ამდენი ვარსკვლავის ერთ ტურნირზე მოწვევა საკმაოდ შრომატევადი და ძვირი სიამოვნებაა, მაგრამ ჩინეთში სპორტის ამ სახეობის განვითარებას ხელს შეუწყობს და ორგანიზატორებიც წაგებაში ნაღდად არ დარჩებიან.

"ჯონის და ბიორნის ერთ ტურნირზე ხილვა ბევრისთვის მანამდე აუხდენელი ოცნება იყო. ასევე სასიამოვნოა, რომ რაფტერმა და ივანიშევიჩმა თანხმობა განაცხადეს. მათ შეუძლიათ 2001 წლის უიმბლდონის ფინალის რიმეიქი დადგან. ვეცდებით, ყველაფერი უმაღლეს დონეზე იყოს", - ამბობს ფრაიერი.

სადღეისოდ ვეტერანთა ტურის რეიტინგის სათავეში იმყოფება ენკვისტი (800 ქულა), მომდევნო ადგილებზე კი არიან: ფერნანდო მელიგენი (450), სტეფან ედბერგი (450), ფელიქს მანტია (400), გრეგ რუზეცკი (400), ანრი ლეკონტი (280), ალბერტ კოსტა (250), მაიკლ ჩანგი (250), სედრიკ პიოლინი (205) და მაგნუს გუსტაფსონი (200).

"ვერდერი" ფრინგსის გარეშე დარჩა

გერმანიის ნაკრებისა და ბრემენის "ვერდერის" ნახევარმცველმა ტორსტენ ფრინგსმა სერიოზული ტრავმა მიიღო.

"ფრინგსს მნიშვნელოვანი პერიოდი გაუცდება, მაგრამ ყველაფერს გავაკეთებთ, რომ, რაც შეიძლება, მალე დავაბრუნოთ მწყობრში. მან სეზონი კარგად დაიწყო და რასაც მივაღწიეთ, მისი დიდი დამსახურებაა," - აცხადებს "ვერდერის" მთავარი მწვრთნელი ტომას შაფი.

"ბაიერნი" კროსს არ გაყიდის

19 წლის გერმანელი ფორვარდი ტონი კროსი ლევერკუზენის "ბაიერში" თამაშობს, თუმცა, ნიჭიერი მეგოლე მიუნხენის "ბაიერნის" კუთვნილებაა და "რეკორდმაისტერი" მის დათმობას არ აპირებს.

"მე მზად ვარ, ფიოლერს ყველაფერზე ველაპარაკო, ტონი კროსის ტრანსფერის გარდა, - აღნიშნა ული ჰიონესმა, - ჩვენ მასთან კონტრაქტი 2012 წლამდე გვაქვს და გვინდა, რომ შეთანხმება ორივე მხარემ ბოლომდე შეასრულოს."

ებუეს პარიზელობა მოუნდა

ლონდონის "არსენალის" კოტდივუარელი მცველი ემანუელ ებუე აცხადებს, რომ კარიერის გაგრძელება ფრანგულ პსჟ-ში სურს. ამის თაობაზე ებუემ "სკაი სპორტის" ჟურნალისტს განუცხადა.

"არ ვამბობ, რომ "არსენალთან" კონტრაქტს გავწყვეტ, მაგრამ რაღაც ახლის გამოცდა მინდა. მხიბლავს საფრანგეთის ჩემპიონატი, რომელიც სწრაფი ტემპით ვითარდება. ფრანგულ კლუბთაგან კი ბავშვობიდან ვქომაგობ პსჟ-ს. თუ პარიზული კლუბის ხელმძღვანელობა კონტრაქტის გაფორმებას შემომთავაზებს, ჩემი პასუხი დადებითი იქნება. ვნახოთ, რა მოხდება. ჯერჯერობით "არსენალის" მოთამაშე ვარ და მთელი სეზონი მხოლოდ მის წარმატებაზე ვიფიქრებ. მომავალ ზაფხულს კი აუცილებლად რაღაც შეიცვლება," - თქვა 26 წლის კოტდივუარელმა.

უარი ნაკრებს

ფაბიო კაპელოს ინგლისის ნაკრებში "ვერდერის" 23 წლის ნახევარმცველის აარონ ჰუნტის მიწვევა სურდა, მაგრამ გერმანული მედია ამტკიცებს, რომ თავად ჰუნტს ინგლისის ნაკრებში თამაში არ სურს.

საქმე ის გახლავთ, რომ ჰუნტს დედა ინგლისელი ჰყავს და კაპელოსაც მისი გადაბირების იდეა სწორედ ამის გამო დაებადა. როგორც "ბილდი" იტყობინება, იტალიელ მოძღვარს ინგლისის 21 წლამდელთა მწვრთნელ სტიუარტ პირსისთვის მის შესახებ გამოწვლილვითი ინფორმაციის შეგროვება უთხოვია.

ჰუნტს გერმანიის ყველა ასაკობრივ ნაკრებში უთამაშია და ახლა სწორედ ბუნდესნაკრებში თამაზე ოცნებობს.

"16-17 წლისა ამაზე შეიძლება ვფიქრობდი კიდეც, მაგრამ შემდეგ გადავწყვიტე, რომ გერმანიის ღირსება უნდა დამეცვა," - ამბობს ჰუნტი.

პუიოლი თამაშის დასრულებას არ ჩქარობს

კატალონიური "ბარსელონას" კაპიტანი კარლეს პუიოლი, რომელმაც საკუთარ კლუბთან კონტრაქტი ახლახან 2013 წლამდე გაახანგრძლივა, აცხადებს, რომ კიდევ უფრო მეტი ხნით სურს ესპანური გრანდის ღირსების დაცვა.

"ბარსელონასთან" ახალი კონტრაქტი 2013 წლის ივნისამდე გავაფორმე, მაგრამ ჩემი მიზანია, ამ კლუბის ღირსება ნახსენებ ვადაზე მეტხანს დავიცვა. ახალი ხელშეკრულების გაფორმებით ბედნიერი ვარ, რადგან ჩემთვის მნიშვნელოვანია, საფეხბურთო კარიერა იქ დავასრულო, სადაც დავიწყე. რაც შეეხება მიმდინარე სეზონს, ჩემპიონობისთვის მთავარი ბრძოლა "რეალთან" გვექნება. ძლიერი კონკურენტი გვყავს. ვფიქრობ, ის მუდამ ლიდერთა შორის იქნება. უახლოესი მიზანი ჩემპიონთა ლიგაში რუსეთში "რუბინის" დამარცხებაა. ამ გუნდთან ბარსელონაში განცდილი მარცხი სრული მოულოდნელობა იყო და ყველას უნდა დავუმტკიცოთ, რომ მეტოქეზე ძლიერები ვართ" - განაცხადა პუიოლმა.

ბექსი "მილანში" დაბრუნდება

"მილანის" ხელმძღვანელობამ დაადასტურა გავრცელებული ინფორმაცია იმის თაობაზე, რომ ზამთრის სატრანსფერო პერიოდში გუნდი 34 წლის ინგლისელ ნახევარმცველ დევიდ ბექჰემს დაიმატებს. იტალიური მედიის ინფორმაციით, ყველა ფორმალობა უკვე მოგვარებულია და ინგლისელის ტრანსფერს წინ ვეღარაფერი დაუდგება.

ოლიმპიადაზე მეოცნებე ტიაგო სპლიტერი

ზურაბ თალაკვაძე

ტიაგო სპლიტერი (მარჯვნივ) ბრაზილიის ნაკრების იმედია.

რამდენიმე დღის წინ "კახა ლაბორალის" ბრაზილიელი ფორვარდ-ცენტრი ტიაგო სპლიტერი ევროლიგის მეორე ტურის საუკეთესოდ დაასახელეს. სპლიტერმა მართლაც მშვენივრად დაიწყო სეზონი, რომლის დროსაც მასზე ძალიან ბევრი რამ იქნება დამოკიდებული. აღნიშნული ინტერვიუ ევროლიგის ოფიციალურ ვებ-გვერდზე გამოქვეყნდა და კალათბურთის, კერძოდ კი ამ შესანიშნავი მოთამაშის ფანებისთვის საინტერესო უნდა იყოს.

- ტიაგო, ბრაზილიის ნაკრების ერთ-ერთი ლიდერი ხართ. რამდენად მნიშვნელოვანია თქენთვის ის, რომ 2016 წლის ოლიმპიური თამაშები რიოში გაიმართება?

- იმ მომენტში კანარის კუნძულებზე, "კახა ლაბორალის" შემადგენლობაში ესპანეთის სუპერთასისთვის ვიბრძოდი. როგორც კი გავიგე, რომ რიომ გაიმარჯვა, მაგრად გამიხარდა. ჩვენი ქვეყნისთვის ეს ყველა ასპექტში წინ გადადგმული, საკმაოდ მნიშვნელოვანი ნაბიჯია. ოლიმპიადამდე ქალაქში ძალიან ბევრი რამ იქნება შესაცვლელი და მჯერა, რომ ქვეყანა ამ უმნიშვნელოვანესი შეჯიბრისთვის სრულ მზადყოფნაში იქნება. არ ვიცი, რამდენად რეალურია ტურნირზე ჩემი გამოსვლა, რადგან იმ დროისთვის უკვე 31 წლის ვიქნები და ნაკრებში იქნებ საერთოდ არ ამიყვანონ. თუმცა, ყველანაირად ვეცდები, რომ საუკეთესო კონდიციები შევინარჩუნო და ნაკრების შემადგენლობაში მოვხვდე. ყოველთვის დიდი სიამოვნებით ჩავდივარ სანაკრებო შეკრებაზე და ახალს არაფერს ვიტყვი იმით, რომ ნაკრებში თამაში ნებისმიერი სპორტსმენისთვის უდიდესი პატივია.

- თქვენი არაჩვეულებრივი თამაში ამერიკის ჩემპიონატზე გახდა ბრაზილიის ნაკრების ჩემპიონობის მთავარი მიზეზი. ბოლო ოთხი წლის განმავლობაში მეორედ გახვედით პირველ ადგილზე.

- ბრაზილიაში კალათბურთის პოპულარობა დღითიდღე მატულობს. გულშემატკივრები იმედგაცრუებულნი იყვნენ იმით, რომ ნაკრები 2008 წლის ოლიმპიადაზე ვერ მოხვდა და ვალდებულნი ვიყავით, ამერიკის უკანასკნელ ჩემპიონატზე მაქსიმუმი გვეჩვენებინა. ბედნიერი ვარ, რომ ნაკრების ყველა წევრის თავდადებული თამაში ჩემპიონობაში აისახა. არადა, საკმაოდ სერიოზული ოპონენტები გვყავდა. აღნიშნული ტურნირით ბრაზილიამ გადადგა პირველი ნაბიჯი ლონდონის ოლიმპიადამდე საუკეთესოდ მომზადებისთვის. ძალიან გვინდოდა ოქროს მედლების მოგება და თურქეთში გასამართ მსოფლიო ჩემპიონატზე ბედის ცდა. იმაში ვერ დაგეთანხმებით, რომ ჩვენი წარმატება მარტო სპლიტერმა, ან რომელიმე სხვა მოთამაშემ განაპირობა. ეს იყო გუნდური ტრიუმფი და ჩემპიონობა აბსოლუტურად ყველას დამსახურებაა.

- თქვენი წარმატება ალბათ იმანაც განაპირობა, რომ არგენტინა ტურნირზე შესუსტებული შემადგენლობით გამოდიოდა.

- არგენტინას არ ჰყავდა რამდენიმე ვარსკვლავი, მაგრამ მაინც საკმაოდ ძლიერი გუნდი ათამაშა. ასე რომ, ამ ფაქტისთვის ყურადღება არ მიმიქცევიოა. უბრალოდ, გავდიოდი მოედანზე და ჩემს საქმეს ვაკეთებდი. სხვისი დანაკარგი ან მონაპოვარი ჩემი საქმე არ არის.

- ოქროს მედალი თქვენი გარდაცვლილი დის, მიშელის ხსოვნას მიუძღვენით.

- მიშელი ლეიკემიისგან გარდაიცვალა. მასვე მივუძღვენი შარშან, ესპანეთის თასიც. რასაც ვიგებ, ყველაფერი მიშელისაა. ძალიან დამაკლდა. ყოველთვის ვფიქრობ, თუ რამდენი იბრძოლა სიცოცხლისთვის და რამდენის გადატანა მოუხდა. ეს დამატებით მოტივაციას მძენს. მიშელი ჩემს გულში სამუდამოდ დარჩება. არავის ვუსურვებ ასეთ ტრაგედიას. ცხოვრება ხანმოკლეა და უნდა დავაფასოთ ყველაფერი, რაც გვაქვს. ყოველთვის მისაღებზე მეტი უნდა გავცეთ.

- ბრაზილია საზოგადოებისთვის ყოველთვის საფეხბურთო ქვეყანად დარჩება. თქვენს საკალათბურთო ტრადიციებზე რას გვეტყვით?

- ფეხბურთი ჩვენი მოსახლეობისთვის მართლაც განსაკუთრებულია, თუმცა კალათბურთშიც დიდი ტრადიციები გვაქვს. უბრალოდ, ბოლო 20 წლის განმავლობაში სერიოზული წარმატება არ გვქონია. ჩვენმა მოთამაშეებმა ევროპაში უნდა სცადონ ძალები და ამის მერე ყველაფერი მაგრად გაუიოლდებათ. თავისთავად, ამერიკის ჩემპიონატის მოგებაც სპორტის ამ სახეობის პოპულარიზაციას ხელს შეუწყობს. ჩემს ქვეყანაში კალათბურთს დიდი მომავალი აქვს. რამდენიმე ბრაზილიელი წარმატებით თამაშობს ამერიკაში, ევროპაშიც გვყავს ძლიერი ხალხი. ის, რომ ოსკარ შმიტის დეკადის მერე ბევრი არაფერი გაგვიკეთებია, ცუდია, მაგრამ - გამოსწორებადი. ასე რომ, მომავალს ოპტიმისტურად ვუყურებ.

- რა იქნება ბრაზილიის ნაკრების მიზანი თურქეთში გასამართ მსოფლიო ჩემპიონატზე?

- იაპონიაში ჩატარებული მსოფლიო ჩემპიონატის ჩაგდების მერე ბევრი კრიტიკა მივიღეთ, რაც ნამდვილად დავიმსახურეთ. პირველ ექვსეულში მოხვედრა კარგი იქნება, თუმცა ამ შემადგენლობით მეტის გაკეთებაც შეგვიძლია. გააჩნია, ვისთან მოვხვდებით ჯგუფურ ეტაპზე და საერთოდ, როგორ ფორმაში შევხვდებით მსოფლიო ჩემპიონატს. ტურნირზე ჩვენზე კარგად დაბალანსებული ნაკრებები იქნებიან და იოლი არავისთან თამაში არ იქნება. რა თქმა უნდა, უმთავრესი ფავორიტი ამერიკაა, მერე კი ესპანეთს ეყოლება საუკეთესო გუნდი. ასე რომ, საკმაოდ საინტერესო ტურნირი გველის და ვნახოთ, მოვლენები როგორ განვითარდება.

- საკლუბო ამბებზე გადავიდეთ. ტაუს ახალი სპონსორი ჰყავს, შეიცვალა გუნდის სახელწოდებაც. რას მოუტანს ფანებს "კახა ლაბორალი"?

- ცვლილება არა მარტო სპონსორს, გუნდის სახელწოდებას, არამედ მთლიანად შემადგენლობასაც შეეხო. "რეალში" გადავიდა ჩვენი ერთ-ერთი პაბლო პრიჯიონი, დაგვტოვა კიდევ რამდენიმე ძლიერმა მოთამაშემ. მიუხედავად ამისა, "კახა ლაბორალის" მთავარი მწვრთნელი დუშკო ივანოვიჩი საოცარი მოტივატორია. ვიბრძოლებთ "ოთხთა ფინალში" გასასვლელად და იქნებ, ჩემპიონობაც მოვახერხოთ. ყველაფერი ეს რთული, მაგრამ შესრულებადია. დაგვემატა ჩემი თანამემამულე მარსელინიო უერტასი, რომელსაც ესპანეთის ჩემპიონატში მანამდე რამდენიმე სეზონი ჰქონდა გატარებული და იცნობს აქაურ გარემოს. პრიჯიონი საკმაოდ ძლიერმა ფლეიმეიქერმა შეცვალა. ასევე სოლიდური დანამატი მივიღეთ ბრედ ოლესონისა და კარლ ინგლიშის სახით. პლუს, გამოცდილი არგენტინელი ვალტერ ერმანი, რომელსაც არაჩვეულებრივი საკალათბურთო ინტელექტი აქვს. აღარაფერს ვამბობ მირზა ტელეტოვიჩზე. ამ მოთამაშეს უდიდესი პოტენციალი გააჩნია. როგორც კი "კახა ლაბორალს" ყველა მოთამაშე გამოუჯანმრთელდება, მაშინ ჩვენი გუნდის ნამდვილ ძალას იხილავთ.

- შარშან თქვენმა გუნდმა დაარღვია სასიამოვნო ტრადიცია და ზედიზედ მეხუთედ ვერ მოხვდა "ოთხთა ფინალში".

- "ბარსელონასთან" სერიაში წინ გავედით, ყველაფერი ჩვენს ხელთ იყო, მაგრამ მოვდუნდით, მეტოქემ კი ეს არ გვაპატია და სერიაც მის სასარგებლოდ დასრულდა. ვეცდებით, შარშან დაშვებული შეცდომები აღარ გავიმეოროთ.

ვის იცავს არტესტი?

ზურაბ თალაკვაძე

რონ არტესტმა (მარჯვნივ) ჯო ჯონსონს ხელი არ გაანძრევინა.

"ლეიკერსმა" სეზონის დაწყებამდე არ გაუხანგრძლივა ხელშეკრულება ძალიან მაგარ დამცველს, პროგრესირებად ტრევორ არიზას და "ჰიუსტონში" გაუშვა. ფილ ჯექსონმა მაშინვე როქი ჩაატარა და ტრევორის ადგილზე სასტარტო ხუთეულში სკანდალისტი, უნივერსალი და სარისკო ფიგურა - რონ არტესტი დააყენა.

კარიერით, გამოცდილებით, სხვადასხვა შტატის პოლიციის დეპარტამენტში გატარებული დროით რონი არიზას დიდ ფორას მისცემს. ალბათ იგივეს თქმა შეიძლება ამ სეზონის პერსპექტივაზეც. ბოლოს და ბოლოს, არტესტი უკვე ვარსკვლავია, ტრევორს კი ამ დონემდე ბევრი უკლია.

და მაინც, მაშინ, როდესაც არიზა 30 და მეტ ქულას აგროვებს, არტესტი ამ ეტაპზე საკუთარ აჩრდილს ჰგავს, რომელიც დროდადრო იომებს, ხანდახან ჩასაგდებს ჩააგდებს, მაგრამ, პირველი სამი თამაშიდან გამომდინარე, უფრო ლოგიკური იქნება ასეთი დასკვნა: რონი "ანგელოზების ქალაქში" ჯერ უფრო ერთობა, ვიდრე პროფესიულად ასრულებს თავის მოვალეობას.

"ჯერ მხოლოდ სამი თამაში ჩავატარე ახალ გუნდში და არა მგონია, სწორი იყოს დასკვნის გაკეთება ჩემი კონდიციების ან თუნდაც ახალ გუნდში ბოლომდე დახარჯვის სურვილის შესახებ. რონ არტესტი დიდ მატჩებში თამაშობს ისე, როგორც სხვა ვერავინ, ხოლო ხანდახან საკუთარ თავს დასვენების უფლება რომ მივცე, ამაში კრიმინალურს ვერაფერს ვხედავ", - მიაჩნია არტესტს.

რონს ლიგის მოქმედ ჩემპიონთან ხუთწლიანი კონტრაქტი აკავშირებს. პირველ ორ მატჩში კი არტესტზე მეტი სარგებელი გუნდს მცირედროიანმა სათადარიგოებმა მოუტანეს. რონმა მოედანზე გატარებულ 64 წუთში თამაშიდან 16-ში მხოლოდ ოთხი სროლა გამოიყენა და 13 ქულას მოუყარა თავი.

"დალასთან" სამარცხვინოდ წაგებულ (80:94) საშინაო მატჩში "სტეიპლს სენტრის" აუდიტორიამ არტესტის სულელური ფოლები და რვიდან ხუთი აცილებული საჯარიმო ტყორცნა ნახა. არტესტს საჯარიმოებზე ჯერ კიდევ საგამოფენო მატჩებისას უნდა ემუშავა (მაშინ მან თავისუფალი სროლების სულ რაღაც 58 პროცენტი გამოიყენა), მაგრამ ზელიგაში 11-წლიანი გამოცდილების მქონე რონი გამოცდილებას ენდო და "ლეიკერსს", მშველელის ნაცვლად, ანტიგმირად მოევლინა.

სულ სხვა, მოტივირებული, "ძველი" არტესტი ნახეს ფანებმა ზაზა ფაჩულიას "ჰოქსთან" ჯახში. მაშინ, როდესაც ჯო ჯონსონმა შეხვედრა პირველი რვა სროლიდან შვიდის გამოყენებით დაიწყო, ფილ ჯექსონმა, კობი ბრაიანტის ნაცვლად, ჯორჯიელების ვარსკვლავი რონს გადააბარა.

და როგორ დაასრულა ჯომ შეხვედრა? არტესტის მარწუხებში მოქცეულმა, მან მომდევნო რვა სროლიდან ერთადერთი შეასრულა ზუსტად და თავისი გუნდის წაგების ერთ-ერთი მიზეზიც გახდა. პლუს, ჯექსონის გადაწყვეტილებამ კობისა და ჯონსონის "დაშორების" მხრივ, ბრაიანტს დაცვაში უდიდესი ენერგია დააზოგვინა. მისტერ "ლეიკერსმა" 41 ქულით დაიქუხა.

არტესტის დაცვითმა დომინაციამ მის გუნდს ენერგია, მოტივაცია შემატა და მესამე მეოთხედში კალიფორნიელებმა 7 ჩაჭრით გუნდური რეკორდი გაიმეორეს, დიდი სხვაობით გაექცნენ მეტოქეს და დარჩენილი დროც ფორმალობად იქცა.

კობის 40 და მეტი ქულა მანამდეც არაერთხელ, კონკრეტულად კი რეგულარულის დროს, 96-ჯერ დაუგროვებია, მაგრამ "ლეიკერსისთვის" მთავარი მაინც რონის გამოცოცხლება იყო. არტესტმა მატჩი 12 ქულით, 7 მოხსნით, 4 შედეგიანი გადაცემითა და 3 დაფარებით დაასრულა. რაც მთავარია, იგი დაცვაში სულელურად არ ჯარიმდებოდა.

"რონი შეტევაში უფრო პროდუქტიული უნდა გახდეს, მაგრამ ამ ეტაპზე იმითაც კმაყოფილი ვარ, თუ როგორ მუშაობს არტესტი დაცვაში. პირველ ორ შეხვედრასთან შედარებით, რონი დღეს უფრო აკურატული და მონდომებული იყო", - ამბობს ჯექსონი.

რონისგან არავინ ითხოვს ერთ მატჩში საშუალოდ 20 ქულის დაგროვებას. არც საშუალო ორმაგ დუბლს. არც კობის მერე გუნდის ყველაზე ქარიზმატულ ფიგურად, ვოკალურ ლიდერად ჩამოყალიბებას. უბრალოდ, არტესტმა უნდა გააკეთოს ის, რისთვისაც ყველა დროის ერთ-ერთმა უდიდესმა სპეციალისტმა მას ხუთწლიანი ხელშეკრულება გაუფორმა და სრული ნდობა გამოუცხადა.

"ფილ ჯექსონს ყველა უდიდეს პატივს სცემს. მინდა, მან ჩემში სწორედ ის დაცვითი კლდე დაინახოს, რომელიც ადრე ვიყავი. საკუთარ თავზე მუშაობას არ ვწყვეტ და დარწმუნებული ვარ, რეგულარულის მსვლელობისას ბევრად მაღალი დონის კალათბურთს ვითამაშებ. აღარ ვარ თუნდაც 23 წლის, როდესაც ყველაფერი მიადვილდებოდა. ენერგია ისე უნდა გადავანაწილო, რომ დასკვნითი სტადიისთვის გუნდს მაქსიმალური სარგებელი მოვუტანო", - ფიქრობს რონ არტესტი.

"ლეიკერსს" წელს ძალიან გაუჭირდება სუპერფინალში გასვლა. დასავლეთი სოლიდურად შეივსო. ჯანზეა "სან ანტონიო", სტაბილურობას დაიბრუნებენ "იუტა", "ნიუ ორლეანი", "დალასი" და "დენვერი". სხვებიც ჯანზე იქნებიან და კობის გუნდს შარშანდელზე მეტად უნდა გაუძნელდეს სატიტულო სერიაში გასვლა. არ გაინტერესებთ, ვის წინააღმდეგ თამაშს ელის ყველაზე მეტად რონი? ეს "ნაგეტსის" კაპიტანი კარმელო ენტონია, რომელიც შარშან, როდესაც რონი "ჰიუსტონში" იყო, მის წინააღმდეგ საშუალოდ (მისთვის) სამარცხვინო 15 ქულას აგროვებდა. სხვათა შორის, რეგულარულის ბოლო მატჩში, საკუთარ მოედანზე, "მემფისისა" და მარკ გასოლის (20 ქულა, 11 მოხსნა, 4 შედეგიანი გადაცემა) წინააღმდეგ, კარმელომ 35 წუთში 42 ქულა გამოჭედა.

"ბევრი ძლიერი თანაამპლუელი მყავს, მაგრამ მელოს წინააღმდეგ მაინც განსაკუთრებულად ვთამაშობ. ალბათ, არ მომწონს მისი თამაშის გამომწვევი სტილი და იმიტომ. "ცუდი ბიჭები" არიან მანუ ჯინობილი, ლებრონ ჯეიმსი, პოლ პირსი, თუმცა მელო მაინც სხვა თემაა. მოუთმენლად ველი 13 ნოემბერს, როდესაც "ნაგეტსის" წინააღმდეგ თამაში გვიწევს", - ამთავრებს საუბარს რონ არტესტი.

ვნახოთ. 13 ნოემბერიც მალე მოვა. მანამდე კი "ლეიკერსსა" და არტესტს რამდენიმე პრინციპული დაპირისპირება ელით.